# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№8 (180) სამხედრო-… კური ჟურნალი 12-25 აპრილი, 2013 წ. ფასი 2 ლარი

1425
2013



## წელს რეზერვისტებს აღარ შეაწუხებენ

## მიმართულება დასავლეთი, მიმართულება აღმოსავლეთი...

## XXI საუკუნის მამლუქის ავღანური მისია

## თბილისური მოიერიშეები ჩრდილოეთ კორეაში

## ტუალეტების დალაგება არა, სანგრების გათხრა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროგრამირებული ჭურვები 24



შავი „ანგელოზის“ აღსასრული 38



შეიარაღებული სატვირთო ავტომობილი ანუ Gun Truck-ი 34



საზღვაო ბრძოლა და მისი ევოლუცია 20



ვის რამდენი ატომური ბომბი აქვს? 17



„ფოცხვერი“ მოძრავი ლულით 54

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**
4 სამხედრო სიახლეები

**რეორგანიზაცია**
7 მიმართულება დასავლეთი, მიმართულება აღმოსავლეთი...

**პერსპექტივა**
10 წელს რეზერვისტებს აღარ შეაწუხებენ

**ულტიმატუმი**
11 ტუალეტების დალაგება არა, სანგრების გათხრა?

**სანაპირო დაცვა**
12 ფოთის ახალი გემთსარემონტო სახელოსნოს პერსპექტივები

**ინტერვიუ**
14 XXI საუკუნის გამლუქის ავღანური მისია

**განიარაღება**
17 ვის რამდენი ატომური ბომბი აქვს?

**რეგიონი**
18 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**ფლოტი**
20 საზღვაო ბრძოლა და მისი ევოლუცია

**ინოვაციური ტექნოლოგიები**
24 პროგრამირებული ჭურვები

**მეომრები**
30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**საბრძოლო მანქანები**
34 შეიარაღებული სატვირთო ავტომობილი ანუ Gun Truck-ი

**წარსულის ფურცლები**
38 შავი „ანგელოზის“ აღსასრული

**ორი სტიქიის მბრძანებლები**
41 საგემბანო ავიაცია

**100 დიდი მხედართმთავარი**
44 სერ კოლინ კემპბელი

**სამხედრო ისტორიები**
46 თბილისური მოიერიშეები ჩრდილოეთ კორეაში

**ლიტერატურული გვერდი**
49 ბიჭი

**კროსვორდი**
53 არსენალვორდი

**„არსენალის“ იარაღის გალერეა**
54 უნგრული „ფოცხვერი“ მოძრავი ლულით

**გარეკანზე:** შვედური წარმოების ჩეხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი JAS-39 Gripen-ი



პალიტრა მედია


## რედაქციისგან

ავღანეთში „დიდი როტაციის“ შემდეგ სამშობლოში ქართული არმიის ორი ბატალიონის პირადი შემადგენლობა ბრუნდება, რომელიც ჰილმენდის პროვინციაში 33-ე და 42-ე ბატალიონებმა ჩაანაცვლეს.

იმედი გვაქვს როტაციის პროცესი უპრობლემოდ ჩამთავრდება და ქართველი მებრძოლები ნახევარი წლის შემდეგ მონატრებულ ახლობლებს შეხვდებიან.

სამწუხაროდ, ისინი სამშობლოში, თანამებრძოლის, სერჟანტ გიორგი კიკაძის გარეშე ბრუნდებიან, რომელიც გასული წლის ბოლოს თალიბების ტყვეობაში დაიღუპა. ამ საქმის გამოძიება ჯერ ბოლომდე დასრულებული არ არის და გამომძიებლებს მეტი შესაძლებლობა უჩნდებათ სახლში დაბრუნებული პირადი შემადგენლობის გამოკითხვით საბოლოოდ ნათელი მოჰფინონ, თუ რატომ დაგვეღუპა მე-19 სამხედრო ავღანეთში...


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი


ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73


რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
8.04.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (221)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@palitra.ge
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# სროლის მოყვარულებმა არიზონის უდაბნო კვლავ აიკლეს



ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მოყვარულ ამერიკელებს წესად აქვთ, წელიწადში ორჯერ, უქმეებზე, არიზონის შტატის უდაბნოში იკრიბებიან და ე. წ. **Big Sandy Shoot**-ში მონაწილეობენ, რომელსაც სროლის ფესტივალიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ტრადიცია არც წელს დარღვეულა — მარტის ბოლოს ათასამდე მოყვარულმა-მსროლელმა იქაურობა კვლავაც აიკლო.

რაც შეეხება თავად ღონისძიებას, მზით გახურებულ უკაცრიელ ტერიტორიაზე მყოფი ენთუზიასტები წინასწარ რეგისტრირდებიან და საშუალება აქვთ ნამდვილი იარაღის სროლის სიამოვნება მშვიდობიან გარემოში განიცადონ.

პოლიგონზე თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის, კალიბრისა და მოდიფიკაციის ცეცხლსასროლი იარაღი. არსენალი კი მართლაც რომ ჭრელზე ჭრელია — იქ ნახავთ როგორც მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ტყვიამფრქვევს, ისე ბოლო თაობის მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანას.

კმ-იან სასროლეთზე სამიზნეები მრავლადაა, ცაში რადიომართვად თვითმფრინავების მოდელებსაც უშვებენ.

სროლა ფასიანია (ვაზნების რაოდენობის მიხედვით), თითოეულ მსროლელს კი ინსტრუქტორი ჰყავს მიჩენილი, რომელიც მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ცნობისთვის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინციდენტი მხოლოდ ერთხელ მოხდა — 8 წლის ბიჭს იარაღი გაუვარდა და ფეხში დაიჭრა.



# სტუმრად მარსელებთან... იუტის შტატში

ამას წინათ ფოტოჟურნალისტი ჯიმ ურკჰარტი „მარსის კვლევით-სამეცნიერო ცენტრს“ ესტუმრა, სადაც ერთი დღე-ღამე დაჰყო და საინტერესო ფოტორეპორტაჟიც მოამზადა. დიახ, ეს სურათები მართლაც მარსის კვლევით-სამეცნიერო ცენტრიდანაა, ოღონდ სინამდვილეში კოსმოსური სადგური არა მზის სისტემის რიგით მეოთხე „წითელ პლანეტაზე“, არამედ იუტის შტატის უდაბნოში მდებარეობს.

ცენტრი, რომელიც სამომავლოდ მარსზე ექსპედიციის მოდელირებული ყოფისთვისაა შექმნილი, უკვე მრავალი წელია არსებობს და ის ჰერმეტულად დახურული რამდენიმე ნაგებობისგან შედგება. მისი ეკიპაჟი ექვს კაცს ითვლის, რომლებიც „გარეთ“, თითქოსდა მართლაც სხვა პლანეტაზე იყვნენ, მხოლოდ სკაფანდრებით გამოდიან.

ეგ კი არა, გარე სამყაროს „მოწყვეტილი“ ექსპედიციის წევრები საკვებ პროდუქტებსაც კი კომპლექსში არსებული სპეციალური ფერმიდან იღებენ, სადაც ბაღჩა-ბოსტანი აქვთ გაშენებული.



# ავღანეთში დაჭრილმა ქართველმა სამხედრომ ლოს-ანჯელესში იყოჩაღა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ISAF-ის მისიაში დაჭრილმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ, რიგითმა თემურ დადიანმა ლოს-ანჯელესში გამართულ ხელის ველოსიპედებით რბოლაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგადაც გაისარჯა — 26,2 მილი სთ-სა და 41 წუთში გაიარა, რითაც 38 მონაწილეს შორის მეექვსე შედეგი აჩვენა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შეჯიბრება ლოს-ანჯელესში, საერთაშორისო ორგანიზაცია Achilles International-ის ეგიდით სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონის რიგითი თემურ დადიანი ავღანეთში დაიჭრა და მკურნალობის კურსს აშშ-ში, სან-დიეგოს რეაბილიტაციის ინსტიტუტში, ალვარადოს სამედიცინო ცენტრში გადის. თემურ დადიანი საქართველოში კურსის დასრულების შემდეგ, აპრილის ბოლოს დაბრუნდება და ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს გააგრძელებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო, რომელმაც მსოფლიო შეძრა



ამერიკელი ფოტოჟურნალისტის, სებასტიანო ტომადა პილომინის მიერ გადაღებულმა ფოტომ ცივილიზებული სამყარო შეაძრწუნა — მასზე შვიდი წლის სირიელი მებრძოლი ბიჭუნაა აღბეჭდილი, პირში სიგარეტითა და ხელში ავტომატით.

თურმე აჰმედი უკვე რამდენიმე თვეა უფროსების მხარდამხარ იბრძვის და კარგა ხანია, სიგარეტსაც გაუშინაურდა და ავტომატს, აღარც დაჭრილ-დახოცილთა ცქერა აღელვებს.

არაფერს ვაჭარბებთ — ინტერნეტში ვიდეოფირიც გავრცელდა, სადაც აჰმედი ქალაქ ალეპოს ქუჩებში იარაღით დააბიჯებს და „ალაჰის სადიდებლად“ ყუმბარებს აფეთქებს.

„დედ-მამა ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა. როცა დედა მოკვდა, მე მას შუბლზე ვაკოცე“, — ჰყვება ბავშვი ვიდეოფირში.

# უპილოტოებს ლაზერით ჩამოაგდებენ



ამერიკულმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა ხელი მოჰკიდეს ახალ პროგრამას, რომელიც უშუალოდ უპილოტო საფრენი აპარატების გამანადგურებელი მობილური ლაზერის შექმნას ითვალისწინებს.

პროგრამა ჯერ კვლევით ეტაპზეა, მაგრამ სამხედროები მზად არიან, მისთვის გრანტები არ დაიშურონ.

იდეაში ლაზერის ქვემეხი არცთუ დიდი, ტონაზე ცოტა მეტი სიმძიმის მოწყობილობა უნდა იყოს და მას HMMWV-ის ტიპის მსუბუქ ტაქტიკურ ავტომობილზე დააყენებენ.

ლაზერის სხივი 25-იდან 50 კვტ-მდე სიმძლავრის უნდა იყოს, ხოლო იარაღის მთელი აღჭურვილობა კი ნებისმიერ კლიმატურ პირობებში უნდა მუშაობდეს.

ასეთი ლაზერის პროექტის შესრულება ტექნიკურად დიდი სირთულის არ უნდა იყოს — საჭირო გაბარიტებისა და სიმძლავრის სხივის გამშვები აპარატები უკვე არსებობს. პრობლემა უფრო თავად აპარატის მუშაობისთვის საჭირო ელექტროკვებას უკავშირდება.

# ათეულათასობით მოღერებული მუშტი „გამყიდველებს“!

მარტის მიწურულს ფხენიანის მთავარ მოედანზე შეკრებილი ათეულათასობით სტუდენტის მიზანი ნათელი და დიადია — „გამყიდველების“ განადგურება.

ჩრდილოეთკორეელთა აქციის არსი ქვეყნის ლიდერის, კიმ ჩენ ინისადმი მხარდაჭერის გამოხატვა და სამხრეთ კორეისა და მისი ოკეანისგაღმელი მოკავშირე აშშ-ის განადგურების მოთხოვნა იყო.

ბოლო თვეებში კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობამ იმატა, რაც ერთი მხრივ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული იარაღის გამოცდამ, მეორე მხრივ კი ამერიკელთა მონაწილეობით სამხრეთკორეელთა სამხედრო სწავლებებმა განაპირობა.

თავად განსაჯეთ, რამდენად შეაშინებს სამხრეთ კორეასა და აშშ-ს ფხენიანიდან მოღერებული მუშტები, თუმცა სანახაობა ნამდვილად შთამბეჭდავია.



# ესტონეთის ჯარი გოგონების მიღების მოლოდინშია

ესტონეთის თავდაცვის რესურსების დეპარტამენტმა პირველი ექვსი გოგონას განაცხადი მიიღო, რომლებსაც სამხედრო სამსახურის გავლა სურთ. ამ ქვეყანაში შესაბამისი კანონი 1-ელ აპრილს ამოქმედდა და ის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ჯარში სამსახურის საშუალებას აძლევს.

დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, გოგონები 18-დან 20-წლამდე არიან. მათ ახლა სამედიცინო კომისიის გავლა მოუწევთ, რის შემდეგაც სამსახურს შეუდგებიან.

ესტონეთის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ჯარში წელს სულ 16 გოგონას მიიღებენ, თუმცა, ვარაუდობენ, რომ მსურველი გაცილებით მეტი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქმის შიშველი მოდელები სამხედრო ბაზაზე



მაღალი მოდის სამყაროში ჩაუხედავი ადამიანისთვის, ალბათ, არცთუ იოლია დიზაინერთა ხედვისა და აზრების ამოცნობა, აღარაფერს ვამბობთ მათი ნამუშევრების ჯეროვნად შეფასებაზე... თუმცა ეს არც მოეთხოვებოდა დიზაინერ ადრიანა არანგოს ჩვენებაზე თავმოყრილ პუბლიკას, რომელიც კოლუმბიის ქალაქ მედელინში გაიმართა.

რა დასამალია და, ამ პატივცემული დიზაინერის ჩვენება ჩვენს ყურადღებას არ მიიპყრობდა, რომ არა ერთი უცნაურობა — ქალის თეთრეულის მოდელების ჩვენება ასეთი ღონისძიებებისთვის არატიპურ ადგილას — სამხედრო ბაზაში გაიმართა და მაყურებელი მხოლოდ სამხედროები იყვნენ. ერთი სიტყვით, ტანწერწეტა ასულებისა და მათი Besame-ის მარკის საცვლების „ცოცხლად" ხილვის ბედნიერება კოლუმბიის არმიის მეოთხე ბრიგადას ერგო და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, იმ წუთებში როგორ ფეთქავდა სამშობლოს დამცველთა გულები.

# ეგვიპტის არმია ინტერნეტის მთავარ კაბელს დაივერებისგან იცავს

გასაოცარი ამბავია: ეგვიპტის შეიარაღებული ძალების „ფეისბუკში" გამოქვეყნდა სამი აკვალანგისტის ფოტოსურათი, რომლებიც ინტერნეტის იმ ოპტიკური კაბელის გადაჭრის მცდელობისთვის დააკავეს, ქვეყანას მსოფლიოსთან რომ აკავშირებდა.

დაკავებულებმა აღიარეს, რომ ზღვის ფსკერზე გემებთან ერთად ჩაძირულ ძვირფას ნივთებს დაეძებდნენ და შემთხვევით კაბელს გადააწყდნენ. დაივერებმა იფიქრეს, კაბელი ძვირფასი იქნებაო და უმალ მისი მოპარვა განიზრახეს. კაბელის ბოლომდე „გადაჭრა" აკვალანგისტებს არ დასცალდათ, განგაში გამოცხადდა და სანაპირო დაცვის სამსახურმა დამნაშავეები დააკავა, თუმცა კაბელი მაინც დაზიანდა და ინტერნეტი არა მხოლოდ ეგვიპტეს, არამედ ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის რამდენიმე სახელმწიფოს შეფერხებით მიეწოდებოდა.





# წესრიგს მუყაოს ინსპექტორები იცავენ

ინდოეთის ქალაქ ბანგალურის ხელმძღვანელობამ პოლიციის საგზაო სამსახურში მუყაოს „თანამშრომლები" მიიღო. არ ვხუმრობთ, მუყაოს „ინსპექტორები" გზაჯვარედინებზე თავზეხელაღებული მძღოლებისთვის საფრთხობელას როლს შეასრულებენ.

ეს კადრების სიმცირითაა განპირობებული. ქალაქ ბანგალურის 8 მლნ მოსახლეს 3 ათასი ინსპექტორი აშკარად ვერ აუდის. „საფრთხობელა-პოლიციელების" დანახვა კი „ხულიგან" მძღოლებს სიჩქარის დაკლებას აიძულებს, რაც თავისთავად ავტოსაგზაო შემთხვევების კლებას გამოიწვევს.

მოკლედ, გამოსავალი ნაპოვნია — მუყაოს ინსპექტორები დღედაღამ პოსტზე იქნებიან, ხელფასს არ მოითხოვენ და ქრთამს არ აიღებენ, მხოლოდ ეგ არის, მოვალეობის შესრულებაში ხელს წვიმა და ქარი შეუშლის.



ეროვნული ბიბლიოთეკა



**საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ორი მიმართულების — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოპერატიული დაჯგუფებების სარდლობები იქმნება, უფრო სწორედ კი აღდგება...**

# მიმართულება დასავლეთი, მიმართულება აღმოსავლეთი...

აგვისტოს ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა გორთან ძირითადი საავტომობილო გზა და რკინიგზა გადაკეტეს, რითაც ფაქტობრივად საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები ერთმანეთს მოწყვიტეს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ნაწილებია დასავლეთი და აღმოსავლეთი, რომელთა კომუნიკაციას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. აღმოსავლეთ საქართველო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუკი ფოთისა და ბათუმის პორტებიდან სურსათ-სანოვაგე არ შემოვა, ხოლო დედაქალაქ თბილისის გარეშე დასავლეთ საქართველოს ძალზე გაუჭირდება.

აქედან გამომდინარე, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველოს დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მათ შორის ავტონომიურ რეჟიმშიც, რადგან იმავე საავტომობილო გზისა და რკინიგზის გადაკეტვა შიდა ქართლში ძალიან იოლია. რუსეთის საბრძოლო დანაყოფები ოკუპირებულ ახალგორში ცენტრალური საავტომობილო გზიდან სულ რამდენიმე კმ-ში იმყოფებიან და ბრძანების შემთხვევაში, მათ ამ გზის გადაკეტვა ნახევარ საათშიც შეეძლებათ.

აგვისტოს ომის დროს ერთხელ უკვე ვიწვნიეთ ძლიერი დარტყმა, როდესაც მოწინააღმდეგემ დასავლეთ საქართველოში უპრობლემოდ „გაისეირნა“ და სენაკის სამხედრო ბაზა გაგვიძარცვა.

არ ვიცი, ოდესმე მიეცემა თუ არა სამართლებრივი შეფასება მაშინდელი ხელისუფლებაის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა დასავლეთ საქართველოდან ცხინვალის მისადგომებთან გადმოესროლა, რითაც მთლიანად გააშიშვლა დასავლეთის მიმართულება. მაშინ ხელისუფლება ტელევიზიებიდან ცდილობდა მოსახლეობის დამშვიდებას — დასავლეთ საქართველოში შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმების ძლიერი დაჯგუფება დავტოვეთ, რომელიც ნებისმიერ მოწინააღმდეგეს მოიგერიებსო, მაგრამ ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა, რადგან რუსი მედესანტეების ენგურზე, რუხთან გადმოსვლისთანავე, ყველა გაიფანტა.

კოდორის ხეობაში იმ დროს მყოფ რამდენიმეათასიან მართლაც ანგარიშგასაწევ, შსს-სა და მე-5 ქვეითი ბრიგადის დაჯგუფებას კი დასავლეთ საქართველოს დასაცავად არ ეცალა, თავისი გასჭირვებოდა — ხეობიდან უმსხვერპლოდ გამოსვლას ცდილობდა.

ამხელა შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის გვეჩვენებინა, თუ რამდენად აუცილებელია, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ავტონომიურად უზრუნველყოფილ იქნეს თავდაცვის ბრძოლების ორგანიზება, თუკი მოწინააღმდეგე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის საკომუნიკაციო საშუალებებს გადაჭრის.

სწორედ ამას ემსახურება გაერთიანებული შტაბის ახალი ინიციატივა (რომელსაც მხარი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამაც დაუჭირა), შეიქმნას აღმოსავლეთ და დასავლეთ მიმართულებების სარდლობები.

სიმართლე რომ ითქვას, ლაპარაკია ამ სარდლობების უფრო აღდგენაზე, რადგან 21-ე საუკუნის დასაწყისში, დავით თევზაძის თავდაცვის მინისტრობის დროს ასეთი მიმართულებები და მათი სარდლობები უკვე არსებობდა.

სხვა საქმეა რამდენად გამართულად და ეფექტიანად მოქმედებდნენ მაშინ ეს სარდლობები, რასაც წმინდა სუბიექტური მიზეზების გარდა, ობიექტური პრობლემებიც ახლდა. კერძოდ, მაშინ თავდაცვის ბიუჯეტი 100 მლნ ლარსაც კი ვერ უახლოვდებოდა, ამჟამად კი ეს მაჩვენებელი შვიდჯერ მეტია. სწორი ორგანიზებისა და მონდომების შემთხვევაში, მართლაა შესაძლებელი ორივე მიმართულებაზე საბრძოლო დაჯგუფებების ეფექტური ამოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად რეალობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და რუსეთის სამხედრო აგრესიის განახლების ალბათობა სერიოზულად შემცირდა, ფაქტია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები მაინც რჩებიან ოკუპირებული აფხა-



ქართული „მფრინავი ნიანგები“

ზეთისა და ცხინვალის რეგიონში და არსად წასვლას არ აპირებენ.

ეს საბრძოლო პოტენციალი, რაც რუსეთის საოკუპაციო ჯარებს მე-7 (აფხაზეთი) და მე-4 (ცხინვალის რეგიონი) სამხედრო ბაზებში აქვთ, არ არის საკმარისი საქართველოს წინააღმდეგ სრულფასოვანი საბრძოლო მოქმედებების განსახლებლად (თუმცა მე-4 ბაზას არ გაუჭირდება თბილისი-გორის ავტომაგისტრალისა და სარკინიგზო ხაზის ბლოკირება და მისი შენარჩუნება). მეორე მხრივ, ორივე საოკუპაციო ბაზა წარმოადგენს ერთგვარ პლაცდარმს, სადაც დამატებით ძალების გადმოსროლას მოსკოვი რუსეთიდან რამდენიმე დღეში შეძლებს.

დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის კომუნიკაციის გაწყვეტის შემთხვევაში ორივე მიმართულების სარდლობამ დამოუკიდებლად უნდა შეძლოს რამდენიმე დღიდან ერთ-ორ კვირამდე თავდაცვითი ბრძოლების წარმოება, რათა მოწინააღმდეგემ დასავლეთ საქართველოში ხელში არ ჩაიგდოს ფოთის პორტი (აჭარასა და ბათუმში რუსეთი სავარაუდოდ თურქეთის ფაქტორის გათვალისწინებით არ ეცდება შეჭრას), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი მთავარი, დედაქალაქი თბილისი. თითოეულ დღე გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება, სანამ საქმეში დასავლეთი და პირველ რიგში აშშ-ში არ ჩაერევა პოლიტიკური ბერკეტებით, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა 2008 წლის 12 აგვისტოს.

ორივე მიმართულების სარდლობების განკარგულებაში დაახლოებით ერთნაირი ძალები იყრის თავს. აღმოსავლეთ მიმართულების სარდლობის ქვეშ იქნება 1-ლი (კოჯორი), მე-4 (ვაზიანი) და მე-5 (გორი) ქვეითი ბრიგადები, პირველი საარტილერიო ბრიგადა ვაზიანში, საავიაციო ნაწილები ალექსეევკასა და მარნეულში.

დასავლეთ ოპერატიულ დაჯგუფებაში შევა მე-2 (სენაკი) და მე-3 (ქუთაისი) ქვეითი ბრიგადები, მე-2 საარტილერიო ბრიგადა ხონში და სხვა ცალკეული დანაყოფები.

ამ ეტაპზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ოპერატიულ დაჯგუფებები სტრუქტურულად სახმელეთო ჯარების სარდლობაში შედის, რომელიც თავის მხრივ გაერთიანებულ შტაბს ექვემდებარება. ოპერატიული ურთიერთქმედებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა, თუკი ორივე მიმართულების სარდლობა პირდაპირ გაერთიანებულ შტაბზე გავიდოდა, რადგან ჩვენი აზრით (რაც შეიძლება საკამათო თემაც იყოს), სახმელეთო ჯარების ფუნქცია ამ დროს ზედმეტ ბიუროკრატიულ ელემენტად იქცევა.

ცალკე თემაა, რომ გაერთიანებულ შტაბს სახელი აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა შეეცვალოს, რაც კონსტიტუციაში ცვლილების შეტანასაც გულისხმობს. მაშინ, როცა ის შეიქმნა, ფიქრობდნენ, რომ სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ანუ სამკომპონენტიანი შეიარაღებული ძალების მართვისთვის საჭირო იყო გაერთიანებული შტაბი (სიმართლე რომ ითქვას, თავიდანვე არასწორად დაარქვეს სახელი, რადგან რეალობას უფრო შეესაბამებოდა — გაერთიანებული შტაბები). დღეს, როდესაც ქართული არმია ჯარების მხოლოდ ერთ კომპონენტზე — სახმელეთო ჯარებზეა დაყვანილი, უპრიანი იქნებოდა დასახელება — მთავარი შტაბი, თუმცა სავარაუდოდ მას ძველ სახელს გენერალურ შტაბს დაუბრუნებენ.

ორი მიმართულების ოპერატიული დაჯგუფებების შექმნის გარდა, აღდგება ავიაციის სარდლობაც და საზღვაო მიმართულებითაც აღდგენითი სამუშაოები დაიწყება, თუმცა ტემპები არ იქნება მაღალი. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, დღეს მთავარია, ავიაციაში შევინარჩუნოთ ის, რაც გვაქვს, ანუ ძირითადი ყურადღება გამახვილდეს სატრანსპორტო შვეულმფრენების მზადყოფნაზე (არაა გამორიცხული მათი პარკის განახლებაც), რომლებსაც ძირითადი დატვირთვა ექნებათ სწრაფი რეაგირების ძალების გადასროლის ოპერაციებში.

**ირაკლი ალადაშვილი**

RM-70-ის სარაკეტო ზალპი ორფოლოს პოლიგონზე






მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას



# წელს რეზერვისტებს აღარ შეაწუხებენ

ყველაზე ხშირი კითხვა, რაც საზოგადოებაში გაისმის, ისაა, გაგრძელდება თუ არა სარეზერვო შეკრებები და რა სახის იქნება ის.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, 2013 წელს სარეზერვო შეკრებები აღარ ჩატარდება, რაც სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფციის დახვეწასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულმა შტაბმა უკვე მოამზადა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას გადასცა სარეზერვო სამსახურის ფუნქციონირების ახალი პროექტი, რომელიც სამი სახის რეზერვის შექმნას ითვალისწინებს.

პირველს საბრძოლო რეზერვი დაერქმევა და დაკომპლექტდება ძირითადად საკონტრაქტო სამსახურგავლილი, ასევე სავალდებულო სამხედრო სამსახურმოხდილი პირებით.

საბრძოლო რეზერვი მიმაგრებული იქნება კონკრეტული ბრიგადის კონკრეტულ ბატალიონებზე და ყოველწლიურ წვრთნებს მათ უშუალოდ ამ ბრიგადის ოფიცრები და სერჟანტები ჩაუტარებენ.

საბრძოლო მოქმედების დაწყების შემთხვევაში ამ რეზერვმა ბრიგადების საბრძოლო დანაკარგების 40% მაინც უნდა შეავსონ.

საერთოდ საბრძოლო რეზერვის უშუალოდ კონკრეტული ბრიგადის მიერ გაწვრთნა იმ მოსაზრებითაა გამართლებული, რომ სარეზერვო შეკრებების დროს (რომელიც წელიწადში არა უმეტეს, 45 დღე-ღამე უნდა იყოს) რეზერვისტები და ბრიგადის პირადი შემადგენლობა უკეთესად გაიცნობს ერთმანეთს და ერთობლივად დახვეწს ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესრულებას. უშუალოდ ბრძოლების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინ ვის გვერდით იბრძვის, იცნობენ ერთმანეთს და ენდობიან თუ არა. ამიტომაც სულერთი არაა, ბრძოლის ველზე ოცეულისა თუ ასეულის შესავსებად უკვე ნაცნობ რეზერვისტებს დაამატებენ, თუ სრულიად უცხოს.

მეორე და მესამე სახის რეზერვს ტერიტორიული და სამოქალაქო ერქმევა და მათი მომზადება უკვე ეროვნული გვარდიის პრეროგატივა იქნება. თავად სახელიდან გამომდინარე ჩანს, რომ ტერიტორიული რეზერვის დაკომპლექტება მოხდება ძირითადად ტერიტორიული პრინციპით იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივები უკეთესად იცნობდნენ მშობლიურ კუთხეს. შეიძლება მათ ნაკლები საბრძოლო გამოცდილება ჰქონდეთ (ან საერთოდ არ გააჩნდეთ ის), მაგრამ საბრძოლო დანაყოფების კარგი მეგზურები იქნებიან, სათანადო მომზადებისა და უზრუნველყოფის პირობებში მათ მშობლიურ მხარეში პარტიზანული მოქმედებების ორგანიზებაც შეეძლებათ, თუკი მოწინააღმდეგემ მისი ოკუპირება მოახდინა.

სამოქალაქო რეზერვის ძირითადი დანიშნულება ბუნებრივი და საწარმოო კატასტროფების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუირება და შედეგების ლიკვიდაცია გახდება. მიწისძვრების, წყალდიდობების, სამრეწველო ობიექტებზე ავარიების დროს მომზადებული რეზერვისტების გამოყენება ზედმეტი ნამდვილად არ იქნება. მათი გამოყენება ომის დროსაც შესაძლებელია გახდეს ზურგში დამხმარე სამუშაოების ჩატარებისას, მაგალითად, გზების ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით ჩასახერგად.

ამ ყველაფრის შესრულებას კი მომზადება სჭირდება, რომლის დროსაც აჩქარება არ ივარგებდა. 2004 წლიდან მოყოლებული სწორედ აჩქარებული და ხშირად გაუაზრებელი მოქმედებების წყალობით მოხდა, რომ ათეულობით მილიონი ლარი წყალში გადაიყარა, ხოლო ხეირიანი სარეზერვო სამსახური მაინც ვერ შეიქმნა.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რეზერვის რიცხოვნობას გამოკიდებული პრეზიდენტისა და მისი გუნდის აზირებაც გახლდათ, რომელსაც ერთ-ორ წელიწადში 100 ათასი და უფრო მეტი მომზადებული რეზერვისტის ხილვა სურდა.

მაგრამ მთავარი ხომ რეზერვისტთა მომზადების ხარისხია და არა რაოდენობა, რადგან აგვისტოს ომის დროს გორში უაზროდ ჩაყვანილი და შემდეგ უპატრონოდ მიტოვებული და დაბნეული რეზერვისტები ხომ მთელმა საქართველომ იხილა...

თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ წინასწარი გათვლების თანახმად, ერთი დღით ერთი რეზერვისტის გაწვრთნა (შეიარაღებისა და აღჭურვილობის ჩათვლით) 22 ლარამდე შეიძლება დაჯდეს. ეს ერთი შეხედვით არცთუ ისე დიდი თანხა საერთო ჯამში ათეულ მილიონებამდე მიაღწევს მომზადებული რეზერვისტების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით. ამიტომაც მთავრობამ უნდა განსაზღვროს, აქვს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს საჭირო სახსრები სამივე სახის სარეზერვო სამსახურის სრულფასოვნად ასამუშავებლად.

სავარაუდოდ, სწორედ საორგანიზაციო და ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება წელს თავს იკავებს სარეზერვო შეკრებების განხორციელებისგან და სარეზერვო სამსახურის მთელი ძალით ამუშავებას მომავალი წლიდან გეგმავს.

**P.S.** თავდაცვის მინისტრი თავდაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეჰპირდა, რომ სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფციის განხილვაში მათაც, სურვილის შემთხვევაში ჩართავდა. დაველოდოთ მინისტრის დაპირებას და თუკი მართლაც ასე იქნება, საზოგადეობის წარმომადგენლებს მეტი საშუალება მიეცემათ თავისი შენიშვნები და რეკომენდაციები შეიტანონ იმავე საზოგადოებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, რასაც ქვეყნისთვის ქმედუნარიანი სარეზერვო სამსახურის შექმნა ჰქვია.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტუალეტების დალაგება არა, სანგრების გათხრა?

პროტესტის ნიშნად მოსამსახურეების მხრიდან სამხედრო ნაწილის ჯგუფურად დატოვება, ყველა ქვეყნის არმიაში სერიოზული ინციდენტად განიხილება და თვით თავდაცვის მინისტრების პოსტებიც კი შეუწირია.

ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობის" წევრები, დღეს უკვე საპარლამენტო უმცირესობიდან, სწორედ პალდოს ფაქტის გამოყენებით აპირებდნენ პოლიტიკური დარტყმა მიეყენებინათ ახალი მთავრობისთვის.

უბრალოდ მათ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — პალდოს ბაზიდან ტუალეტების დაულაგებლობის მიზეზით გაქცეულები ჯერ არ იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები. ისინი რეკრუტები გახლდნენ, რომლებმაც სულ ახლახან დაიწყეს BCT-ის (საწყისი საბრძოლო მომზადება) კურსი და 10 კვირა კიდევ გაგრძელდებოდა მომზადება, რათა თავდაცვის უწყებასთან კონტრაქტი დაედოთ სამხედრო სამსახურის დაწყებაზე.

BCT-ის კურსები სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ არმიაში მოხვდეს ღირსეული, რომელიც მორალურადაც, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც საკონტრაქტო სამსახურისთვის გამოდგება.

სიმართლე რომ ითქვას, იმ რეკრუტებმა, ვინც ტუალეტების დაულაგებლოის მოტივით დატოვეს პალდოს ბაზა, ძალიან კარგი საქმე გაუკეთეს ქვეყანას, პირველ რიგში თავდაცვის ბიუჯეტს და თავის თავსაც. მათი უმეტესობა სავარაუდოდ, კონტრაქტის დადების შემდეგაც მიატოვებდა არმიას, რითაც მათ მომზადებაზე დახარჯული ათასები წყალში გადაყრილი იქნებოდა და მათ ოჯახებსაც მოუწევდათ კონტრაქტის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ დაწესებული მნიშვნელოვანი თანხის გაღება თავდაცვის უწყების სასარგებლოდ.

საერთოდ ტუალეტების დალაგება მუდმივი თავის ტკივილია ქართული არმიისთვის. ერთგვარ გამოსავალს იმ სამხედრო ნაწილებში მიაგნეს, სადაც დამლაგებლებს ქირაობენ, მაგრამ საველე ბაზაზე და მით უმეტეს ავლანეთში საკუთარი დამლაგებლებით წასვლა, მეტისმეტია.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ყაზარმებში და მით უმეტეს ომში ბრძოლის ველზე ჰიგიენური პირობების დაცვა და ტუალეტების დასუფთავება მეორეხარისხოვანი საქმეა, ძალიან ცდება, თუნდაც იმიტომ, რომ მტრის ტყვიაზე არანაკლებ საშიში დიზენტერიაა.

ვინც აფხაზეთის ომში პოზიციური ბრძოლების დროს სანგარში რამდენიმე დღე გადაბმული მჯდარა, დაგვემოწმება, რომ ტუალეტის უხიფათო ადგილზე მოწყობას (ისე, რომ იქამდე მისვლამდე მოწინააღმდეგის სნაიპერის ლუკმა არ გამხდარიყავი) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მტრის ტყვიებზე მეტად ბევრი სახელდახელო ტუალეტის სუნს ისე შეუწუხებია, სანგარს ტოვებდა და თავს ხიფათში იგდებდა.

პირველ და მეორე მსოფლიო ომების დროს დიზენტერიას ასეულები და ბატალიონები გამოჰყავდა მწყობრიდან, რითაც მეთაურობას დამატებით თავსატეხს უჩენდა.

დღეს საბედნიეროდ ქართულ არმიას აღარც შია და აღარც სცივა, ნორმალურ ყაზარმებშიც ცხოვრობს (თუმცა ზოგიერთი ყაზარმის სავალალო მდგომარეობის შესახებ გავრცელებული ფოტოების შემდეგ ძნელია ამაზე მტკიცებით მსჯელობა) და სამხედრო მოსამსახურეებმა კეთილი უნდა ინებონ და პირადი ჰიგიენის დაცვას თავადვე მიხედონ.

**P.S.** როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს პალდოს ბაზიდან წასვლამდე 67-მა რეკრუტმა განაცხადა, რომ მეთაურობის მიმართ პრეტენზიები არ ჰქონდათ, მაგრამ ტუალეტებს არ დაალაგებდნენ. ისინი კრწანისის სასწავლო ცენტრიდან, სადაც 25 მარტს მივიდნენ, პალდოს ბაზაზე 5 აპრილს დილის 11 სთ-ზე გადაიყვანეს, ხოლო ტუალეტების დაულაგებლობის შესახებ ულტიმატუმი მათ ორიოდე სთ-ში გააკეთეს, სანამ ბაზას დატოვებდნენ.

ცოტა ხანში 67 წამოსული რეკრუტიდან 3 უკან დაბრუნდა ბოდიშის მოხდით, რამდენიმე ათეულს კიდევ სურდა უკან დაბრუნება, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს სამანდატო კომისიამ მათ უარი უთხრა.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფოთის ახალი გემთსარემონტო სახელოსნოს პერსპექტივები

მალე 15 წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც ეროვნული სანაპირო დაცვის კატარღებმა ქვეყნის საზღვაო საზღვრები დაცვის ქვეშ აიყვანეს.

იმ რთულ პერიოდში, როცა საქართველო მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისში იყო, სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან ქართველი საზღვაო მესაზღვრეების მისამართით აგრესიული განცხადებები კეთდებოდა, ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში წესრიგი არ არსებობდა და საყაჩრო გემები არარსებული ქვეყნის დროშითაც კი დაცურავდნენ, გამოიძებნა იმის ძალა, რომ საზღვაო საზღვრებზე ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარებულიყო.

რა თქმა უნდა, მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე ეს ძალიან გაჭირდებოდა, მაგრამ უკრაინის, თურქეთის, გერმანიისა და აშშ-ის მატერიალურ-ტექნიკური თუ ფინანსური დახმარებით მოხერხდა ქმედუნარიანი სანაპირო დაცვის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

1998 წლის 16 ივლისს კატარღები ქართული დროშით პირველად გავიდნენ ზღვაში საზღვრების გასაკონტროლებლად და მას შემდეგ ამ ერთობ რთულ და სახიფათო საქმეს ამჟამად უკვე საზღვაო პოლიციელები თავს კარგად ართმევენ.

2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები სანაპირო დაცვას შეუერთდა, რითაც ამ უკანასკნელის მოვალეობები ბევრად ყოვლისმომცველი გახდა. ახლა მათ სამხედრო მეზღვაურების მოვალეობათა შეთავსებაც უხდებათ, როცა საერთაშორისო საზღვაო სწავლებებსა თუ მისიებში საქართველოს წარმოადგენენ. შესაბამისად, გაზრდილია სანაპირო დაცვის თითოეული მოსამსახურის პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო განვითარებულ სისტემასა და ინფრასტრუქტურას საჭიროებს.

ბოლო წლებში მეგობარი ქვეყნებისა და უპირველესად, აშშ-ის დახმარებით, ბევრი რამ გაკეთდა. აშშ-ის დაფინანსებით „საზღვრის დაცვისა და კანონაღსრულებისა“ და „ექსპორტ-კონტროლისა და სასაზღვრო უსაფრთხოების“ პროგრამებით საქართველოს სანაპირო ბაზის გასაძლიერებლად დიდი სამუშაო ჩატარდა.

გასული წლის 5 ივნისს ბათუმში საქართველოში ვიზიტით მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს აშშ-ის ფინანსური დახმარებით გარემონტებულ-მოდერნიზებული საპატრულო კატარღები — P102 „გენერალი მაზნიაშვილი“ და P109 „ფაზისი“ დაუბრუნდა. კიდევ უფრო ადრე ასევე აშშ-ის ფინანსებით ბათუმის გემთსაშენმა ქარხანამ მოდერნიზაცია ჩაუტარა „გრიფის“ ტიპის კატარღა P-205 „ორბს“.


გემთსარემონტო სახელოსნო უახლესი ჩარხებითა და დაზგა-დანადგარებით არის აღჭურვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენდა ოთხი სარადარო სადგური ინფრასტრუქტურით, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა, ბათუმის რესურსების მართვის შენობა, ბათუმსა და ფოთში მოეწყო ინგლისური ენის ლაბორატორიები და სხვ.

მიმდინარე წელი უფრო ნაყოფიერი გამოდგა. 2 აპრილს აშშ-ის დახმარებით საფუძველი ჩაეყარა საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრ „სუფსას“, რომლის წყალობითაც სანაპირო დაცვის სამსახურების საქმიანობა უფრო დაიხვეწება და საზღვაო სივრცეებზე კონტროლიც სრულყოფილ სახეს მიიღებს.

მართვის ცენტრ „სუფსას“ საძირკველი სიმბოლურად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა გაჭრეს.

იმავე დღეს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე გემთსარემონტო სახელოსნოს გახსნის საზეიმო ცერემონია შედგა.




სანაპირო დაცვის ფოთის ბაზის გემთსარემონტო სახელოსნოს სიმბოლური გასაღების გადაცემის მომენტი

მცურავ საშუალებათა უსაფრთხო ექსპლუატაციასა და საბრძოლო დავალებათა დროულ შესრულებას თითქმის მთლიანად განსაზღვრავს მცურავი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული სანაპირო ინფრასტრუქტურის ხარისხიან მუშაობაზე.

ამ მხრივ ყოველთვის იყო პრობლემები. იყო წლები, როცა ქართული მცურავი საშუალებები სარემონტოდ უკრაინაში ან, უკეთეს შემთხვევაში, ფოთის გემთსაშენ-გემთშემკეთებელ ქარხანაში იგზავნებოდა. ახლა უახლესი დაზგა-დანადგარებით აღჭურვილი ახალი სახელოსნო მცურავ საშუალებებზე საკორპუსო და ხის დასამუშავებელ, მიმდინარე სარემონტო და განსაზღვრული მოცულობით სამოდერნიზაციო სამუშაოების ჩატარებას შეძლებს. განზრახულია მცურავი საშუალებების ძრავების შეკეთების დანერგვაც.

პროექტის ერთი ეტაპის წარმატებით დასრულებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთავის სანაპირო დაცვის საიუბილეო მედლებით დაჯილდოვდნენ: აშშ-ის საელჩოს საფრთხეების შემცირების სამსახურის უფროსი საქართველოში, ავიაციის ვიცე-პოლკოვნიკი ბლეიკ ფაკლეი, აშშ-ის საელჩოს „ექსპორტ-კონტროლისა და სასაზღვრო უსაფრთხოების“ პროგრამის ხელმძღვანელი დევიდ ნილსი და აშშ-ის საელჩოს „ექსპორტ-კონტროლისა და სასაზღვრო უსაფრთხოების“ პროგრამის ხელმძღვანელი საზღვაო საკითხებში ჯონ ქარენი.

მართალია, ამერიკული დახმარების პროგრამის ნაწილი დასრულდა, მაგრამ გრძელდება მეორე, რომელიც მოიცავს ფოთის სახელოსნოსთვის დამატებით წყლიდან კატარღების ამოსაწევი ამწითა და დაზგა-დანადგარებით დამატებით აღჭურვას, ფოთის ბაზაში ახალი გემთსადგომებისა (პირსი) და ბათუმში დახურული ნავსადგურის მშენებლობას, მცურავი საშუალებებისთვის სათადარიგო ნაწილების შეძენას, პერსონალის გადამზადებასა და ა.შ.




ძველ სახელოსნოში გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გამოშვებული ასეთი ჩარხები იდგა

P.S. ბულგარეთის საპორტო ქალაქ ვარნაში 5 აპრილს შავი ზღვის ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო საზღვაო ჯგუფ BLACKSEAFOR-ის მორიგი აქტივაცია დაიწყო, სადაც საქართველოს სანაპირო დაცვის კატარღა „სოხუმი“ წარმოადგენს.

**თემურ ჩაჩანიძე**



# XXI საუკუნის მამლუქის ავღანური მისია

„ტყუილუბრალოდ არავინ მიდის სამშობლოდან, ყველას აქვს სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი... იმდენად მიჭირდა ქვეყნიდან მოშორებით ყოფნა, ყოველთვის ვამბობდი, რაც უნდა მოხდეს, საქართველოდნ არ წავალ-მეთქი, მაგრამ ის ბანალური ფრაზა – „არასოდეს თქვა არასოდეს", ზუსტად გამოხატავს ჩემს აზრს, მომიწია წამოსვლამ და საკმაოდ დიდი ხნით. მამლუქივით ხან ერთი ქვეყნის სამხედრო ნაწილში ვმსახურობდი და ხან – მეორის. საქმის უზომო სიყვარული რომ არა, ალბათ, ვერ შევძლებდი ამის გაკეთებას", – ამბობს წლების წინ ქართული არმიიდან დათხოვილი ქართველი ოფიცერი, რომელიც ამერიკისა და საერთაშორისო კოალიციის ძალებს ავღანეთში ლოჯისტიკური ამოცანების შესრულებაში ეხმარება. 38 წლის სამხედროს თქმით, იქ ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს მასავით დაწუნებული ქართველი ოფიცრებიც მსახურობენ და ძალიან დიდი პატივისცემითაც სარგებლობენ.

— მეექვსე წელია აქა ვარ... მეგობრები ტელეფონითა და სოციალური ქსელით საუბრის დროს ხშირად მახსენებენ, რომ სამშობლოს უნდა დავუბრუნდე. არავისგან მესწავლებოდა სამშობლოს სიყვარული და თავდადება, რითაც შემეძლო თავი არ დამიზოგავს ჩემი ქვეყნისთვის, მაგრამ ახლა მამლუქივით სხვის ომში ვიბრძვი. აქ პროფესიონალიზმს აფასებენ, სამხედრო პირს პატივს სცემენ და ცდილობენ, ყურადღება არ მოაკლონ.

**— ამერიკის არმიაში როგორ მოხვდით?**

— მანამდე მცირე დროით გერმანიის, შემდეგ კი აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის არმიის სამხედრო ნაწილში ვმსახურობდი. იქ ერთი ამერიკელი გავიცანი, რომელიც ერაყის სამშვიდობო მისიაში აპირებდა წასვლას. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ვუთხარი, შენთან ერთად მოვდივარ-მეთქი. გაუხარდა. იცოდა, რომ იქ ქართველებიც მსახურობდნენ. იქ ჩასულმა ვნახე კიდეც ის ბიჭები... მისიის დასრულების შემდეგ ამერიკაში დავბრუნდი და ჩემი ამერიკელი მეგობრის რჩევით სამოქალაქო კონტრაქტს მოვაწერე ხელი. კონტრაქტი ყოველწლიურია, ანუ არმიის კონტრაქტორი ფირმა მსურველებს სხვადასხვა კრიტერიუმით შერჩევის შემდეგ არმიაში გზავნის. მე ლოჯისტიკურ სამსახურში მომიწია წასვლამ. ეს სფერო წარმატებისა და გამარჯვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომაც ამერიკელები დიდ ყურადღებას უთმობენ.

**— ავღანეთის რომელ პროვინციაში მოგიწიათ ყოფნამ?**

— ბევრგან, მათ შორის ქაბულსა და ისეთ პროვინციებში, როგორიც არის ფარა, რომელიც ავღანეთის რუკაზე, მგონი, არც არის მონიშნული. სრულყოფილად ვისწავლე ავღანური ენა და რამდენიმე დიალექტზეც კი მომიწია საუბარმა. ყველაზე დიდხანს ყანდაარში ვიყავი. ეს არის თეთრი უდაბნო გაშიშვლებული პეიზაჟებითა და მცხუნვარე მზით. ავღანელი ქალები პირველად იქ ვნახე. იქაური ტრადიციების მიხედვით, მათ უცხოებთან, განსაკუთრებით კი მამაკაცებთან გამოჩენა სასტიკად ეკრძალებათ. ამ დაუწერელი კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, სიცოცხლესაც გამოასალმონ. ქალები არჩევნებზე იყვნენ მოსული. გამიკვირდა და მერე ვიკითხე, თურმე მათი მამები და ბიძები რომელიღაც ახალდაფუძნებული პარტიის წევრები იყვნენ, რაც ნიშნავს, რომ მათ ქვეყანაში ცვლილებები სურდათ. შესაძლოა, გულის სიღრმეში ამის გაკეთება სულაც არ უნდოდათ, მაგრამ სხვებისთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ მათი ოჯახის წევრი ქალის არჩევნებში მონაწილეობით არაფერი შავდებოდა... იმ დღეს „თალიბების" თავდასხმის გარეშე არ ჩაუვლია. ისინი სასტიკად,

ქწინააღმდეგებიან დასავლურ ცვლილებებს. არჩევნების დღეს, მაქსიმალური უსაფრთხოების მიუხედავად, მეამბოხეებმა ჯერ საქარავნო გზებსა და ტვირთებზე მიიტანეს იერიში, შემდეგ კი საარჩევნო ობიექტს დაესხნენ თავს. ცხადია, კოალიციის ჯარებმა მათ პასუხი გასცეს.

**— ამომრჩევლები დაზარალდნენ?**

— ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა ამას უკვე მშვიდად ხვდება, მშვიდად ეძებენ თავშესაფარს და არც დაჭრილის დანახვისას იწყებენ კივილს, უბრალოდ, ცდილობენ, დაეხმარონ... ერაყში თითქმის სამი წელი ვიყავი, მაგრამ ავღანეთში ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ ეს სულ სხვა სამყაროა, მესამე სამყარო სადღაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გაჭედილი. ვერ გაიგებ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, სიცოცხლე თუ სიკვდილი, რადგან ორივეს თავისებურად უყურებენ.

**— თქვენ რა გევალებათ კოალიციურ ჯარში?**

— მე ლოჯისტიკის დაცვის სამსახურში ვარ. მეამბოხეები მუდმივად ცდილობენ კოალიციური ძალების მომარაგება შეაფერხონ, ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, თუ გვინდა არმიის სისტემამ აწყობილად იმუშაოს. მათგან ყოველ წუთს რაღაცას უნდა ელოდო, ამიტომაც მუდმივად შეიარაღებული ვარ.

**— ბაზიდან გასვლის საშუალება გაქვთ?**

— დიახ, ოღონდ ჯავშანჟილეტსა და სატაბელო ავტომატურ იარაღს ვატარებთ, რადგან არაერთი შემთხვევა იყო, ვინც ეს არ გაითვალისწინა, ან დაიჭრა, ან მეამბოხეებმა მოკლეს. იქ კოალიციის ერთი სამხედრო ცხოვრება მეორისთვის სარკეა, როგორი უნდა იყო ან როგორი არ უნდა იყო, რომ სიცოცხლე შეინარჩუნო. გადარჩენისთვის ყველაზე მთავარია, სიფრთხილე და კიდევ ერთხელ სიფრთხილე.

**— რა მეთოდებით იბრძვიან მეამბოხეები?**

— მუდმივად არის რაღაც შემთხვევები — საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკოლებში, ტრანსპორტში თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობა IED-ებს ტოვებენ... იქ ცენტრიდან მოშორებით, პროვინციებში, ავღანელების თიხის სახლებს შორის დარჩენილ შენობების ნანგრევებში დღემდე არის „სულის საწვრთნელი სკოლა“, სადაც ბავშვებისგან მოსიარულე ბომბებს ქმნიან. ამაზე მთელი ამერიკისა და ევროპის სამხედრო ჟურნალისტიკა მუშაობს, მაგრამ ჯერჯერ[illegible]ფერი შეიცვალა.

**— როგორაა განწყობილი მოსახლეობა საერთაშორისო კოალიციის სამხედროების მიმართ?**

— ავღანელები კეთილი ხალხია. სულ იღიმიან და ურთიერთობასაც თავისუფლად აბამენ.

ერთხელ, საღამოს ბაზასთან ახლოს გავედით და ბავშვებს გამოველაპარაკეთ. მალე მოზრდილებიც შემოგვიერთდნენ. დავიძაბე, რადგან იქ ყველას ნდობა არ შეიძლება. მაგრამ მალევე მივხვდი, რომ საშიში არ იყვნენ. თხილი და „ზამზამკოლა“ მოგვიტანეს, გაზირებული სასმელი, რომელსაც გემოთი სულ არ ჰგავს „კოკა-კოლას“. ავღანელებს ძალიან უყვართ. ჩვენ მათ შოკოლადებით გავუმასპინძლდით. ეს ნუგბარი იქ ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს და უყვართ. ბავშვები მოუვლელები, მაგრამ ძალიან ლამაზები არიან. უცხოელები უყვართ და კონტაქტში პირველად თავად შემოდიან... საკმარისია, ერთხელ განახონ და მაშინვე გიმახსოვრებენ.

ერთ გოგონას ეპილეფსია აღმოაჩნდა და უცებ დავარდა მიწაზე. მაშინვე გამოვიძახეთ ექიმი და ცოტა ხნის შემდეგ სახლში მივიყვანეთ. ჩვენთან ერთად სამშვიდობო მისიის წარმო-



ავღანელთა სახლში შესვლა შეუძლებელია. დიპლომატიური მისიის ყველა წარმომადგენელს ოცნებად აქვს გაიგოს, რა ხდება იმ ჯადოსნური თიხის კედლების მიღმა. სახლი კი შიგნიდანაც ისეთივეა, როგორიც გარედან, თიხით შელესილი. იატაკი მიწისაა და ჰაერი თითქმის არ არის. ასეთი სიღარიბის ყურება მძიმე სანახავია, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება, თორემ ხელსაყრელ მომენტს თალიბები ხელიდან არ გაუშვებენ



ავღანელ ბავშვებთან ურთიერთობა სამხედროებისგან მუდმივ ყურადღებას მოითხოვს

მადგენლებიც იყვნენ, რომელთაც ავღანელების სახლში შეღწევა აინტერესებდათ... მამაკაცებმა და ბავშვებმა ბრინჯი და შამფურზე შემწვარი ქაბაბი მოგვიტანეს. სამხედრო პირობებში ცხოვრებამ წუნიობასა და აზიზობას გადამაჩვია და სიამოვნებით გეახელი.

**— ავღანელების სახლში შესვლა არც ისე ადვილია?**

— ადვილი კი არა, შეუძლებელია. დიპლომატიური მისიის ყველა წარმომადგენელს ოცნებად აქვს გაიგოს, რა ხდება იმ ჯადოსნური თიხის კედლების მიღმა. როდესაც ამდენი ხანი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ და საშიშ ქვეყანაში ხარ, ბუნებრივია, ყველაფრის ინტერესი გიჩნდება, რათა მასზე სრულყოფილი ინფორმაცია გქონდეს.

**— თქვენ ხართ ნამყოფი ავღანურ სახლში?**

— დიახ, მოგვიწია, რადგან ეს უსაფრთხოების მიზნით ჩატარებული გეგმური ოპერაციის ნაწილია, საერთაშორისო კოალიციის მუშაობისთვის ჩვეულებრივი რამ — ხომ შეიძლება რომელიმე სახლში მეამბოხეები იმალებოდნენ? ინფორმაციის არსებობის ან დაეჭვების შემთხვევაში, მათ სახლებში შესვლა გვიწევს.

ავღანური სახლი შიგნიდანაც ისეთივეა, როგორიც გარედან, თიხით შელესილი, ხშირად კედლებზე ხალიჩებია გაკრული. იატაკი მიწისაა და ჰაერის თითქმის არ არის. ეს ასეთი სიღარიბის ყურება მძიმე სანახავია, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება, თორემ ამ ხელსაყრელ მომენტს თალიბები ხელიდან არ გაუშვებენ. როგორც ჩემი თანამებრძოლები ამბობენ, მათ იციან ამერიკელების „სუსტი წერტილები“, უკიდურესად ღატაკ სახლს ირჩევენ თავშესაფრად. სწორედ ამას ებრძვის დასავლეთი ნახევრად ველურ ავღანეთში, თუმცა, ცივილიზაციის იქ შეღწევა იმდენად რთულია, რომ სხვა ქვეყნებში დრო ასი წლითაც რომ [illegible] მათ ავღანეთი მაინც ვერ [illegible]

ერთხელ პროვინცია ყუნდუზის საავადმყოფოში მისვლამ მომიწია და იქ ნანახმა ქუჩაში თალიბების მიერ მოწყობილი სისხლის ღვრა გადამავიწყა. ეს იყო ბეტონისიატაკიანი შენობა რკინის საწოლებითა და კარებჩამოხსნილი ოთახებით. იატაკზე სისხლის ლაქები იყო მიმხმარი. „მოსაცდელში“ ტკივილისგან გასაცოდავებული ავღანელები იდგნენ. მათ არ უყვართ ექიმი და მასთან უკიდურეს შემთხვევაში მიდიან. ტკივილს კი თავისებური, ხალხური მეთოდებით ებრძვიან...

**— ავღანეთის სამშვიდობო მისიით მყოფ ქართველებთან თუ გქონიათ ურთიერთობა?**

— კი, ერთი-ორჯერ, მაგრამ ისინი ჰილმენდის პროვინციაში არიან, ჩვენი ბაზა კი ყანდაარშია.

**— კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ?**

— ალბათ, გავაგრძელებ, რადგან იქ პროფესიონალს აფასებენ და პატივს სცემენ. შრომას გიფასებენ, გაგრძნობინებენ, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში შეტანილი შენი წვლილი მნიშვნელოვანია.

**— ახლა, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები მოხდა, თქვენსავით სხვა ქვეყანაში მომსახურე სამხედროებს ხშირად ვკითხები, სად აპირებენ სამხედრო კარიერის გაგრძელებას?**

— ჯერჯერობით საქართველოში არ ვაპირებ დაბრუნებას, თუმცა ყოველი დღე იმაზე ფიქრში ღამდება, რომ აქ მიღებულ გამოცდილებას ჩემს ქვეყანას მოვახმარ.

**ლალი პაპასკირი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის რამდენი ატომური ბომბი აქვს?

## ბირთვული ქობინებისა და გადამტანი საშუალებების რაოდენობით აშშ რუსეთს ჯაბნის



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაახმაურა მონაცემები, თუ დღეისთვის რა ბირთვული შეიარაღება აქვს როგორც რუსეთის ფედერაციას, ისე თავად აშშ-ს.

ამ ერთი შეხედვით სრულიად საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროებაში უცნაური არაფერია, რადგან აშშ-სა და რუსეთს შორის 2010 წელს მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს ამ ორი ზესახელმწიფოს ბირთვული შეიარაღების ბალანსის დაცვას.

ორივე სახელმწიფო წელიწადში ორჯერ ცვლის მონაცემებს ბირთვული შეიარაღების შესახებ, რათა ერთმანეთის უფრო მეტი ნდობა გაუჩნდეთ. თუმცა ყურადსაღებია, რომ ინსპექტირებას ექვემდებარება მხოლოდ სტრატეგიული დანიშნულების საბრძოლო საშუალებებზე დასაყენებელი ბირთვული ქობინები და საავიაციო ბომბები. რაც შეეხება ტაქტიკური დანიშნულების ბირთვულ შეიარაღებას, ის ამ ხელშეკრულებაში არ ხვდება და ბევრად მეტი აქვს აშშ-სა და რუსეთსაც, ვიდრე სტრატეგიული დანიშნულების ბირთვული ქობინები.

2013 წლის 1-ლი მარტის მონაცემებით აშშ-ის შეიარაღებაშია 792 სტრატეგიული დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა, წყალქვეშა ნავებზე განთავსებული ბალისტიკური რაკეტა და საკონტინენტთაშორისო მძიმე ბომბდამშენი.

ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთისთვის მხოლოდ 492 ბალისტიკური რაკეტითა და ბომბდამშენით შემოიფარგლება.

ამერიკელებს 792 გადამტანზე სულ 1654 ბირთვული ქობინი აქვთ დამონტაჟებული, რუსეთს მხოლოდ 1480.

გარდა ამისა, აშშ-ის რეზერვში, დამატებით 236 ცალი სტრატეგიული გადამტანი ირიცხება, რომელთაც ბირთვული ქობინის გადატანა შეუძლიათ, რუსეთის რეზერვში კი მხოლოდ 408 ასეთი რაკეტა აქვს.

2010 წლის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ 2017 წლისთვის აშშ-მაც და რუსეთმაც ისე უნდა შეამცირონ სტრატეგიული ბირთვული არსენალი, რომ თითოეულის ბირთვული ქობინების გადამტანი არა უმეტეს 800 ერთეული საშუალებისგან მზადყოფნაში მხოლოდ 700 დარჩეს, 100 კი რეზერვში. სტრატეგიული დანიშნულების ამ გადამტანებზე ხელშეკრულებით დაშვებულია მხოლოდ 1550 ქობინის დაყენება.

ციფრების ამ კორიანტელში გათვაცნობიერება არცთუ ისე ადვილია, თუმცა ფაქტია, რომ ბირთვული განიარაღება აშშ-სა და რუსეთის შორის მაინც მიდის, ოღონდ ნელი ტემპით — ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში აშშ-მა 68 ბირთვული ქობინის დემონტაჟი განახორციელა, რუსეთმა კი მხოლოდ 19-ის.

აღსანიშნავია, რომ სამი წლის წინ პრეზიდენტი ობამა თავის რუს კოლეგას მედვედევს სთავაზობდა, ორ სახელმწიფოს კიდევ უფრო შეემცირებინა ბირთვული ქობინებისა და მათი სტრატეგიული რადიუსის მქონე გადამტანი რაკეტების რიცხვი, მაგრამ მაშინ კრემლმა უარი განაცხადა ამ მნიშვნელოვან წინადადებაზე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაისის ბოლოსთვის გაბალის რადიოლოკაციურ სადგურს რუსი სამხედროები მთლიანად დატოვებენ

## აზერბაიჯანი

● 24 მარტს ბაქოში აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი ქვედანაყოფის მატროსმა ტაბელური იარაღით მეორე მატროსი მოკლა.

● ბოლო 20 წელიწადში რუსეთმა აზერბაიჯანს 62 ტანკი Т-72Б მიჰყიდა.

● 26 მარტს ფრონტის გედაბექის მიმართულებაზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევისას დაიღუპა ზევადიან სამსახურში მყოფი აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე.

● 26 მარტს ფრონტის გედაბექის მიმართულებაზე სომხებმა თავში დაჭრეს მაიორი ასკეროვი, რომლის მდგომარეობა ექიმების შეფასებით დამაკმაყოფილებელია.

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო თურქულ კომპანია TISAS-თან ერთობლივად პოლიმერული მასალისგან პისტოლეტების წარმოებას შეუდგა. თებერვალში თურქულმა კომპანიამ 10 პისტოლეტი აზერბაიჯანს გამოსაცდელად გაუგზავნა.

● 27 მარტს ფრონტის გედაბექის მიმართულებით სროლის დროს აზერბაიჯანის არმიის 19 წლის ჯარისკაცი დაიჭრა.

● 28 მარტს დასახლება გეიტეპეში განთავსებულ (ჯალილაბადის რაიონი) ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცების ჩხუბის ერთი მონაწილე დანით დაჭრეს.

● აზერბაიჯანი რუსული შვეულმფრენების ერთ-ერთი დიდი იმპორტიორია და 2012 წლის მაჩვენებლით ინდოეთისა და აშშ-ის შემდეგ მე-3 ადგილზე (მოცულობამ 190 მლნ დოლარი შეადგინა) გავიდა. შარშან აზერბაიჯანელი სპეციალისტები რუსეთში ყაზანის შვეულმფრენების ქარხანას ესტუმრნენ და დაინტერესდნენ სპეციალური შვეულმფრენებით, რომელთა გამოყენება სამაშველო ოპერაციებსა და ხანძრების დროს შეიძლება. ამჟამად საგანგებო სიტუაციების სამინისტრო საძიებო-სამაშველო ოპერაციებში რუსული წარმოების Ми-8, Ми-17 და Ка-32 ტიპის შვეულმფრენებს იყენებს.

● მაისის ბოლოსთვის გაბალის რადიოლოკაციურ სადგურს რუსი ოფიცრების ოჯახები სრულად დატოვებენ. ამჟამად სადგურის სამხედრო ქალაქში დაახლოებით 70-მდე ოფიცრის ოჯახია.

● 1-ელ აპრილს გერანბოის რაიონში განთავსებული სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა იარაღის გაწმენდისას გაუფრთხილებელი გასროლით თანამებრძოლი დაჭრა.

● 1-ლი აპრილისთვის აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდში შესულმა თანხამ 50 მლნ დოლარს გადააჭარბა.

## სომხეთი

● მას შემდეგ, რაც სტეფანავანის აეროპორტი საგანგებო სიტუაციების სამინისტროს განკარგულებაში გადავა, თავდაცვის სამინისტროსთან ოთხი Ан-2-ის მიღების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყება. ამჟამად სომხეთის განკარგულებაშია კიდევ სამი აეროპორტი — სამოქალაქო „ზვარტნოცი", სამხედრო „ერებუნი" ერევანში და „შირაქი" — ქალაქ გიუმრთან.

● უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სომხეთმა რუსეთისგან 64 ტანკი Т-72 იყიდა.

● 26 მარტს სამხედრო პოლიციამ დააკავა ქვეყნის შეიარაღებული ძალების პოდპოლკოვნიკი, კაპიტანი და უფროსი ლეიტენანტი. მათ ბრალი ედებათ სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნისთვის ქრთამის აღების შუამავლობაში.

● 27 მარტს ვარშავაში ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთობლივი პოლონურ-სომხური საწარმოს შექმნაზე, სა-

რუსული 102-ე სამხედრო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბატალიონმა ალაგირზის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში სწავლებები ჩაატარა



# მიმოხილვა



რუსეთის არმიაში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს

და პოლონეთის კომპანია Lubawa, ხოლო სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ჩარენცავანის ჩარხშემქნებელი ქარხანა წარმოადგენდნენ.

● 30 მარტს თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა 2 ოფიცერი და 4 რიგითი მედლებით დააჯილდოვა რესპუბლიკის საზღვრებზე საბრძოლო მორიგეობის დროს გამოჩენილი სიფხიზლის, გაბედულებისა და სიმამაცისთვის.

● რუსული 102-ე სამხედრო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბატალიონმა ალაგიოზის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში სწავლება ჩაატარა თემაზე „სამთო პირობებში მოტომსროლელი და სატანკო ქვედანაყოფების საბრძოლო კომპლექტებით, საწვავითა და საპოხი მასალებით შევსება". სწავლებაში გამოყენებულ იქნა 40 ახალი სატვირთო ავტომობილი КамАЗ-53501 (6X6), გაშლილი იყო საველე პურის საცხობი, რომელიც დღის მანძილზე ახალი პურით 3 ათას კაცს უზრუნველყოფს. დაზიანებული ტექნიკის სარემონტოდ მუშაობდა მოძრავი ავტოსარემონტო საწარმო ПАРМ-1А. დამუშავდა დაზიანებული ტექნიკის ევაკუაციისა და სპეციალურ მოედანზე გადატანის ნორმატივები. სწავლებაში 300-ზე მეტი სამხედრო და ტექნიკის დაახლოებით 100 ერთეული მონაწილეობდა.

● კამჰუტის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში რუსული სამხედრო ბაზის საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფმა წვრთნა ჩაატარა პირობითი მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების მოგერიებაში. წვრთნაში 100-მდე სამხედრო მოსამსახურე და ტექნიკის 30 ერთეული მონაწილეობდა.

მარტის ბოლოს სეპარატისტული აფხაზეთის ფორმირებებმა მორიგი წვრთნები ჩაატარეს



## ჩრდილო კავკასია

● რუსეთის არმიაში დაიწყო საგაზაფხულო გაწვევა, რომელიც 150 ათასზე მეტ ახალწვეულს შეეხება. სამხრეთისა და ჩრდილო კავკასიის ფედერალური ოლქებიდან გაწვევა 25 ათასზე მეტ ახალგაზრდას შეეხება და მათ შორის 23 ათასი შეიარაღებულ ძალებში იმსახურებს. გაწვევა ჩეჩნეთსა და დაღესტანშიც დაიწყება, საიდანაც ბოლო რამდენიმე წელია ახალგაზრდები ჯარში აღარ მიჰყავდათ.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო სამმართველოს მონაცემებით, მარტში რუსმა მესაზღვრეებმა აფხაზეთ-საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე „საზღვრის რეჟიმის" დარღვევისთვის 40-ზე მეტი კაცი, ხოლო „სახელმწიფო საზღვრის" დარღვევისთვის კი 170-ზე მეტი კაცი დააკავეს. აღკვეთილია ტვირთის გადაადგილების 9 შემთხვევა. იმავე პერიოდში „ენგურის" ხიდით 22 ათასზე მეტმა კაცმა ისარგებლა და 1 800-ზე მეტმა სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა.

● სეპარატისტული ხელისუფლების რეპატრიაციის კომიტეტს 20 წელი შეუსრულდა — ის 1993 წლის 21 მარტს შეიქმნა. ამ დროის განმავლობაში აფხაზეთში 3 ათასზე მეტი თურქეთიდან, ხოლო სირიიდან 300 რეპატრიანტი ჩამოვიდა.

● 26-28 მარტს სეპარატისტთა რეგულარულ ფორმირებათა და გუდაუთის რაიონის სამხედრო კომისარიატის სამეთაურო-საშტაბო და სამობილიზაციო სწავლება ჩატარდა.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● 21 მარტს თავდაცვის ხაზის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებაზე საბრძოლო პოსტზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებისგან ყარაბაღის არმიის 20 წლის ჯარისკაცი დაიღუპა.

*თემურ ჩაჩანიძე*

# საზღვაო ბრძოლა და მისი ევოლუცია



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N7, 2013

## ირან-ერაყის ომი

ორი ქვეყნის ხანგრძლივ, რთულ ურთიერთობას (რელიგიური, პოლიტიკური, ტერიტორიული) ჯერ სასაზღვრო ინციდენტები მოჰყვა, ხოლო 1980 წლის 22 სექტემბერს სადამ ჰუსეინის ბრძანებით ერაყის არმია ირანის ხუზისტანის პროვინციაში შეიჭრა.

ზღვაზე ირანის ფლოტი (3 სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი, 4 სარაკეტო ფრეგატი, 4 კორვეტი, 12 სარაკეტო კატარღა, 4 სადესანტო ხომალდი, 5 მტრალავი ხომალდი, 100 სხვადასხვა კატარღა) ერაყთან (5 სარაკეტო ფრეგატი, 6 კორვეტი, 12 სარაკეტო კატარღა, 3 სადესანტო ხომალდი, 8 მტრალავი ხომალდი, 60 სხვადასხვა კატარღა) შედარებით უპირატესობას ფლობდა.

ასეთ პირობებში ერაყის ფლოტისთვის მთავარი ამოცანა ავიაციასთან ერთობლივი მოქმედებებით მოწინააღმდეგის ხომალდების განადგურება იყო, რასაც სპარსეთისა და ომანის ყურეებში, ორმუზის სრუტეში ერაყული ნავთობით დატვირთული ტანკერების უსაფრთხო ცურვა უნდა უზრუნველეყო.

მას შემდეგ, რაც ირანის საზღვაო ძალებმა ოპერაცია Morvarid-ი ჩაატარეს, ერაყელთა მთავარი ამოცანა საბოლოოდ დასამარდა.

1980 წლის 29 ნოემბერს ღამით ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების 6-მა ხომალდმა ერაყელთა ნავთობის ტერმინალების — მინა ელ-ბაქრისა და ხვარ ელ-ამეიის მწყობრიდან გამოსაყვანად კომანდოსების ჯგუფები გადასხეს.

იმავდროულად, ირანელთა ორმა სარაკეტო კატარღამ P224 Paykan-მა და P225 Joshan-მა (ფრანგული პ. Combattante IIa/Kaman) პორტების ელ-ფაოსა (მდინარე შატლ-ელ-არაბის ნაპირზე მდებარეობს) და უმ-ქასრის (ქუვეითის საზღვრის სიახლოვეს) ბლოკირება მოახდინეს, სადაც იმ მომენტში ნავთობით დატვირთული რამდენიმე ათეული ტანკერი იდგა.

დილით ერაყის სამხედრო-საზღვაო ძალები პორტების დებლოკირებას შეეცადა და მოწინააღმდეგეს სატორპედო (საბჭოთა პ. 183) და სარაკეტო (საბჭოთა პ. 205) კატარღების ორი ჯგუფით შეუტია.

დაპირისპირებულ მხარეთა სარაკეტო კატარღებმა ერთმანეთში რაკეტული დარტყმები გაცვალეს და ირანელთა Harpoon-ებით ერაყელთა ორი კატარღა ჩაიძირა, ხოლო Paykan-ს ერაყელთა ორი П-15 მოხვდა.

„პეიკანის“ ეკიპაჟმა ავიაციის გამოძახება მოასწრო, მაგრამ დასახმარებლად მოსული ორი F-4D-ს გამოჩენისას კატარღა უკვე ჩაძირული იყო და მფრინავებმა ერაყელთა კატარღების განადგურების ბრძანება მიიღეს.

სულ რაღაც ხუთ წუთში მფრინავებმა „ჰაერი-ხომალდის“ კლასის Maverick-ის ტიპის რაკეტებით ერაყელთა

„ჰაერი-ზედაპირის“ კლასის AGM-65 Maverick-ის ტიპის რაკეტა



4 სატორპედო (პ. 183) და 3 სარაკეტო (პ. 205) კატარღა ჩაძირეს.

ბრძოლაში ერაყელთა გამანადგურებელ-ბომბდამშენი МиГ-23БН-ები ჩაება და ირანელთა მეორე კატარღას Joshan-ს შეუტიეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა „სტრელებით“ თავის დაცვა და ორი თვითმფრინავის ჩამოგდება მოახერხა.

პირველივე საზღვაო ბრძოლაში გამოჩნდა ერაყელი მეზღვაურების სუსტი მომზადება, ავიაციასთან შეუთანხმებელი მოქმედებები და მოწინააღმდეგის შესაძლებლობათა არასწორი შეფასება, როცა ირანელმა მეზღვაურებმა გაბედული მოქმედებებით მოწინაალმდეგეს მტკივნეული დანაკარგი მიაყენეს.

გამოჩნდა საბჭოთა სარაკეტო კატარღების სუსტი საზენიტო შეიარაღება, რაც თვითმფრინავთან ორთაბრძოლაში მას თავიდანვე წამგებიან პოზიციაში აყენებდა.

შემდგომში ზღვაზე ომმა წყალზედა ხომალდების მონაწილეობით ეპიზოდური ხასიათი მიიღო და ორივე მხარემ საზღვაო მოქმედებათა მთელი სიმძიმე ნავთობით დატვირთული ტანკერების განადგურებაზე გადაიტანა.

## ოპერაცია Prairie Fire

80-იანი წლების პირველ ნახევარში ევროპის საჰაერო სივრცეში პალესტინელმა ტერორისტებმა რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს, რის ხელშეწყობაშიც აშშ-მა ლიბია და მუამარ კადაფი დაადანაშაულა.

ლიბიის საკითხზე ვაშინგტონის მწვავე განცხადებები გაკეთდა და მალე მას საპასუხო მოქმედებები მოჰყვა — 1986 წლის 24 მარტის შუაღამეს ამერიკული თვითმფრინავები და ხომალდები ლიბიის ჰაერსაწინაღო თავდაცვის დასაზვერ სადემონსტრაციო მოქმედებებზე გადავიდნენ.

თვითმფრინავები ლიბიის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 100-130 კმ-ის დაშორებით პატრულირებდნენ და ქვეყნის საჰაერი სივრცეს არ არღვევდნენ.

საპასუხო ნაბიჯებისგან ლიბიაც თავს იკავებდა, მაგრამ 24 მარტის დღის მეორე ნახევარში ამერიკულ თვითმფრინავებს რამდენიმე საზენიტო რაკეტა ესროლეს, თუმცა უშედეგოდ.

ამერიკელებიც ამას ელოდნენ და ჰაერსა თუ ზღვაში გადამჭრელ მოქმედებათა ჩატარებაზე გადავიდნენ.

ქალაქ მისურათიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 80 მილში მყოფი ლიბიელთა სარაკეტო კატარღა Waheed-ი (ფრანგული პ. Combattante IIG) შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავმა E-2C Hawkeye-მა აღმოაჩინა და კოორდინატები ორ საზღვაო მოიერიშე A-6 Intruder-ს გადასცა.

მფრინავებმა სამიზნის კოორდინატები დააზუსტეს და შემდეგ Harpoon-ი ესროლეს, რომელიც კატარღის ზედნაშენზე აფეთქდა.

„ვაჰიდს“ ხანძარი გაუჩნდა, ცეცხლი მოედო 76 მმ-იანი ჭურვებისა და Exocet-ების საცავებს, რაც კატარღის ჩაძირვით დასრულდა.

მეორე დღეს 25 მარტს პორტ ბენღაზიდან დასავლეთით 20 მილში ამერიკულმა სარაკეტო კრეისერმა CG-48 Yorktown-მა პატარა სვლით მოცურავე სამიზნე აღმოაჩინა, რომელსაც სავალი შუქები და რადიოელექტრონული საშუალებები გამორთული ჰქონდა.

როცა ხომალდებს შორის მანძილი 11 მილამდე შემცირდა, რადიოლოკაციური სადგური მცირე დროით ჩაირთო და ამერიკელმა მეზღვაურებმა მაშინვე სამიზნის კლასიფიცირება მოახდინეს.

ლიბიელთა კორვეტის Ean Zaquit-ის (საბჭოთა პ. 1234Э) მიმართულებით გასროლილი ორი „ჰარპუნიდან“ პირველი რაკეტა კატარღას წყალხაზის ცოტა ზევით მოხვდა, სამანქანო განყოფილებაში შევარდა და აფეთქებით 20 კვმ-ის ნახვრეტი გააჩინა, საიდანაც კორპუსში წყალი შევარდა.

რამდენიმე წამის შემდეგ მეორე „ჰარპუნი“ ზედნაშენზე აფეთქდა. რადგან სროლის მანძილი პატარა იყო, ამიტომ რაკეტაში დარჩენილი საწვავი გემბანზე დაიღვარა, აალდა და კორვეტი ზღვის სიღრმეში გაუჩინარებამდე ცეცხლმოდებული ჩირაღდანივით იწვოდა.

ამერიკელთა წარმატების ხელი შეუწყო რამდენიმე მომენტმა, საიდანაც გამოსაყოფია:

— ამერიკული თვითმფრინავები და ხომალდები ლიბიის საჰაერო-საზღვაო სივრცეში არსებულ ვითარებას სრულად აკონტროლებდნენ და გამწვავების შემთხვევაში რეაგირებისთვის მზადყოფნის მაღალ ხარისხს ინარჩუნებდნენ;

— ხომალდების ეკიპაჟების მომზადების დონე ძალიან მაღალი და მოქმე-



საბჭოთა 1234Э პროექტის კორვეტი, რომლის მსგავსი იყო ლიბიელთა Ean Zaquit-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპარსეთის ყურეში მიმდინარე „სატანკერო ომის“ მძიმე შედეგები







დებები კი ავტომატიზმამდე იყო დაყვანილი, რაც დამსწრები შეტევების აუცილებელი წინა პირობაა;

— ხომალდების საჰაერო თავდაცვის საიმედო და ეფექტური სისტემები კი ლიბიელთა სარაკეტო დარტყმების მოგერიების გარანტია იყო;

— არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი ლიბიელი მეზღვაურები კი მთლიანად იყვნენ დამოკიდებული იღბალზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ხომალდები საჰაერო თავდაცვის საუკეთესო საზენიტო-რადიოელექტრონული საშუალებებით არიან აღჭურვილი და მას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ემსახურებიან, შეცდომებისგან დაზღვეული არც ისინი არიან.

ასეთ შემთხვევას კი ადგილი 1987 წლის 17 მაისს სპარსეთის ყურეში ჰქონდა, როცა სარაკეტო ფრეგატი FFG-31 Stark-ი საუდის არაბეთის სანაპიროსთან საპატრულო ამოცანებს ასრულებდა.

მართალია, ფრეგატის მეთაურმა AWACS-ის სისტემის თვითმფრინავიდან ინფორმაცია ჰაერში ერაყელთა Mirage F1-ის გამოჩენის შესახებ დროულად მიიღო, მაგრამ მისი მოქმედებები სწრაფი და გადამჭრელი არ აღმოჩნდა. თან იმ მომენტში 20 მმ-იანი Phalanx CIWS-ის საზენიტო დანადგარი ხელის რეჟიმში იყო. შედეგად „მირაჟიდან“ მცირე ინტერვალით გაშვებული ორი Exocet AM.39 „სტარკის“ მარცხენა ბორტს დაახლოებით 42 კმ-დან და 29 კმ-დან მოხვდა. პირველი რაკეტა არ აფეთქდა, მაგრამ მეორის აფეთქებამ კი ფრეგატი მძიმედ დააზიანა.

## თვითმფრინავისა და ხომალდის დუელი

ირან-ერაყის ომი 1984 წლის აპრილიდან სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ნავთობის ტრანსპორტირების მოსაშლელ მიზანმიმართულ მოქმედებებში გადავიდა, რომელიც „სატანკერო ომის“ სახელით არის ცნობილი.

მშვიდობიან გემებზე თავდასხმისთვის ორივე მხარე სწრაფსვლიან კატარღებს, ხომალდებს, თვითმფრინავებს, შვეულმფრენებს, სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო სისტემებსა და ნაღმებს იყენებდა.

„სატანკერო ომის“ მსხვერპლთა სიაში აღმოჩნდა ამერიკული დროშით მოცურავე რამდენიმე ტანკერი. 1988 წლის 14 აპრილს კი ირანულ ნაღმზე სარაკეტო ფრეგატ FFG-58 Samuel B. Roberts-ის აფეთქება გახდა ის წვეთი, რომელმაც ამერიკელებს მოთმინების ფიალა აუვსო და ირანის აქტიურობის შესაჩერებელი ოპერაციისკენ უბიძგა. მიზანი კი ირანელთა ნავთობმომპოვებელი პლატფორმებისა (გამოიყენებოდა ტანკერებზე თავდასხმის ორგანიზებისთვის) და ფრეგატის კლასის ხომალდების მწყობრიდან გამოყვანა იყო. ოპერაცია Praying Mantis-ი ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებმა 1988 წლის 18 აპრილს ჩაატარეს. ამერიკელთა ერთ-ერთი სახომალდო შემტევი ჯგუფი Bravo სარაკეტო კრეისერ CG-28 Wainwright-ის, სარაკეტო ფრეგატების FFG-56 Simpson-ისა და FF-1069 Bagley-ს შემადგენლობით ირანის ნავთობმომპოვებელი პლატფორმა Sirri-ს გასანადგურებლად გაიგზავნა. საზღვაო ქვეითებმა დავალება სწრაფად შეასრულეს და სახომალდო შემტევი ჯგუფი რაიონის პატრულირებაზე გადავიდა, როცა შვეულმფრენმა ირანელთა სარაკეტო კატარღა P225 Joshan-ი შეამჩნია.

Wainwright-მა ეკიპაჟს შეჩერება და ბორტის დატოვება შესთავაზა, მაგრამ კატარღამ საბრძოლო პოზიცია დაიკავა და 13 მილიდან ამერიკულ ხომალდს ჩინური ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა C-801 ესროლა.

მანევრირებითა და ცრუსამიზნეებით კრეისერმა რაკეტა აიცდინა და საპასუხოდ ხუთი Standard SM-1 ესროლა. ხუთივემ მიზანს მიაღწია და Joshan-ი წყალში სწრაფად გაუჩინარდა.

ირანელებმა შეტევის განვითარება F-4E Phantom-ით სცადეს, მაგრამ

აზენიტო რაკეტებით თვითმფრინავის ‍დაზიანება მოხერხდა და პილოტი უკან ‍აბრუნდა.

ორმუზის სრუტეში მყოფი კიდევ ‍რთ სახომალდო შემტევი ჯგუფის Del-‍ta-ს მეთაურობას ინფორმაცია ჰქონდა, ‍რომ ირანელთა Boghammar-ის ტიპის ‍სწრაფსვლიანმა კატარღებმა დაცხრი-ლეს ამერიკული ნავთობმომპოვებელი ‍პლატფორმა და სამოქალაქო გემებს ‍თავს დაესხნენ.

ორმა საზღვაო მოიერიშე A-6 Intru-der-მა კატარღები Rockeye-ს ტიპის ‍კასეტური ბომბებით „დაამუშავა“ — ‍ერთი კატარღა ჩაიძირა, ხოლო ამის ‍შემყურე დანარჩენი სამის ეკიპაჟმა ‍თავს ნაპირზე გარიყვით უშველა.

ირანის ფლოტის განადგურება გაგ-‍რძელდა და ამერიკელთა სამიზნეში კუნძულ ლარაკთან ფრეგატი F-74 Sahand-ი მოექცა, რომელმაც მოიერიშე A-6 Intruder-ს საზენიტო საშუალებებიდან ცეცხლი გაუხსნა.

„ინტრუდერმა“ მანევრირებითა და ტექნიკური საშუალებებით რაკეტები აიცილა და საპასუხოდ ფრეგატს „ჰარპუნითა“ და მართვადი ბომბებით შეუტია.

„საჰანდს“ ცეცხლი გაუჩნდა, სვლა დაკარგა და უძრავ სამიზნედ იქცა. რამდენიმე წუთში ამერიკულმა ხომალდებმა და თვითმფრინავებმა ერთობლივი დარტყმებით მას ბოლო მოუღეს და ჩაძირეს.

გაუმართლა მშვიდობიან გემებზე თავდასხმებით ცნობილ ფრეგატ F-73 Sabalan-ს, რომელიც ამერიკელთა ერთ-ერთ სამიზნედ ითვლებოდა.

„ინტრუდერმა“ „საბალანს“ 500-ფუნტიანი ბომბი მოახვედრა. ბომბი სამანქანო განყოფილებაში აფეთქდა და ხომალდმა სვლა დაკარგა, მაგრამ მისი ჩაძირვისაგან ამერიკელმა სამხედროებმა თავი შეიკავეს — ჩაითვალა, რომ ოპერაციის მიზანი შესრულებული იყო.


ამერიკული სარაკეტო ფრეგატი FFG-31 Stark-ი ერაყელთა „ეკზოსეტებით“ დაზიანების შემდეგ

შედეგის ანალიზისას სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ყველა საბრძოლო ეპიზოდში წარმატება რაოდენობრივ უპირატესობასთან ერთად დაკავშირებული იყო სხვა გარემოებებთანაც:

— ოპერაციას წინ უსწრებდა ხანგრძლივი და ინტენსიური მზადება, სადაც ხომალდებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟებმა სწავლებებზე დაამუშავეს მცირეზომიან, სწრაფ წყალზედა სამიზნეებთან, დაბალ სიმაღლეზე მფრენ თვითმფრინავებსა და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებთან ბრძოლის ხერხები. მრავალგზის ჩატარდა სასწავლო სროლები და დაბომბვები ფრთოსანი რაკეტების, სახომალდო არტილერიის, მართვადი და თავისუფალი ვარდნის ბომბების გამოყენებით;

— უშუალოდ ოპერაციის მსვლელობისას დიდი ყურადღება დაეთმო დაზვერვის ორგანიზებას, სამიზნეთა მითითებას, ხომალდებისა და თვითმფრინავების ურთიერთქმედებას;

— მაღალი სიზუსტის სახომალდო-საავიაციო იარაღი გარკვეული თანამიმდევრობით იყო გამოყენებული: ირანელთა ხომალდის საჰაერო თავდაცვის მოსაშლელად და სვლის შესაჩერებლად ჯერ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებსა და მართვად ავიაბომბებს Walley-ს ესროდნენ. ამის შემდეგ სამიზნის გასანადგურებლად ახლო მანძილიდან ლაზერული დამიზნების Skipper-ისა და თავისუფალი ვარდნის ავიაბომბებს იყენებდნენ.

**თეიმურ ჩაჩანიძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**


ოპერაცია Prairie Fire-ში ლიბიელთა სამიზნეებზე ამერიკული საჰაერო-საზღვაო ძალების გაყვანას შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავი E-2C Hawkeye-ი უზრუნველყოფდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პროგრამირებული ჭურვები

თანამედროვე ტექნოლოგიები უნიკალური შესაძლებლობების მქონე შეიარაღების შექმნის საშუალებას იძლევა. რამდენიმე ათეული წელია 122-იანი, 152-იანი და 155 მმ-იანი (NATO-ს სტანდარტის კალიბრი) ბუქსირებადი და თვითმავალი ჰაუბიცები მართვად ჭურვებს იყენებენ. ამ ტექნოლოგიურმა ინოვაციამ არტილერისტებს სროლის რამდენჯერმე გაზრდილ სიზუსტესთან ერთად, წერტილოვანი სამიზნეების გასანადგურებლად საჭირო ჭურვების რაოდენობის შემცირების საშუალებაც მისცა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სპეციალისტებმა შედარებით მცირე — 30-იანი და 40 მმ-იანი საარტილერიო სისტემების გაუმჯობესებაც დაიწყეს. შეიცვალა ჭურვებიც. გარკვეულწილად საარტილერიო სისტემის მახასიათებლები სწორედ ამ კომპონენტზეა დამოკიდებული.

ბოლო სიახლედ ე. წ. „პროგრამირებული ჭურვები“ ითვლება.



30 მმ-იანი პროგრამირებული ჭურვი. ფოტოზე კარგად ჩანს ცილინდრული ფორმის დამაზიანებელი ელემენტები

არტილერიაში იყენებდნენ. სროლის წინ ამფეთქის შეყენება მოწინააღმდეგის ფრენის სიმაღლის გათვალისწინებით ხდებოდა. გასროლის შემდეგ ამფეთქი დროზე (ტაიმერული რეჟიმი) ან სიმაღლის ცვლილებაზე რეაგირებდა და ჭურვის დეტონაციას ახდენდა. უფრო ადრე მსგავსი ტიპის მექანიკურამფეთქიანი (დისტანციური მოქმედების) ჭურვები არტილერიაში გამოჩნდნენ. ცოცხალი ძალის წინააღმდეგ შრაპნელით სავსე ჭურვების გამოყენება დიდ ეფექტს იძლეოდა.

ჭურვს ქვემეხში მოთავსებამდე მექანიკურად (ხელით) „აპროგრამებდნენ“. აფეთქების სასურველ დროს სამიზნემდე არსებული მანძილის მიხედვით ითვლიდნენ. დროის ამოწურვის შემდეგ, მოქმედებაში მოსული ამფეთქი ჭურვის კორპუსს ხეთქავდა. დამატებითი მუხტის აფეთქება კი შრაპნელის (ბურთულები ან ბასრწახნაგიანი დამაზიანებელი ელემენტები) გაფანტვას უზრუნველყოფდა.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა დისტანციურამფეთქიანი ჭურვების შესაძლებლობები გააუმჯობესა. თუ ადრე საარტილერიო სისტემებში ჭურვის აფეთქების დროის რეგულირება ხელით შეიძლებოდა, ახლა ამ ოპერაციას კომპიუტერულ სისტემას ჭურვში შესაბამისი პარამეტრები შეჰყავს და გასროლის შემდეგ წინასწარ მითითებულ მანძილზე აფეთქებს. ასეთი ტიპის ჭურვები ადრეც არსებობდა, ოღონდ ამფეთქს ხელით აყენებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს ასეთ საბრძოლო მასალას საზენიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



უახლოეს მომავალში პროგრამირებული ჭურვების გამოყენებას იტალიური „ოტო მელარა“ 155 მმ-იან თვითმავალ ჰაუბიცებში გეგმავს

პიუტერული სისტემა აკეთებს. ავტომატურ რეჟიმში სროლისას თითო ჭურვის აფეთქების მომენტის შერჩევა ინდივიდუალურად, ჯერში არსებული მათი რაოდენობის მიუხედავად შეიძლება.

მსგავსი სისტემით აღჭურვილი ქვემეხი უახლეს გერმანულ ქვეითთა საბრძოლო მანქანა Puma-ზე გამოიყენება. 30 მმ-იანი MK 30-2/ABM, რომელიც საჰაერო დეტონაციის ჭურვების სროლაზეა მორგებული, ფირმა „რეინმეტალმა“ შექმნა. ამფეთქის დაპროგრამებისთვის ქვემეხს სპეციალური სალულე მოწყობილობითა აქვს. სროლა NATO-ს სტანდარტის 30×173 მმ-ის კალიბრის ორი ტიპის ჭურვებით წარმოებს. პირველი — ჯავშანგამტანი ქვეკალიბრული ჭურვია, რომელიც 2000 მ-ზე 60 მმ-ის სისქის ჯავშანს ხვრეტს. დიდ ინტერესს „პუმასთვის“ განკუთვნილი მეორე — საჰაერო დეტონაციის KETF-ის ტიპის გასროლა იმსახურებს. ის მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, მსუბუქად შეჯავშნული სამხედრო ტექნიკისა და დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენების განადგურებაზეა განკუთვნილი.

ამფეთქის დაპროგრამება ჭურვის მიერ სალულე მოწყობილობის გავლის მომენტში ხდება. ამ უკანასკნელს სამი რგოლი აქვს. პირველი ორი, მოწყობილობაში გამავალი ჭურვის სიჩქარეს ზომავს. მიღებული მონაცემები ცეცხლის მართვის სისტემას გადაეცემა. პარალელურად, ქვემეხის ოპერატორი ლაზერული მანძილმზომით სამიზნემდე მანძილს ზომავს. მიღებული სიდიდე ასევე ცეცხლის მართვის სისტემის კომპიუტერში იგზავნება. ჭურვის საწყისი სიჩქარისა და სამიზნემდე არსებული მანძილის სიდიდეების გათვალისწინებით სალულე მოწყობილობის ბოლო მესამე რგოლი ჭურვის ამფეთქს აპროგრამებს. ჭურვი მასში შეყვანილი დროის გასვლის შემდეგ აფეთქდება.



35 მმ-იანი ქვემეხის სალულე მოწყობილობა, რომელიც ჭურვის ამფეთქს აპროგრამებს

სამიზნის განადგურება KETF-ს 2000 მ-მდე მანძილზე შეუძლია. ამისთვის მას ცილინდრული ფორმის 1,24 გ-იანი 162 ცალი ვოლფრამის დამაზიანებელი ელემენტი აქვს. დისტანციური მოქმედების ჭურვის თავისებურებიდან გამომდინარე, Puma-ს სწრაფსროლა წუთში 200 გასროლით შემოიფარგლება. მოცემული ტიპის ჭურვების გამოყენება ერთნაირი ეფექტურობით როგორც გაშლილ, ასევე სანგარში ან საფარს მიღმა მყოფი ცოცხალი ძალის წინააღმდეგაც შეიძლება.

**სტანდარტულებთან შედარებით, პროგრამირებადი ჭურვების გამოყენება დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქის ბრძოლებში გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა. შენობის ნანგრევებში დამალული მოწინააღმდეგის განადგურება მსგავსი ტიპის საბრძოლო მასალის გამოყენებით საგრძნობლად მარტივდება. გამოცდილ მემიზნე-ოპერატორის მიერ ფანჯარაში „შეგდებული“ 2-4 ჭურვი და მათი აფეთქებით წარმოქმნილი ვოლფრამის ბურთულების „წვიმა“ საჭირო ოთახს, სართულს ან მთლიანად შენობას გარანტირებულად „გაასუფთავებს“.**

მსგავს ჭურვებს შვედური (CV-90) და სამხრეთკორეული (K21) ქვეითთა საბრძოლო მანქანებიც იყენებენ. 3P-ის ტიპის პროგრამულამფეთქიან ჭურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაქსიმალური ეფექტისთვის სამიზნეს ერთდროულად [illegible] MANTIS-ის ორი საარტილერიო დანადგარი [illegible]

ვს (40ხ365) შვედური ფირმა Bofors-ის მიერ შექმნილი L/70-ის ტიპის 40 მმ-იანი ქვემეხი იყენებს. ამფეთქს მოქმედების ექვსი რეჟიმი აქვს, რომელთა შერჩევაც საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ხდება. სამიზნის განადგურებას 3 მმ-იანი 1100 ვოლფრამის ბურთულა უზრუნველყოფს. ამ რიცხვს თავად კორპუსის აფეთქებისას წარმოქმნილი ფრაგმენტებიც ემატება (ჯამში 3000-მდე). 5 მ-ის სიმაღლეზე აფეთქებისას ჭურვი 140 $м^2$-ის ფართობს სრულად ფარავს. ამიტომაც ცოცხალი ძალის გარდა 3P-ების გამოყენება, მოწინაალმდეგის თავმოყრილი ან კოლონად გადაადგილებადი მსუბუქად შეჯავშნული ტექნიკის განადგურებაც შეიძლება. არანაკლებ ეფექტურად მოქმედებს პროგრამირებადი ჭურვი საზღვაო სამიზნეების წინააღმდეგაც.

სპეციალურად ხომალდებისთვის Bofors-მა 57 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი უნივერსალური საარტილერიო სისტემა Mk 110 შექმნა. 40 მმ-იანი ანალოგის მსგავსად, ისიც პროგრამირებადამფეთქიანი ჭურვების გამოყენებაზეა მორგებული. 3P-ის ტიპის 57 მმ-იანი ჭურვი (ამერიკული ნიშნული Mk 295) 2,5 კგ-ის იწონის. მომატებულ წონასთან ერთად, დამაზიანებელი ბურთულების რაოდენობა 2400-მდე გაიზარდა. კორპუსის ფრაგმენტებითურთ, მათი რიცხვი 8000-მდე იზრდება და სამიზნიდან 5 მ-ის სიმაღლეზე აფეთქების შემთხვევაში ჭურვის დაზიანების არეალი 400 $м^2$-ს მოიცავს.



პროგრამირებული ჭურვების სროლაზე მორგებული შვედური სახომალდო უნივერსალური საარტილერიო სისტემა Mk 110

ჯერჯერობით Mk 110-ის ტიპის უნივერსალური სახომალდო საარტილერიო დანადგარი მხოლოდ Independence-ის და Freedom-ის ტიპის სანაპირო ზონის ამერიკულ ხომალდებზე გამოიყენება.

ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დისტანციური მოქმედების ჭურვები საზენიტო არტილერიაში ისევ გამოჩნდნენ. შარშან ნოემბერში გერმანულმა ლუფტვაფემ შეიარაღებაში Rheinmetall Defence-ში შექმნილი საზენიტო-საარტილერიო სისტემა MANTIS-ი მიიღო. ის ბატარეის სახით მოქმედებს. თითოეულის შემადგენლობაში ექვსი დისტანციური საარტილერიო დანადგარი, ორი რადიოლოკაციური სადგური და საკომანდო პუნქტი შედის.

MANTIS-ი ახლო მოქმედების საზენიტო საშუალებებს მიეკუთვნება და ძირითადად დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენებისა და უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდებაზეა გამიზნული. თუმცა, მას ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს — მსოფლიოში შეიარაღებაში მიღებული პირველი სისტემაა, რომელსაც საარტილერიო ჭურვებისა და ნაღმსატყორცნების ნაღმების „ჩამოგდებაც“ შეუძლია. კომპლექსი ავღანეთისთვის შეიქმნა. ყუნდუზსა და მაზარი-შარიფში განლაგებული ბუნდესვერის ბაზები თალიბთა საარტილერიო დარტყმების მსხვერპლნი არაერთხელ გამხდარან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი საარტილერიო სისტემები 35 მმ-იანი ქვემეხებითაა აღჭურვილი (სროლის ტემპი წუთში 1000 გასროლა). რადარს მოწინაალმდეგის ჭურვის აღმოჩენა 3 კმ-ში შეუძლია. დაფიქსირებისთანავე კომპლექსის ცეცხლს ავტომატურად ხსნის.

MANTIS-ის კიდევ ერთი უნიკალურობა პროგრამირებადი ჭურვების გამოყენებაშიც მდგომარეობს. ამფეთქის შეყენებას და დეტონაციის სასურველი დროის შეყვანას სალულე მოწყობილობა უზრუნველყოფს. AHEAD-ის ტიპის 35 მმ-ის კალიბრის ჭურვები დამაზიანებელი ელემენტების სახით 3,3 გ-იან ვოლფრამის ბურთულებს შეიცავენ. მოწინაალმდეგის საარტილერიო ჭურვის ან ნაღმის განადგურებას 152 ცალი ასეთი ბურთულა უზრუნველყოფს.



დამაზიანებელი ელემენტებით დაცხრილული „იროკეზი“

გამოცდის წარმატებით დასრულებისა (რეალური საარტილერიო ჭურვების გამოყენებით კომპლექსი 2008 წელს თურქეთში გამოიცადა) და შეიარაღებაში მიღების მიუხედავად, გერმანული ბაზების დასაცავად MANTIS-ის გაგზავნა ავღანეთში აღარ მოხდება. სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება აზიის ამ ქვეყნიდან 2014 წელს დაგეგმილ გერმანული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას უკავშირდება.

***ალექსანდრე აფაქიძე***

თანამედროვე ტექნოლოგიები, პროგრამირებადი ჭურვების გამოყენების საშუალებას პირადი მოხმარების იარაღშიც იძლევა. 2010 წელს რეალურ პირობებში გამოსაცდელად ამერიკელებმა ავღანეთში ყუმბარსატყორცნი XM-25-ის რამდენიმე ათეული ეგზემპლარი გაგზავნეს. ბულპაპის სქემით შექმნილი 25 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი (მისი კორპუსი პლასტმასისგან არის დამზადებული) მოდულური კომპლექს XM29OICW-ის ცალკეულ კომპონენტზე დაყოფით შეიქმნა. საწყის ვარიანტში ის 5,56 მმ-იან ავტომატსა და 20 მმ-იან ყუმბარსატყორცნს აერთიანებდა, მაგრამ ყუმბარის კალიბრის 25 მმ-მდე გაზრდის მოთხოვნამ მთლიანად კომპლექსის წონის ზრდა გამოიწვია. ამიტომაც მისი ორად გაყოფა — XM29OICW გადაწყვიტეს.

ნახევრად ავტომატური ტიპის XM-25-ს (ამერიკულ-გერმანული ფირმების ერთობლივი ქმნილება) წერტილოვანი სამიზნის განადგურება — 500 მ-ზე, ფართობზე გაშლილის კი 700 მ-ზე შეუძლია. ძირითადი საბრძოლო მასალის სახით ყუმბარსატყორცნი დისტანციური აფეთქების მქონე HEAB-ის ტიპის ყუმბარებს იყენებს. მსხვრევად-ფუგასური მოქმედების ყუმბარის პროგრამირება სპეციალური სამიზნე კომპლექსით ხდება. მის შემადგენლობაში ოპტიკური დღის და ელექტროოპტიკური ღამის სამიზნეები, ლაზერული მანძილმზომი, ელექტრული კომპასი და ბალისტიკური გამომთვლელი შედის.

ყუმბარის დაპროგრამება (XM-25-ს 6 ყუმბარაზე გათვლილი მჭიდი აქვს) ლაზერული მანძილმზომიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე მოხდება. საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის სამიზნე კომპლექსის დაზიანებისას) HEAB-ის გამოყენება კონტაქტურამფეთქიან ვარიანტშიც შეიძლება.

ამ ეტაპზე ყუმბარსატყორცნის მთავარი „მტერი“ მისი ფასია. ერთი XM-25 — 35 ათასი, ყუმბარა კი 1.000 ამერიკული დოლარი ღირს. სერიული წარმოების შემთხვევაში, იარაღის ფასის შემცირება 25 ათასამდე, ყუმბარის კი 35 დოლარამდე იგეგმება.





არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა





**196** ქიმიური იარაღი პირველად პირველ მსოფლიო ომში გამოიყენეს. 1915 წლის აპრილში გერმანელებმა ფრანგ ჯარისკაცებს მომწამვლელი აირით გაუსწორდნენ. ის ფილტვებსა და ყელის ქსოვილებს აღიზიანებდა. მას შემდეგ ჯარისკაცებმა თავდასაცავად აირწინაღების გამოყენება დაიწყეს.

▲ ბრიტანელი კავალერისტი მეტყვიაზე გადადის 1916 წელს. როგორც მებრძოლს, ისე მის ცხენს, აირწინაღი იცავს მომწამვლელი გაზისაგან.



▶ ბრიტანელი ქვეითი 1944 წელს. მას ფოლადის ჩაფხუტი ახურავს, ხელში კი STEN-ის, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი აქვს.

**197** თანამედროვე ჯარისკაცებს ყოველთვის ჩაფხუტი ახურავთ. ყუმბარებისა და ჭურვების ნამსხვრევები რომ არ მოხვდეთ, თავს სანგრებს ან ორმოებს აფარებენ. ლითონის ჩაფხუტი ჯარისკაცის თავს იცავს.

**კითხვები**

1. მომწამვლელი აირი პირველად მეორე მსოფლიო ომში გამოიყენეს?
2. რას ნიშნავს APC?
3. გამნაღმველის სპეციალური ჯავშანი რისთვის?





▶ ბრიტანული საბრძოლო ტანკი უდაბნოში წინ მიიწევს. ტანკებმა და ჯავშანმანქანებმა შეცვალა თანამედროვე ბრძოლის შედეგები.

**198** საერთოსაჯარისო ბრძოლაში ტანკები მონაწილეობენ. მათი ჯავშანი, რომელიც ჭურვებისა და რაკეტებისგან იცავს, ძალზე მძიმეა. საბრძოლო მანქანები, როგორიცაა ტანკი ან ჯავშანტრანსპორტიორი (APC), აუცილებლად შეჯავშნული უნდა იყოს. ჯავშანავტომობილები თანამედროვე ჯარის გადაადგილების ძირითადი საშუალებაა და იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც აბჯარი რაინდებისთვის შუა საუკუნეებში.

**199** საუკეთესო ჯავშნის წყალობით ჯარისკაცი დაცულია. კამუფლაჟი მცენარეების, ცის ან ქვიშის ფონს ჰგავს, ჩაფხუტებზე კი სპეციალური ღვედი აქვთ, რომ შესანიღბად მცენარეები დაამაგრონ.



**200** გამნაღმველები სპეციალურ ჯავშანს ატარებენ. ის ისეა დამზადებული, რომ ჯარისკაცი აფეთქების ტალღისგან დაიცვას. ჯავშანი სხეულის დიდ ნაწილს ფარავს და ამავდროულად, აძლევს ჯარისკაცს იმის საშუალებას, რომ ხელები ნაღმის გასაუვნებლად გამოიყენოს.

▼ ამერიკელი ჯარისკაცი ერაყში. მას ტყვიაგაუმტარი ჯავშანი და ჩაფხუტი იცავს.



**201** ათასობით წლის განმავლობაში იაპონიაში იყვნენ მეომრები, რომლებიც სამურაის სახელით იყვნენ ცნობილი. მათი სახელი ნიშნავს „პირს, რომელიც მსახურობს". სამურაები სარდალს (სამხედრო ლიდერს) ემორჩილებოდნენ. ბრძოლები ერთმანეთთან დაპირისპირებულ სარდლებს შორის იმართებოდა. სამურაების ქცევის კოდექსს ბუშიდო ეწოდებოდა. კოდექსით განსაზღვრული იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ არა მარტო ბრძოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. უმამაცესი და მძვინვარე სამურაები იაპონელი საზოგადოების პატივცემული წევრები იყვნენ.



▼ (სამურაი) სამურაები ... მანძილზე ქვეითად და ცხენდაცხენ იბრძოდნენ. სცენა ასახავს კავანაკაჯიმას ბრძოლას 1561 წელს, რომელიც გაიმართა იაპონიის კუნძულ ჰონსიუს ჩრდილოეთ ნაწილში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა




1940 წელს ბრიტანეთში 3-ტონიანი სატვირთო Bedford-ის ბაზაზე 37 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილ Armadille MkIII-ს ამზადებდნენ

# შეიარაღებული სატვირთო ავტომობილი ანუ Gun Truck-II

არმიაში სატვირთო ავტომობილების ყოველდღიური გამოყენება ქვედანაყოფთა საბრძოლო ამოცანების უზრუნველყოფასა და სატრანსპორტო მომსახურებასთან არის დაკავშირებული.

თუ ამოცანა რეალურ საბრძოლო პირობებშია შესასრულებელი, მაშინ სატვირთო ავტომობილი ერთ-ერთი დაუცველი სატრანსპორტო საშუალებაა და მისი მწყობრიდან გამოყვანა ძნელი არ არის.

ასეთი პრობლემა XX საუკუნის თითქმის ყველა ომში იდგა და ამის წინაშე ამერიკელი სამხედროები ვიეტნამში აღმოჩნდნენ. სამხრეთ ვიეტნამის პორტებიდან ქვეყნის შიდა რაიონებში ტვირთის გადაზიდვისას სატვირთო ავტომობილების კოლონები (ზოგჯერ 200-ზე მეტ ავტომობილს ითვლიდა) ვიეტკონგელი პარტიზანებისთვის ერთ-ერთ კარგ სამიზნედ ითვლებოდა. მართალია, კოლონებს უსაფრთხოებისთვის ჯავშანტექნიკა და შვეულმფრენები მიაცილებდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და დაცვა უფრო მობილურ, მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებისგან კარგად დაცულ, შეიარაღებულ ტექნიკას საჭიროებდა.

გაჩნდა სატვირთო ავტომობილის დაცვა-შეიარაღების (Gun Truck) იდეა და პირველად ამისათვის ამერიკელებმა 2,5-ტონიანი ავტომობილი გამოიყენეს, რომლის ძარაც ქვიშის ტომრებით შემოიზღუდა და საცეცხლე საშუალებად 7,62 მმ-იანი ორი ტყვიამფრქვევი M60 დაიდგა.

თავდასხმის შემთხვევაში შეიარაღებული ავტომობილის დანიშნულება

ვიეტნამის ომში ამერიკელი სამხედროები სატვირთო M54-ის შასზე ზოგჯერ მწყობრიდან გამოსული ჯავშანტრანსპორტიორ M113 კორპუსს აყენებდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა



ერაყის ომში ამერიკელებს Gun Truck-ები ისევ დასჭირდათ, რისთვისაც არმიულ სატვირთო ავტომობილებს M939-ს ჯავშანფურცლებით მოსავდნენ და აიარაღებდნენ

კოლონიდან გამოსვლა, მოწინააღმდეგეზე საცეცხლე ზემოქმედება და კოლონისთვის გზის გაგრძელების უზრუნველყოფა იყო.

თვითნაკეთი ჯავშნიანი მანქანები ამერიკელებმა პირველად 1967 წლის ნოემბერში გამოიყენეს და კმაყოფილიც დარჩნენ. თუმცა „ჯავშანმა" — ქვიშიანმა ტომრებმა არ გაამართლა, წვიმაში წყლით იჟღინთებოდა, მძიმდებოდა და ავტომობილის გამავლობაზე მოქმედებდა. საჭირო გახდა ქვიშიანი ტომრების ჯავშანფურცლებით შეცვლა და საცეცხლე ძალაც 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი M79-ით გაძლიერდა.

ჯავშნით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით 2,5-ტონიანი ავტომობილი იმდენად გადაიტვირთა, რომ მობილურობაზე ლაპარაკიც კი არ ღირდა. საჭირო იყო კიდევ უფრო ძლიერი ავტომობილი. არჩევანი 5-ტონიან ავტომობილზე გაკეთდა, რომლის შეიარაღება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი M2 Browning-ი, ან 7,62 მმ-იანი ექვსლულიანი ტყვიამფრქვევი XM 134 Minigun-ი, ან 40 მმ-იანი საზენიტო ავტომატი Bofors L60-ი, ან 12,7 მმ-იანი ოთხლულიანი ავტომატი M45 Quadmount-ი და სხვ.



ავღანეთის ომი. Gun Truck-ის საბჭოთა მოდელი

Gun Truck-ის შექმნის იდეა და დამზადების ტექნოლოგია ახალი არ არის. პირველი მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებშიც ბევრი ქვეყანა საბრძოლო დანიშნულების ჯავშანმანქანებს იმავე გზით ამზადებდა.

1940 წლის ზაფხულში ინგლისი გერმანიის თავდასხმის საფრთხის წინაშე დადგა და მაშინ სტრატეგიული მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად ხელთ არსებული საშუალებებით ჯავშნიანი მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების გამოყენება გადაწყდა, ჯავშანმასალად კი ფოლადის ფურცლებთან ერთად ფიცრები, ხის მორები, ქვიშიანი ტომრები, ბეტონი და რიყის ქვები გამოიყენეს.

არაბეთ-ისრაელის 1947-49 წლების ომში არაბთა მოქმედების გავრცელებული ფორმა ებრაელთა დასახლებების დამაკავშირებელ გზებზე სატრანსპორტო საშუალებებზე თავდასხმა იყო.

სატრანსპორტო კოლონების გაცილებისთვის კი ებრაელები 3-5 ტ ტვირთამწეობის ორხიდიან (4X4 ან 4X2) სატვირთო ავტომობილებს ჯავშნიდნენ.

ისრაელის ახალგაზრდა სახელმწიფოს ხარისხიანი ჯავშანფურცლების დეფიციტი ჰქონდა და კორპუსებს ე. წ. სენდვიჩის სახით ამზადებდნენ, რისთვისაც 5 მმ სისქის რკინის ორ ფურცელს შორის 50 მმ სისქის წიფლის ფიცრებს ათავსებდნენ.

კორპუსში გამოჭრილი სათოფურებიდან ისრაელელი მებრძოლები არაბებს საპასუხო ცეცხლით ვგებებოდნენ. თავდაცვის სხვა საშუალება კი თვითშემოქმედების ამ ნიმუშებს არ ჰქონდათ, რადგან უსახურავო კორპუსზე კოშკურის დაყენება შეუძლებელი იყო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს მასზე ხელყუმბარის მოხვედრა რას გამოიწვევდა? გონებამახვილმა ებრაელებმა მარტივი გამოსავალი მონახეს — ხელყუმბარის უკან ჩამოსაგორებლად კორპუსს ბრეზენტის ან მავთულის ბადისგან დამზადებული დახრილი სახურავი გაუკეთეს.



ЗиЛ-157-ის ბაზაზე დამზადებული დაუჯავშნავი ქართული Gun Truck-ი

იმპროვიზებული Gun Truck-ები დამამზადებლების ფანტაზიაზე, ხელთ არსებულ მასალასა და შეიარაღებაზე იყო დამოკიდებული. ჯავშნად მეტწილად ჯართიდან ამოღებულ ფოლადის ფურცლებს იყენებდნენ, თუმცა ზოგჯერ საავტომობილო შასიზე ჯავშანტრანსპორტიორ M113-ის მთელ კორპუსსაც ამაგრებდნენ.

ავტომობილის მაღალი გამავლობა, მანევრულობა და სიჩქარეთა ფართო დიაპაზონი სწრაფმსროლელ ავტომატურ შეიარაღებასთან ერთად Gun Truck-ს ეფექტურ საბრძოლო საშუალებად წარმოაჩენდა. მაგრამ ნაკლიც ჰქონდა, — საწვავის გაზრდილი ხარჯი, საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუარესება, შასის სიმტკიცის დასუსტება და მისი, როგორც სატვირთო ავტომობილის გამოყენება უკვე შეუძლებელი იყო.

ვიეტნამის ომში ამერიკელებმა დაახლოებით 300-400 სატვირთო ავტომობილი დაჯავშნეს და ერთ-ერთი სატვირთო M54-ის შასიზე აწყობილი ვეტერანი Gun Truck-ი ახლა ვირჯინიის შტატის ქალაქ ფორტ-ეუსტისში ამერიკის არმიის ტრანსპორტის მუზეუმში ინახება.

Gun Truck-ებს ამერიკელები ხელმეორედ ერაყში ომის დროს მიუბრუნდნენ, როცა 2003 წლის მარტში ქალაქ ნასარიასთან ამერიკული სამხედრო ავტოკოლონა ჩასაფრებაში მოჰყვა და დანაკარგი განიცადა. მაშინ სპეციალური ასეულიც კი ჩამოყალიბდა, სადაც 35 HMMWV-ი და ჯავშნიანი ხუთი სატვირთო ავტომობილი M939 გაერთიანდა.

რადგან ამერიკის არმიის ყველა ქვედანაყოფი სატრანსპორტო კოლონებს საკუთარი ტექნიკითა და Gun Truck-ებით მიაცილებდა, შემდგომში ასეული საჭიროდ აღარ ჩაითვალა და გაუქმდა. სამაგიეროდ, კონგრესმენმა დუნკან ჰანტერმა Gun Truck-ების გამო პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი გააკრიტიკა და სამუშაოთა სახელმწიფო დონეზე ორგანიზება მოითხოვა.

კრიტიკამ ნაყოფი გამოიღო და მალე ლივერმორის ლაბორატორიამ ჯავშანფოლადით, კომპოზიტური მასალითა და ტყვიაგაუმტარი შუშების გამოყენებით ჯავშანკორპუსი ე. წ. ჰანტერის ყუთი შექმნა. მას სახურავი არა აქვს და მასში რამდენიმე წერტილია გათვალისწინებული ტყვიამფრქვევებისა (7,62 მმ-იანი M60 და 12,7 მმ-იანი Browning M2) და 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნის Mk-19-ის დასაყენებლად. თვად ჯავშანკორპუსი 5 ტ ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილების შასიზე იდგმება.

2004 წლის ივლისში ერაყში პირველი Gun Truck-ი გაიგზავნა „ჰანტერის ყუთით", რასაც წვრილსერიული წარმოებაც მოჰყვა. ერაყისთვის სულ 100 და ავღანეთისთვის 18 ასეთი ავტომობილი დამზადდა.

ამერიკელების მსგავსად, პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საბჭოთა არმია ავღანეთში ომისას. მოჯაჰედების ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა საბრძოლო მასალებით, საწვავითა და უზრუნველყოფის საშუალებებით დატვირთულ ავტოკოლონებზე თავდასხმა იყო. კოლონების დამცავი ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები კი სამთო პირობებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ამერიკული Gun Truck-ების მსგავსად შეიარაღებული საბჭოთა სატვირთო ავტომობილების დანიშნულებაც კოლონების გაცილება, თავდასხმის მოგერიება და საცეცხლე წერტილების ჩახშობა იყო. ამ მიზნით გამოიყენეს ყველა საბჭოური წარმოების სატვირთო ავტომობილი ГАЗ, КамАЗ, Урал-ი, ЗиЛ-ი და სხვ.

ზოგიერთ ავტომობილს ძარაში დაზიანებული ჯავშანტრანსპორტიორებიდან მოხსნილი საბრძოლო მოდულები 7,62 მმ-იანი ПКТ-ს, ან 14,5 მმ-იანი КПВТ-ს ტყვიამფრქვევით ჰქონდა დაყენებული. ამის გარდა ავტომობილების შეიარაღებაში გამოიყენეს: 14,5 მმ-იანი КПВ-ს, ან 12,7 მმ-იანი Утес-ის, ან სულაც ნაალაფარი 12,7 მმ-იანი ДШК-ს სისტემის ტყვიამფრქვევი.

იყო ავტომობილები, რომლებიც 30 მმ-იან ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС-17-ით ან 82 მმ-იანი ავტომატური ნაღმსატყორცნ 2Б9 Василёк-ით იყვნენ აღჭურვილი.

მაგრამ ყველაზე მეტი ეფექტი სწრაფმსროლელ, 23 მმ-იან საზენიტო ავტომატ ЗУ-23-2-ს ჰქონდა, რომლის გაბარიტულ-წონითი მახასიათებლები საბჭოთა და უცხოური წარმოების მაღალი გამავლობის ავტომობილებზე დაყენების საშუალებას იძლეოდა.

გამოსავალი თვად საზრიანმა მძღოლებმა მონახეს და კაბინის კარზე ჯავშანჟილეტების დამაგრება დაიწყეს. შემდგომ უკვე ქარხნებმა კაბინის დასაცავი სპეციალური ჯავშანპანელები დაამზადეს, რომელიც დაახლოებით 200 კგ-ს იწონიდა და კაბინის დიდ ნაწილს იცავდა. დაცვის გარეშე არც საქარე მინა იყო დარჩენილი, რომელსაც საცქერად დატოვებული პატარა ღრიჭოიანი ჯავშანფურცელი ფარავდა.

ჩეჩნეთის პირველ ომში ფედერალური ჯარების ავტოკოლონებს ჩეჩენი მებრძოლები ნაღმებითა და მოულოდნელი თავდასხმით სისხლს უშრობდნენ.

კოლონების დასაცავად თუ ჯავშანტექნიკის გამოყენება გამართლებული იყო, ბევრად რთული რამდენიმემანქანიანი კოლონის გაცილება აღმოჩნდა.

რუსმა სამხედროებმა ავღანეთის გამოცდილება გაიხსენეს, Gun Truck-ს მიუბრუნდნენ და Урал 4320-ს (6X6) ძარაში მრავალნაცადი 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატი ЗУ-23-2 დაუყენეს. საავტომობილო ძარის ორი მესამედი საზენიტო ავტომატმა დაიკავა, რომლის სროლის სექტორმა მანქანის უკანა ნახევარსფეროში 180 გრადუსი მოიცვა. ძარის დაახლოებით ერთ მესამედზე სქელი ფიცრებითა და ფოლადის ფურცლებით სამკედლიანი



კუბის არმიის დაჯავშნული „კრაზი“ ფაქტობრივად თვითმავალი საარტილერიო დანადგარია

ფურგონი შეიკრა, ზევიდან ბრეზენტი გადაეფარა და მასში ინსტრუმენტები, სათადარიგო ნაწილები, საბრძოლო მასალების მარაგი, მომსახურე პერსონალის პირადი ნივთები და იარაღი მოთავსდა. იმავდროულად, პირადი შემადგენლობის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის მთლიანად დაჯავშნული Gun Truck-ებიც დამზადდა.

ქალაქ მიასის „ურალის“ საავტომობილო ქარხანამ მოამზადა მოდელი Урал 4320-09-31, რომლის სასიცოცხლო კვანძები: კაბინა, ძრავის განყოფილება, საწვავის ავზი, აკუმულატორი და პლატფორმა 8 მმ-იან ჯავშანშია ჩასმული, ხოლო საქარე მინებად 33 მმ-იანი ტყვიაგაუმტარი შუშებია გამოყენებული. ჯავშანმა კაბინის წონა გაზარდა და ამ[illegible] გახდა წინა ხიდის დაკიდების გაძლიერება. დაჯავშნული ძარა 15-20 მებრძოლს იტევს და საპასუხო ცეცხლის გასახსნელად ამბრაზურები აქვს.

ჯავშანკორპუსის სახურავზე ჯავშნიანი ლიუკია, რომელზეც ტყვიამფრქვევის დაყენება ან გადაბრუნებული მანქანიდან ავარიულ გამოსასვლელად გამოყენება შეიძლება. „ურალი“ ჩვეულებრივისგან მცირედით თუ განსხვავდება, მაგრამ მასზე ბევრად მძიმეა და ტვირთამწეობა 3 ტონით აქვს შემცირებული.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის 58-ე არმიის განკარგულებაში Gun Truck-ებიც იყო. აგრესორის სამხედრო კოლონების შემადგენლობაში Урал 4320-09-31-ები და 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატებით აღჭურვილი Урал 4320-ები შედიოდა.

ერთი „ურალი“ იგოეთთან ქართველ პოლიციელებს არ დაემორჩილა და გამაფრთხილებელი გასროლების შემდეგ ერთი ტყვია ავტომობილს წინა მარცხენა საბურავში მოხვდა.

„ურალით“ რუსი სამხედროები ნაძარცვ ნივთებსა და საქონელს ეზიდებოდნენ.

**თემურ ჩაჩანიძე**

თვითშემოქმედებიდან რუსები ქარხნული წესით დაჯავშნულ სატვირთო ავტომობილებზე გადავიდნენ და ერთ-ერთი ბოლო მოდელია Урал-4320-10-31



ეროვნული ბიბლიოთეკა



# შავი "ანგელოზის" აღსასრული

## გზა საქართველოსკენ

არმიის სპეცრაზმები გელაევის დაჯგუფებას დევნისას ზოგჯერ ისე უახლოვდებოდნენ, ლამის „ქუსლებზე ფეხს აბიჯებდნენ“, მაგრამ „შავი ანგელოზი“ (ეს სახელი მას შავი მოსასხამების სიყვარულის გამო შეარქვეს) უჩინარივით ხელიდან უსხლტებოდათ.

მზვერავები არც უარყოფენ, რომ გელაევი სუპერპროფესიონალი იყო. სამკლასიანი განათლების მქონე „დივიზიის გენერალი“ ათი წელი ეთამაშებოდა კატათაგვობანას რუსეთის რჩეულ სპეცსამსახურებს.

ჩეჩნეთის მე-2 ომის დროს 2000 წლის მარტში ფედერალურმა ჯარებმა გელაევის დაჯგუფება სოფელ კომსომოლსკოესთან ალყაში მოაქციეს, მაგრამ მეთაურმა რამდენიმე ათეულ მებრძოლთან ერთად თავის დაღწევა მოახერხა.

საქართველოში გადასვლამდე გელაევის რაზმი ორი კვირის განმავლობაში წრეს უვლიდა ინგუშეთისა და ჩეჩნეთის საზღვრის სიახლოვეს.

„შავი ანგელოზი“ მთებში გასასვლელ „კარს“ ეძებდა. ეს გასაძრომი მას ადგილობრივმა მცხოვრებმა მიასწავლა და რუსეთ-საქართველოს საზღვრის უხიფათოდ გადაკვეთის ბილიკიც დაუხატა.

**გრუ-ს სპეცრაზმის გვარდიის მაიორი ანატოლი:** „მესაზღვრეებთან ერთად ვჩხრეკდით რაიონს, საიდანაც გელაევის დაჯგუფება ჩეჩნეთიდან საქართველოში გადასვლას აპირებდა. ჩვენი ორი რაზმი (დაახლოებით 30 კაცი) პირისპირ შეეჩეხა მათ. ჩეჩნებმა მაშინვე დაგვცხეს ყველა იარაღით, რაც კი გააჩნდათ. მათ აქვთ რაღაც განსაკუთრებული ტაქტიკა — მძლავრად ურტყან თითქმის ერთ წერტილში. თუ შეტევაზე გადმოდიან, მაშინ მორბიან წელში გამართული, ისვრიან ავტომატებს, „ალაჰ აქბარს“ გაჰყვირიან და რუსულად გვაგინებენ“.

გელაევმა კარგად იცოდა მარშრუტი და მშვიდად მიიწევდა „კარისკენ“, რომელიც ხუნძახის მეორე და მესამე სასაზღვრო პოსტს შუა მდებარეობდა. ის იყო ძნელად სავალი, მაგრამ ერთადერთი ჭიშკარი საქართველოსკენ.

მან ითავხედა და სწორედ მესაზღვრეების ცხვირწინ გადაწყვიტა დასვენება. იქ მას გამყოლები, ადგილობრივი მცხოვრებნი ელოდნენ. რაზმს პროდუქტი უთავდებოდა. სახედრებით დატვირთულები ზურგჩანთებით ტონა-ნახევარ ტვირთს მიათრევდნენ.

მათი შეიარაღება რუსეთის ნებისმიერ სპეცრაზმს შეშურდებოდა. 36 კაცს 8 ხელის ტყვიამფრქვევი, 26 ავტომატი, 6 ცეცხლმფრქვეველი „შმელი“ და ვაზნების მრავალათასიანი მარაგი ჰქონდა. თითოეული მათგანი ერთჯერადი ყუმბარსატყორცნით, მობილური კავშირის საშუალებითა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ამოსაცნობი პორტატიული ნავიგატორით იყო აღჭურვილი.

სოფელ შაურში ღამის გათევის შემდეგ, სისხამ დილით, ისინი მანქანებით საქართველოს საზღვრისკენ წავიდნენ. საქართველოში გადმოსული გელაევის რაზმი შემდგომში ქართველმა ძალოვანებმა პანკისის ხეობაში გადაიყვანეს, სადაც მათ სხვა ჩეჩენი მებრძოლები შეუერთდნენ.

2001 წლის შემოდგომაზე ქართველი ძალოვანების ხელშეწყობით ქართულ-ჩეჩნური გაერთიანებული რაზმი პანკისიდან სვანეთში აღმოჩნდა და კოდორის ხეობით აფხაზეთში შევიდა.

მთა „სახარნაია გალავასთან“ რუსულმა ავიაციამ რაზმი დაბომბა და მძიმე დანაკარგიც მიაყენა. რაიონი მთლიანად აფხაზურ-რუსული ძალებით ბლოკირებული აღმოჩნდა, ამიტომ გელაევი მებრძოლებიანად სვანეთში გაბრუნდა და შემდეგ პანკისში გადავიდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ჩეჩენ მებრძოლებს პანკისის დატოვება მოსთხოვა, გელაევის რაზმი რუსეთში გადავიდა.

## ისევ ჩეჩნეთისკენ

საზღვარზე გასაღწევ მონაკვეთს ე. წ. დროებითი სასაზღვრო პოსტი იცავდა — ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ოთხი პრაპორშჩიკი და ექვსი დაღესტნელი მილიციელი.

როგორც კი ცნობილი გახდა საზღვარზე ჩეჩენი მებრძოლების გადმოსვლის შესახებ ინფორმაცია, „მოკოკის“ სასაზღვრო საგუშაგოს მეთაურმა სატვირთო მანქანა ГАЗ-66-ში ჯარისკაცები ჩასხა და „შავ ანგელოზს“ დაედევნა.

**ტყვედ აყვანილი ჩეჩენი მებრძოლის ნაამბობიდან:** „მესაზღვრეთა ავტომობილს ოთხი ტყვიამფრქვევით დავცხეთ. შვიდი ჯარისკაცი მაშინვე მოკვდა, ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრეს. მძღოლს პირადად გელაევმა ესროლა სნაიპერული შაშხანა, მაგრამ ააცდინა და ხანჯალი ჩასცა გულში. დარტყმა ისეთი სიძლიერისა იყო, რომ არა მარტო მძღოლი, არამედ სავარძლის საზურგეც გახვრიტა. ხელში ჩაგვივარდა მათი იარაღი და მესაზღვრეთა რაცია. მისი მეშვეობით ვიცოდით, თუ რა ხდებოდა სასაზღვრო საგუშაგოებზე“.

მას შემდეგ, რაც ჩეჩნებმა 9 მესაზღვრე მოკლეს, არმიის სპეცრაზმის ორმა ჯგუფმა საზღვარი გადაკეტა.

დაიწყო გელაევის რაზმის გასანადგურებელი ოპერაცია, რომელიც 24 დღე გაგრძელდა.

**გრუ-ს პოლკოვნიკი ალექსი:** „საშინელი ამინდი იყო. გადაუღებლად თოვდა. შვეულმფრენები არ დაფრინავდნენ. მეტრადის დასახლებამდე მისვლა მხოლოდ „უაზით“ ან „ნივით“ თუ შეიძლებოდა. შემდეგ ძაფებივით დაკლაკნილი ვირის ბილიკები იწყებოდა, სადაც გავლისას სახედრებიც კი ყურებით კლდეებს ეხახუნებიან.

თავიდან ხელმძღვანელობას მზვერავების მხოლოდ ორი ჯგუფი, 24 ჯარისკაცი ჰყავდა. მესამე გვიან გამოჩნდა. გრუ-ს ამ სამმა სპეცრაზმმა გადაწყვიტა სწორედ მთელი ოპერაციის ბედი.

გელაევის რაზმის პირველი ათი მებრძოლი საარმიო და სასაზღვრო ავიაციამ ჩახოცა. საფრონტო ბომბდამშენი Су-24-ები 3400-3600 მ სიმაღლის მთებზე პიკირებდნენ, სადაც ჩეჩნები თავს აფარებდნენ.

მთებში მოიერიშეთა გამოყენებისგან თავს ვიკავებდით, რადგან ეს იგივე იყო, რაც ბელურისათვის ზარბაზნის სროლა. როგორც კი ღრუბლებს შორის ნათელი ცა გამოჩნდა, მუშაობა შვეულმფრენებმა დაიწყეს.

ჩეჩნეთის ომში ნაწვალები ძველი Ми-8-ები გაიშვიათებულ ჰაერში თავს ძლივს იკავებდნენ და ისიც პილოტების პროფესიონალიზმის ხარჯზე. ამასთან, ჩეჩნები დიდი ხნის წინ მიეჩვივნენ მთებში შვეულმფრენებისგან თავის დაცვას.

როგორც კი მათკენ იერიშზე მომავალი შვეულმფრენის ხმას გაიგონებდნენ, მაშინვე თეთრ ზეწრებს წაიფარებდნენ და თოვლის უდაბნოში უჩინარდებოდნენ. ასე ეთამაშებოდნენ გელაევის რაზმელები კატათაგვობანას ჩვენს მფრინავებს...

## ჭურვის მაგიერ ზვავი

...გრუ-ს სპეცრაზმმა „შავი ანგელოზის“ რაზმი 3600 მ სიმაღლის მთაზე დაბლოკა. ზემოთ წასვლა უკვე აღარ შეიძლებოდა, ქვემოთ კი მათ სიკვდილი ელოდათ, გზას მყინვარი და გაუვალი ხეობა ულობავდათ, სადაც მხოლოდ ნადირი დაძრწოდა.

მდევრები ხედავდნენ, როგორ მობობღავდნენ ბუნაგებიდან სროლისგან ნაადრევად გაღვიძებული დათვები.

ჩეჩნური საარმიო-სამთო დაჯგუფების მეთაური გენერალ-ლეიტენანტი არკადი ბახინი: „ჩვენები 3600 მ სიმაღლის ქედისკენ ყელამდე თოვლში მიიწევდნენ. ზოგჯერ მათი მარტო თავები ჩანდა. გზას თოვლში ხელებითა და ავტომატებით თხრიდნენ. ამიტომ ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ, დღე-ღამის ნათელ პერიოდში მხოლოდ 800 მეტრის გავლას ახერხებდნენ. აღმართის დახრილობა 65 გრადუსს და ალაგ-ალაგ მეტსაც აღწევდა.

რა არის 3600 მეტრი სიმაღლე? არსებობს სტატისტიკა, რომ ზამთარში ყოველ ერთ კმ სიმაღლეზე ყინვა ექვსი გრადუსით იმატებს. ამ დროს ქედზე კი უკვე მინუს 20 გრადუსი იყო.

გელაევის რაზმის ნაწილის განადგურებაში ჩვენებს ბუნებაც დაეხმარა. ეს იყო ნამდვილად იუველირული სიზუსტით შესრულებული სამუშაო. საჭირო იყო ჭურვის მოწინააღმდეგის რაზმის ზემოთ ისე მოხვედრა, რომ ზვავს ისინი დაეტანა.

სამთო არტილერიიდან ხელთ მხოლოდ ერთი, გაცვეთილი 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი აღმოგვაჩნდა, რომლის ნაღმი გელაევის ხალხამდე ვერც აღწევდა. ეს უძველესი საფრონტო საშუალება და 120 ნაღმი სპეცრაზმელებს Ми-8-მ ჩამოუტანა. მეტის წამოღება ძველმა შვეულმფრენმა გახურებულ ქარბუქში ვერ შეძლო. შემდეგ იარაღის ტარებამ სახედრებით მოგვიწია“.

## ნახტომი ჩანჩქერში

ალყაში მოქცეული გელაევის დაჯგუფების 16 მებრძოლი თავს ერთ-ერთ გამოქვაბულში აფარებდა. მესამე დღეს მათ ნერვებმა უმტყუნათ და ქვემოთ, ხეობაში გადასვლა სცადეს. გამოქვაბულიდან ერთმანეთზე გადაბმული ავტომატის ღვედებით ეშვებოდნენ, რომელთა ბოლოებიც უფსკრულის პირას მდგარ ორ ღონიერ ჩეჩენს ეკავა. იცოდნენ, რომ როცა საქმეს დაამთავრებდნენ, კლდეების ტყვეობას თავს ვერ დააღწევდნენ. ერთი მათგანი ჩანჩქერში გადახტა და გადაიჩეხა.

დევნისას სპეცრაზმელები თითქმის ციცაბო კლდეებზე დაბობღავდნენ. მათ



სამკლასიანი განათლების მქონე რუსლან გელაევი სპეცრაზმებს ათი წელი კატათაგვობანას ეთამაშებოდა



რუსი სამხედროების ძალისხმევის მიუხედავად „შავი ანგელოზი“ თავის დაძვრენას ყოველთვის ახერხებდა

კავკასიონის დიდი ქედის გადალახვამაც მოუწიათ 3400 მეტრის სიმაღლეზე, რათა ჩეჩნებს ზურგიდან მოჰქცეოდნენ.

სპეცრაზმელებს სამთო აღჭურვილობა, თითო ჯგუფს ორ-ორი ხვეულა საალპინისტო თოკი ჰქონდა. შებინდებისას თოკით ჩაეშვნენ კლდის შვერილზე, რომელიც ფანჯრის რაფის ტოლი თუ იქნებოდა. შემდეგ კი უფსკრული და ჩანჩქერების კასკადი იწყებოდა.

იქიდან სპეცრაზმელებს მთელი ღამე წელამდე ყინულოვით ცივ წყალში სიარული მოუხდათ. ზოგჯერ კი როცა ღრმულებში ცვივდებოდნენ, თავით ფეხამდე სველდებოდნენ. ტანსაცმელი თხელი ყინულით ეფარებოდათ და მოძრაობაში ხელს უშლიდათ. ასეთ პირობებში სიცოცხლის შენარჩუნებაც კი საეჭვოა. ჯგუფის მეთაურის ბრძანება იყო, ევლოთ უფრო სწრაფად, რომ არ გაყინულიყვნენ. ამით მან ჯარისკაცები სიკვდილს გადაარჩინა.

გრუ-ს პოლკოვნიკი ვლადიმირი: „რა წონის ტვირთს ატარებს სპეცრაზმელი? ვიცნობ ერთ ოფიცერს, რომელიც ერთ დილით მთებში წასვლას აპირებდა და ტანსაცმელს იცვლიდა. შევხედე მის ზურგს და გაოცება ვერ დავფარე, მთელი ზურგი გალურჯებული ჰქონდა ზურგჩანთისაგან.

ყველაზე მეტად მეტყვიამფრქვევებს უჭირთ. ამიტომ ამ საქმისთვის ღონიერ ბიჭებს არჩევენ. ზურგით დაათრევენ — ხელის ტყვიამფრქვევს, სამხედრო მარაგს, დაახლოებით 1500 ვაზნას, ტანსაცმელსა და საკვებს, საერთო წონით დაახლოებით 60 კგ-ს.

რადისტის ტვირთი ოდნავ ნაკლებია: „გრობის“ ტიპის რადიოსადგური (დაახლოებით 15 კგ-ს იწონის), სათადარიგო საკვები და პირადი იარაღი.

## „დაცემული ანგელოზის“ აღსასრული

გელაევის რაზმის ნარჩენები ხეობაში სპეცრაზმელებთან შედარებით 100 მეტრით მაღლა იყვნენ გამაგრებული. მათი გასაძევებლად ჩატარებული ოპერაცია რამდენიმე დღე გაგრძელდა.

„შავი ანგელოზის“ რაზმელები თავს ოსტატურად იცავდნენ და ძლიერი ქვის ცვენაც მოაწყვეს, როცა კლდის შვერილი ააფეთქეს.

მათკენ ერთი ბილიკი მიდიოდა და იქაც მეტყვიამფრქვევე ჰყავდათ ჩასმული. მას მთელი პოლკის შეკავება შეეძლო ხანგრძლივი დროის მანძილზე.

მებრძოლებისგან ხეობის გაწმენდა მხოლოდ ავიაბომბებით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამ ადგილას, ხეობის გასასვლელთან ახლოს, 2,5 კმ-ში სოფელი მეტრადაა. მოცულობით-დეტონირებადი საბრძოლო მასალების გამოყენების შემთხვევაში ამ დასახლებას მიწისაგან პირისა აღგვა ემუქრებოდა.

სპეცრაზმელები ჩანჩქერებს აჰყვნენ, გადალახეს 3 ათასი მეტრი ქედი, გაუვალი მყინვარი და მოწინააღმდეგეს ზურგიდან მოულოდნელად დაატყდნენ თავს.

ავტომატების დამიზნებული სროლა შეუძლებელი იყო, რადგან გელაევის რაზმელებს კლდეები იცავდა. „კალაშნიკოვების“ ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნებმაც ვერ მოახერხეს ვერაფერი, რადგან მებრძოლები 30 მ სიშორეზე იყვნენ, ხოლო ლულისქვეშა ყუმბარას საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად 50 მეტრის გუვლა სჭირდება, ამიტომ სპეცრაზმელებმა „ჯიბის არტილერია“ — ხელყუმბარები, „ლიმონკები“ გამოიყენეს.

სპეცრაზმელებმა იცოდნენ, რომ გელაევს ფეხები ჰქონდა [illegible] არული უჭირდა. ის თავისი საყვარელი იარაღით, ხელის ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული, რომელიც შემდეგ პირად მცველს გადასცა, თავად კი უფრო მსუბუქი იარაღი, სნაიპერული შაშხანა СВД დაიტოვა.

უაზრო, შემთხვევითი სიკვდილი ომში ჩვეულებრივი ამბავია და „შავი ანგელოზის“ აღსასრულიც, როგორც ჩანს, სამუდამოდ დარჩება ამოუხსნელ საიდუმლოდ.

ბოლოს გელაევმა თავის ორ ერთგულ მცველთან ერთად დაღესტანში მეცხვარეების ბინას შეაფარა თავი. ძონძებით შემოსა და თავისი სიამაყე წვერიც, რომელსაც მექა-მედინის მოლოცვის შემდეგ, 1990 წლიდან არ იკრეჭდა, შეიკორტნა (სწორედ ამ შეკორტნილი წვერით იწვა იგი მახაჩყალის მორგში).

გაცვეთილ ქურთუკსა და მუხლებთან გამობერილი „ადიდასის“ შარვალში, თავზე შალის „პეტუშოკის“ ტიპის ქუდში უსახლკარო მაწანწალას უფრო ჰგავდა, ვიდრე მრისხანე საველე მეთაურს.

გელაევის სხეული ყუმბარის ნამსხვრევებით იყო დაცხრილული (უკანასკნელ ბრძოლაში გრუ-ს სპეცრაზმმა მაინც მოახერხა მისი ხელყუმბარებით დაჭრა). აგენტურული წყაროების მეშვეობით გაირკვა, რომ გელაევი პირად მცველებთან ერთად ადგილმდებარეობას ზვერავდა, მისი დაღუპვა კი შემთხვევითი იყო.

ეფ-ეს-ბე-ს ინფორმაციის მიხედვით, „შავი ანგელოზი“ შემთხვევით დაიღუპა, მესაზღვრეებთან შეტაკებისას. პირადი მცველები თავიანთ მეთაურს აეფარნენ და დაღესტნელი კონტრაქტით მომსახურეები დაცხრილეს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა სიკვდილის წინ „შავი ანგელოზის“ სასიკვდილოდ დაჭრა მაინც მოასწრეს.

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საგემბანო ავიაცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-26, 2012 - N1-7, 2013

## ატომური ეპოქა

„ფორესტოლის“ ტიპის ავიამზიდები და მათ ბორტზე ბაზირებადი ატომური ბომბდამშენები აშშ-ის ბირთვული ტრიადის ერთ-ერთი კომპონენტი იყო. მათი გამოყენებით ფლოტს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ატომური ბომბის ჩამოგდება შეეძლო.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკის ავიამზიდი ფლოტი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. კონგრესი თითქმის ყოველწლიურად ერთი ავიამზიდის მშენებლობისთვის საჭირო თანხებს გასცემდა. 1952 წელს „ფორესტოლი“ და „სარატოგა“ აიგო, 1954-1955 წლებში — „რეინჯერი“ და „ინდეფენდენსი“, 1956 და 1957 კი — „კიტი-ჰოკი“ და „კონსტელეიშენი“. ეს უკანასკნელნი ახალი პროექტით იყვნენ შექმნილი. წინამორბედებისგან სხვადასხვა ცვლილებით გამორჩეული ხომალდები პირველი ამერიკული ავიამზიდები იყვნენ, რომლებზეც ტრადიციული საზენიტო არტილერია (127 მმ-იანი ქვემეხები) რაკეტებმა შეცვალა. ხომალდებზე „ტერიერის“ ტიპის საზენიტო რაკეტების ორი შეწყვილებული დანადგარი განათავსეს. კომპლექსს სამიზნის განადგურება მაქსიმალურ 12000 მ სიმაღლესა და 20 კმ-მდე დისტანციაზე შეეძლო.

1961 წელი ამერიკული ფლოტისთვის მეტად მომგებიანი გამოდგა. ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ჯონ კენედიმ დაიკავა. ამ თანამდებობაზე არჩეული პირველი სამხედრო მეზღვაურია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში წყნარ ოკეანეში იაპონიის ფლოტს სატორპედო კატარღით ებრძოდა. მეორე მსოფლიო ომში საზღვაო ოფიცრად ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონიც მსახურობდა.

თავდაცვის მინისტრად რობერტ მაკნამარა დაინიშნა. ის პირველი იყო, ვინც იარაღის შეფასება კრიტერიუმით „ფასი-ეფექტურობა“ დაიწყო. გარკვეულწილად სუპერავიამზიდების შექმნის პროგრამის შენარჩუნება სწორედ მისი დამსახურებაა.

ავიამზიდების საწინააღმდეგო საჯარო გამოსვლები აშშ-ს კონგრესში 1958 წელს დაიწყო. ავიამზიდებს მოწინააღმდეგეები ყოველთვის ჰყავდა, ხოლო წყალქვეშა ნავებზე ბაზირებადი ბალისტიკური რაკეტების გამოჩენამ და თვად ავიამზიდების ღირებულების ზრდამ მოწინააღმდეგეები გააორმაგა.

აშშ-ის კონგრესის ფინანსთა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, სუპერავიამზიდების მშენებლობა აშშ-ის უდიდესი შეცდომა იყო. კენედის ადმინისტრაციას ამ საკითხზე განსხვავებული აზრი ჰქონდა.

1961 წელს ფლოტს 3 სუპერავიამზიდი შეემატა — Kitty Hawk-ი, Constellation-ი და Enterprise. ეს უკანასკნელი სრულიად განსხვავებული იყო. მსოფ-



Enterprise - მსოფლიოში პირველი ატომური ავიამზიდი




დამრტყმელ კონფიგურაციაში „მოჩვენების“ სასარგებლო დატვირთვა 8450 კგ-ს აღწევდა (ვარიანტი F-4E). თვითმფრინავს 9 ცალი 454 კგ-იანი ან 18 ცალი 340 კგ-იანი ბომბი მიჰქონდა

ლიოში ყველაზე გრძელ (342 მ) და იმავდროულად, პირველ ატომურ ავიამზიდს რვა რეაქტორი ჰქონდა. ბირთვული სათბობის ერთი გაწყობით ავიამზიდი 200 ათას საზღვაო მილის ფარავდა.

„ენტერპრაიზის“ ავიაფრთა 90-მდე თვითმფრინავსა და შვეულმფრენს, ეკიპაჟი კი 4500 კაცს ითვლიდა. აქედან 1500 საავიაციო ტექნიკას ემსახურებოდა.

მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ავიამზიდი, იმავდროულად, ყველაზე ძვირად ღირებული სამხედრო ხომალდი იყო. მისი აგება 451 მლნ დოლარი დაჯდა. საწყისი გეგმა 6 ასეთი ავიამზიდის შექმნას ითვალისწინებდა. თუმცა მეტისმეტად დიდმა ღირებულებამ ხომალდი საკუთარი ტიპის ერთადერთ წარმომადგენლად დატოვა. ის ვიეტნამის ომში მონაწილე პირველი ატომური ავიამზიდი იყო. 1965-72 წლებში აზიის წყლებში მან 6-ჯერ ილაშქრა.

ექსპლუატაციის პროცესში Enterprise-მა „მოდერნიზაციის“ რამდენიმე ეტაპი გაიარა. 2001 წელს ის ავღანეთში შესულ ამერიკული სამხედრო კონტინგენტის საჰაერო მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. გასული წლის 4 ნოემბერს ხომალდმა თავისი ბოლო, 25-ე ლაშქრობა დაასრულა. ერთი თვის შემდეგ პირველი ატომური ავიამზიდი ჩამოწერეს.

60-იანი წლების დასაწყისი აშშ-ის ფლოტისთვის შეიარაღებაში არა მხოლოდ ახალი ავიამზიდების შესვლით აღინიშნა. საგემბანო ავიაციას რამდენიმე საფრენი აპარატიც შეემატა. ერთ-ერთი ვიეტნამის ომის სიმბოლოდ ქცეული Phantom II-ია. ავიაციის ისტორიაში პირველი უნივერსალური თვითმფრინავის სახელით შესული საჰაერო და სახმელეთო სამიზნეებს ერთნაირი ეფექტურობით ანადგურებდა.

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამხედრო თვითმფრინავი თავდაპირველად ერთადგილიან მოერიშედ იქმნებოდა, მაგრამ პროექტირებისას მოთხოვნები შეიცვალა და McDonnel Douglas-ის თვითმფრინავს თანამედროვე ელექტრონიკა დაუყენეს. მფრინავს ეკიპაჟის მეორე წევრად რადარის ოპერატორი დაემატა.

ახალი Phantom-ი („მოჩვენება“) პირველად 1958 წელს აფრინდა და სამი წლის შემდეგ ის შეიარაღებაში მიიღეს. იმავე წელს „მოჩვენებამ“ დაბალ სიმაღლეზე ფრენის სიჩქარის რეკორდი დაამყარა — 1452 კმ/სთ, რომლის გაუმჯობესებაც მხოლოდ 16 წლის შემდეგ მოხერხდა. ფლოტის შეიარაღებაში თვითმფრინავი ნიშნულით F4H-1 მიიღეს. 1962 წელს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში საფრენი აპარატების აღნიშვნის ახალი სისტემა შემოიღეს და ნიშნული F-4 გახდა.

ახალი „მოჩვენება“ პირველი ამერიკული საგემბანო გამანადგურებელი იყო, რომელსაც ქვემეხები არ ჰქონდა. სპეციალისტთა აზრით, „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტების ეპოქაში ქვემეხი ზედმეტი იყო. F-4-ზე ქვემეხის დაყენებაზე უარი წონის შემცირების მიზნითაც ითქვა. ამის უარყოფითი მხარე ვიეტნამის ომში გამოვლინდა. МиГ-21-ებთან ახლო მანევრულ ბრძოლაში ქვემეხის უქონლობა ეკიპაჟს დიდ პრობლემებს უქმნიდა. გამოსავალი თვითმფრინავის გარე საკიდებზე საქვემეხო კონტეინერების ჩამოკიდებაში მოინახა. თუმცა მსგავსი სქემა სროლის დაბალი სიზუსტით გამოირჩეოდა.

F-4-ის პირველი მომხმარებელი ფლოტი იყო, რომელიც მას ავიამზიდების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის იყენებდა. მალე „მოჩვენება“ საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეიარაღებაშიც გამოჩნდა. ამ შემთხვევაში თვითმფრინავს საჰაერო მხარდაჭერის ფუნქცია დაეკისრა.

მრავალფუნქციონირების წყალობით ეს პირველი ამერიკული თვითმფრინავი იყო, რომელსაც ერთდროულად ფლოტი, საზღვაო ქვეითთა კორპუსი და სამხედრო-საჰაერო ძალები იყენებდნენ.

F-4-ს ოთხ-ოთხი AIM-7 Sparrow და AIM-9 Sidewinder-ის ტიპის რაკეტები მიჰქონდა. ის პირველი ამერიკული თვითმფრინავი იყო, რომელსაც საჰაერო სამიზნის აღმოჩენა-განადგურება დამოუკიდებლად, ხმელეთიდან დაუხმარებლად შეეძლო.

სერიული წარმოება 1979 წელს 5195 ერთეულის აწყობით დასრულდა. წარმოების პიკი 1967 წელზე მოდის, როდესაც ქარხანას თვეში 72 ერთეული ტოვებდა. დამატებითად 138 ცალი იაპონიაში ლიცენზიით ააგეს.

თვითმფრინავი არა მხოლოდ ამერიკულ ავიამზიდებზე ბაზირებდა. 70-იან წლებში სამეფო ფლოტის დაკვეთით შექმნილი F-4K (ბრიტანული ნიშნული FG.1) ავიამზიდების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას უზრუნველყოფდა. მოდიფიკაცია F-4M-ზე (FGR.2), რომელსაც სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები იყენებდნენ, ბრიტანული წარმოების ძრავებს აყენებდნენ.

აშშ-ში „მოჩვენების“ „მოღვაწეობა“ 1996 წელს დასრულდა. უკანასკნელ თვითმფრინავებს სამხედრო-საჰაერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალები იყენებდნენ. ფლოტმა F-4 უფრო ადრე, 1992 წელს ჩამოწერა. საზღვაო კარიერის დასრულების მიუხედავად, თვითმფრინავის სახმელეთო (როგორც დამრტყმელი, ასევე მზვერავი) ვარიანტები გერმანიის, საბერძნეთის, ეგვიპტის, ირანის, იაპონიის, თურქეთის, სამხრეთ კორეის შეიარაღებაზე დღესაც არის.

კიდევ ერთი უნიკალური თვითმფრინავი, რომელიც 1961 წელს ფლოტმა მიიღო, ზებგერითი Vigilante-ია. 1955 წელს ფლოტის მიერ ახალი საგემბანო დამრტყმელი თვითმფრინავის შექმნაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება North American-მა და მისმა ორადგილიანმა Vigilante-მა მოიპოვეს. მისი დანიშნულება ნებისმიერ მეტეოპირობებში, ზებგერითი სიჩქარით მოწინააღმდეგეზე ბირთვული ბომბის ჩამოგდება იყო.

თვითმფრინავი პირველად 1958 წელს აფრინდა. ერთი წლის თავზე ფლოტმა 57 ერთეული A3J დაუკვეთა. იმ დროისთვის A-5 (შეცვლილი ნიშნული 1962 წელს ჩატარებული უნიფიკაციის შემდეგ) ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნოლოგიური თვითმფრინავი იყო. ორძრავიანი A-5-ის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები რეგულირებადი ჰაერმიმღები (პირველად ამერიკულ ავიაციაში) და გვირაბისებური ბომბსაკვეთური (პირველად მსოფლიო პრაქტიკაში) იყო.

ადგილის ეკონომიის მიზნით, სამსაკიდიანი ბომბსაკვეთური ფიუზელაჟის სიგრძეზე ძრავებს შორის განალაგეს. ორ საკიდზე 1040 ლ-იანი საწვავის ავზი, მესამეზე კი ბირთვული ბომბი იკიდებოდა. სამიზნემდე ფრენისას საწვავი ბომბსაკვეთურში მდებარე ავზებიდან მიეწოდებოდა. საჭირო დროს კილის ქვეშ ძრავების საქშენებს შორის არსებული საგდული იღებოდა და დენთის მუხტი სპეციალურ





ვიეტნამის ომის საუკეთესო ამერიკელი მფრინავი-ასები „მოჩვენებებზე“ დაფრინავდნენ. ორადგილიანი F-4-ის ეკიპაჟის მიერ მოპოვებული გამარჯვება მფრინავსაც და ოპერატორსაც ეთვლებოდა. ამ წესით, ომის დროს ამერიკელებს ორი მფრინავი-ასი და სამი ოპერატორი-ასი ჰყავდათ. ამათგან ყველაზე შედეგიანი სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერატორი ჩარლს დებელვიუ იყო. მის ანგარიშზე 6 ჩამოგდებული თვითმფრინავია. ფლოტის მფრინავებიდან ყველაზე შედეგიანი ასი რენალდ კანინგემია, რომელმაც 5 ვიეტნამური თვითმფრინავი ჩამოაგდო.

რელსებზე დამაგრებულ დაცარიელებულ ავზებსა და ბომბს გარეთ აგდებდა.

ფლოტმა შეიარაღებაში 57 A-5A მიიღო. თუმცა შეცვლილმა დოქტრინამ Vigilante უკანა პლანზე გადასწია. „პოლარისის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა ნავების გამოჩენამ საგემბანო ბირთვული ბომბის მატარებელი თვითმფრინავის საჭიროება გააქრო. მცირე სასარგებლო დატვირთვის გამო ტაქტიკური ბომბდამშენისა და მოიერიშის როლში თვითმფრინავი არაეფექტური იყო. ამ მხრივ F-4 გაცილებით დიდი საბრძოლო პოტენციალით გამოირჩეოდა. ფინანსური ასპექტიც „ვიჯილენტის“ წინააღმდეგ თამაშობდა. ერთ თვითმფრინავში ფლოტი 9-10 მლნ დოლარს იხდიდა, რაც მეტისმეტად ძვირი იყო. ამიტომაც „უსაქმოდ“ დარჩენილი თვითმფრინავები მზვერავებად გადააკეთეს.

მოდიფიკაცია RA-5C ავიამზიდებზე 1964 წელს გამოჩნდა. ეს ვარიანტი 91 ერთეულის ოდენობით გამოუშვეს. დამატებით 47 ცალი ბომბდამშენებიდან გადააკეთეს. ამერიკელები RA-5C-ს ვიეტნამის ომის ბოლომდე იყენებდნენ. „ფლოტის თვალებს“ მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტებისა და საზენიტო სისტემების აღმოსაჩენად დაბომბვების შედეგების შეფასებისთვის იყენებდნენ. ორი პროტოტიპის ჩათვლით, 156 Vigilante აიგო. აქედან 27 ერთეული ამერიკელებმა ვიეტნამის ომში დაკარგეს. მათგან 18 — ჩამოაგდეს.

ალექსანდრე აფაქიძე


მრავალი პარამეტრით უნიკალური A-5-ის მთავარი ნაკლი, სწორედ ამ უნიკალურობით გამოწვეული მეტისმეტად დიდი ღირებულება იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სერ კოლინ კემპბელი

## 1792–1863

**სერ კოლინ კემპბელი იყო XIX საუკუნის დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რომელიც ბალაკლავასთან „წვრილი წითელი ხაზის" (სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა) ბრძოლასა და ინდოეთის აჯანყების ჩახშობას ხელმძღვანელობდა.**

### ქრონოლოგია

- 1792 დაიბადა 20 ოქტომბერს გლაზგოში.
- 1807 ენსინის — უმცროსი ოფიცრის ჩინი მიიღო.
- 1808 როლისასა და ვიმეიროში ჰერცოგ ველინგტონთან ერთად იბრძოდა.
- 1809 მურის მეთაურობით ლა-კორუნიას ბრძოლაში მონაწილეობდა.
- 1810 იბრძოდა ბაროსასა და ტარიფაში.
- 1813 იბრძოდა ჰერცოგ ველინგტონთან ერთად ვიტორიაში.
- 1814 იბრძოდა შეერთებულ შტატებთან 1812 წელს წამოწყებულ ომში.
- 1823 წვლილი შეიტანა დემერარას აჯანყების ჩახშობაში.
- 1835 დაინიშნა მეცხრე ქვეითი პოლკის მეთაურად.
- 1841-43 მონაწილეობდა პირველ ოპიუმის ომში.
- 1848-49 იბრძოდა სიქების მეორე ომში; სამხედრო საქმეში დამსახურებისათვის რაინდად აკურთხეს.
- 1854 იბრძოდა მდინარე ალმასა და ბალაკლავასთან ყირიმში.
- 1857-58 ჩაახშო ინდოეთის ამბოხება.
- 1858 ბარონ კლაისდეილის ტიტული უბოძეს.
- 1860 ფელდმარშალია.
- 1863 გარდაიცვალა 14 აგვისტოს ჩეთემში, კენტში.

### ბრძოლაში ველინგტონთან ერთად

დაიბადა 1792 წლის 20 ოქტომბერს, გლაზგოელი ხუროს, ჯონ მაკლივერის ოჯახში. მისმა დიდმა პაპამ, არდნაველმა მემამულემ, მიწები 1745 წელს იაკობიტთა აჯანყებისას დაკარგა.

კოლინმა დედის გვარი კემპბელი აიღო, როდესაც ბიძამ იორკის ჰერცოგს, იმხანად არმიის მთავარსარდალს, წარუდგინა როგორც პოლკში ჩასარიცხი კანდიდატი.

15 წლის კოლინი მეცხრე ქვეითთა პოლკის ენსინი — უმცროსი ოფიცერი გახდა და პორტუგალიაში გაამწესეს, სადაც სერ ართურ უელსლის სარდლობით მონაწილეობდა როლისასა და ვიმეიროსთან ბრძოლებში. კოლინი სერ ჯონ მურს ახლდა, როდესაც ამ უკანასკნელმა ლა-კორუნიასკენ დაიხია.

ისტორიულ ნიდერლანდში მსახურობისას ვალხერენული ციება დაემართა, რაც სიცოცხლის ბოლომდე ტანჯავდა. ინგლისში ჯანმრთელობა აღიდგინა, მერე კი ისევ ნახევარკუნძულის ომში ჩაება ლეიტენანტის ჩინით და 1810 წელს ბაროსასთან მამაცურად იბრძოდა. მომდევნო წელს ესპანელებთან ერთად ტარიფას ალებაში მონაწილეობდა. კემპბელი ჰერცოგ უელინგტონთან ერთად იბრძოდა გამარჯვებით დამთავრებულ ვიტორიის ბრძოლაში და სამჯერ დაიჭრა. ის სან-სებასტიანის ალყის დროსაც არის მოხსენიებული.

როდესაც ბრიტანელებმა 1814 წელს ნიუ-ორლეანზე საბედისწერო იერიში მიიტანეს, კემპბელი ბრიტანულ გვიანაში მსახურობდა. 1823 წელს მან დემერერას აჯანყება სისხლში ჩაახშო.

კემპბელი ჯერ მეცხრე ქვეითთა პოლკის მეთაურად დანიშნეს, მერე კი 98-ე პოლკში გადაიყვანეს, რათა ჩინეთში პირველ ოპიუმის ომში მიეღო მონაწილეობა. ის კიდევ ერთხელ იქნა პატაკებში მოხსენიებული, გარდა ამი-



ყირიმის ომის დროს მდინარე ალმასთან ბრძოლაში გენერალ კემპბელის ქვეითებმა ძლიერი კონტრშეტევით რუსების უკუგდება შეძლეს და გაბატონებული სიმაღლეები დაიკავეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, აბანოს ორდენის კავალერიც გახდა, დიდ ბრიტანეთში კი მისი სახელი ყველასათვის ცნობილი შეიქნა.

1848 წლიდან 1852 წლამდე ინდოეთში მეთაურობდა ჯარს და ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე იბრძოდა. კემპბელი სამხედრო სამსახურიდან გადადგომას აპირებდა, როდესაც 1853 წელს ყირიმის ომი გაჩაღდა. მისი მეთაურობით შოტლანდიელთა პოლკმა მდინარე ალმასთან მაღლობებს შეუტია, გარდა ამისა, კემპბელმა თავი ისახელა ბალაკლავასთან ბრძოლაში. მას დივიზია ჩააბარეს და სევასტოპოლის შტურმშიც მიიღო მონაწილეობა.

ინდოეთში დაბრუნებისას, როდესაც სიპაების ამბოხება დაიწყო, კემპბელი უმაღლესი მთავარსარდალი იყო. ერთ წელიწადში მან სუბკონტინენტზე ინგლისის სრული კონტროლი აღადგინა. 1860 წელს ინგლისში დაბრუნებულს ისე შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს, პერობა და ფელდმარშლის კვერთხი უბოძეს. კოლინ კემპბელი 1863 წლის 14 აგვისტოს, 70 წლისა გარდაიცვალა. დაკრძალულია ვესტმინსტერის სააბატოში.




## წვრილი წითელი ხაზი

● მას მერე, რაც 1813 წელს სან-სებასტიანთან დაჭრეს, „როდესაც მის ირგვლივ ყველა კვდებოდა", კემპბელმა ყაზარმა ჭრილობების მოშუშებამდე დატოვა და პოლკს გაუძღვა, რათა ფრანგთა დივიზიონზე ღამით მიეტანა იერიში. მდინარის ფონს რომ გავიდა, ხელახლა დაჭრეს, ამჯერად უფრო მძიმედ. კემპბელს საყვედური გამოუცხადეს ყაზარმის უნებართვოდ დატოვებისათვის, თუმცა დააწინაურეს და პენსიაც დაუნიშნეს.



● 1854 წლის 25 ოქტომბერს ბალაკლავასთან ბრძოლაში კემპბელმა შოტლანდიელთა 93-ე პოლკი „წვრილ წითელ ხაზად" დააწყო, რათა რუსების კავალერიას გამკლავებოდა. „ვაჟკაცებო, ფეხის მოცვლა არავინ გაბედოს! — მიმართა მებრძოლებს, — სადაც დგახართ, აქვე უნდა დაიხოცოთ". შოტლანდიელებს ერთი სული ჰქონდათ, შეტევაზე გადასულიყვნენ, მაგრამ ისინი მეთაურის მრისხანე შეძახილმა შეაჩერა: „93-ე, სდექ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი ბრძოლის ჟინი!" კემპბელმა რუსების კავალერიას ახლოს მოსვლა აცალა, ამ დროს მისმა მებრძოლებმა იარაღი მოიმარჯვეს და მძლავრი ცეცხლით რუსები უკუაგდეს. „წვრილი წითელი ხაზი" ისტორიაში შევიდა, კემპბელი კი ეროვნულ გმირად იქცა.

● ინდოეთში 1857 წელს კემპბელს „ბატონ მცოცავ აქლემსა" და „წინდახედულ ბებერს" უწოდებდნენ ბრიტანეთის ავტორიტეტის ნელ-ნელა და მეთოდურად აღდგენისათვის. ნოემბერში ლაქნაუ გაათავისუფლა, მერე კი გარნიზონი კანპურში წაიყვანა, სადაც ამბოხებულები გაანადგურა. 1858 წლის მარტში ლაქნაუში დაბრუნდა და ქალაქი აიღო. მას მერე, რაც მაისში ჩრდილოეთ ინდოეთზე დიდი ბრიტანეთის კონტროლი აღადგინა, მას გენერალ-ოფიცრის წოდება მიანიჭეს.

*მოამზადა*
***ლევან ინასარიძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თბილისური მოიერიშეები ჩრდილოეთ კორეაში

## თავის დროზე თბილისში აწყობილი 32 ცალი Су-25K ტიპის მოიერიშე დღესაც ჩრდილოეთ კორეის მთავარი შემტევი საჰაერო ძალაა სამხრეთ კორეის წინააღმდეგ

ურთიერთობა ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის ბოლო დღეებში უკიდურესად დაიძაბა. ფხენიანმა 60 წლის წინ სეულთან დადებული ზავი დაარღვია, რისი მიზეზიც გახდა კორეის ნახევარკუნძულზე აშშ-ისა და კორეის რესპუბლიკის მიერ ერთობლივად ჩატარებული სამხედრო მანევრები. სწავლებები კომუნისტურმა ფხენიანმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულად აღიქვა და შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა.

პარალელურად ფხენიანმა კომუნისტური იდეოლოგიის სრული დაცვით ინტერნეტში ერთმანეთის მიყოლებით პროპაგანდისტული ვიდეორგოლები გაუშვა, სადაც ჩრდილოეთ კორეის სახალხო არმია უხეში ვიდეომონტაჟის საშუალებით ბომბავს და მიწასთან „ასწორებს“ სეულსა და ვაშინგტონს და მილიონობით კომუნისტი კორეელი „გამარჯვებას“ ზეიმობს.

ამ პროპაგანდისტულ ვიდეორგოლებში ხშირად ჩანს, თუ როგორ „ბომბავენ“ სამხრეთკორეულ დასახლებულ პუნქტებს ის საბრძოლო თვითმფრინავები, რომელთა სილუეტები ასე ნაცნობია — საუბარია Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებზე, რომლებსაც თბილისის საავიაციო ქარხანა 1979 წლიდან ამზადებს და რომლებიც ქართული ავიაციის შეიარაღებაშიცაა.



საინტერესოა როგორ აფასებდა თბილისურ მოიერიშეს ჩრდილოეთ კორეის ყოფილი ლიდერი...

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კომუნისტური ფხენიანის პროპაგანდისტულ ვიდეორგოლებში თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობილი მოიერიშე თვითმფრინავები ფიგურირებს, რადგან თავის დროზე ასეთი მოიერიშეები ჩრდილო კორეაში სწორედ თბილისიდან ჩაიტანეს. 1950-53 წლების კორეის ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც კომუნისტი კორეელები საბჭოთა კავშირის გადაცემულ ხრახნიან მოიერიშე Ил-10-ებს (მეორე მსოფლიო ომის ლეგენდარული Ил-2 „მფრინავი ტანკის“ მოდერნიზებული ვარიანტი) წარმატებით იყენებდნენ, 80-იანი წლების შუახანებში ფხენიანმა ისევ მოინდომა მოიერიშე თვითმფრინავების, ოღონდ ამჯერად რეაქტიულების შეიარაღებაში მიღება.

იმ დროისთვის მსოფლიოში მხოლოდ ორი რეაქტიული წმინდა მოიერიშე თვითმფრინავი არსებობდა — ამერიკული A-10A „ტანდერბოლტ 2“ (რომლის დაპროექტებაში ლომის წილი ჩვენ თანამემამულეს, ცნობილ ამერიკელ ავიაკონსტრუქტორს ალექსანდრე ქართველიშვილს ჰქონდა შეტანილი) და საბჭოთა Су-25, რომლის საბრძოლო ვარიანტს მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანა აწყობდა.

ამერიკულ „ტანდერბოლტს“ კომუნისტ კორეელებს გასაგები მიზეზების გამო არავინ მიჰყიდდა და, ბუნებრივია, ფხენიანის არჩევანი საბჭოთა მოიერიშეზე შეჩერდა.

1987 წლისთვის, როდესაც ფხენიანმა საბოლოოდ გადაწყვიტა ამ მოიერიშეების შეძენა, Су-25 უკვე მეშვიდე წელი ომობ-და ავღანეთში და თავი როგორც საიმედოდ დაცულმა, მრისხანე მოიერიშე თვითმფრინავმა გამოიჩინა.

1987-89 წლებში თბილისის საავიაციო ქარხანაში სპეციალურად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისთვის 32 ცალი Су-25К ტიპის საექსპორტო მოიერიშე თვითმფრინავი დამზადდა და ისინი დაშლილი გაიგზავნა ჩრდილო კორეაში, სადაც მათ აწყობაში თბილისელი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

მოიერიშეების შეღებვა და ამოსაცნობი ნიშნების დატანა თბილისის საავიაციო ქარხანაში ხდებოდა. კორეელებმა ნაყიდი მოიერიშეებისთვის რატომღაც ისეთივე კამუფლირებული ფერები არჩიეს, როგორსაც დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ცენტრალურ ევროპაში საბრძოლო მოქმედებებისთვის განკუთვნილ მოიერიშეებს ახატავდნენ.

**ჩვენი დოსიე:** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში ჩაკეტილ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა კოსმოსურ სადაზვერვო თანამგზავრებს ვერც კომუნისტი კორეელები უმალავენ სამხედრო აეროდრომებსა და მათზე განთავსებულ საფრენ აპარატებს.

ჩრდილო კორეის ტერიტორიაზე 24 აეროდრომი და 20 შვეულდრომია. გარდა ამისა, საკმაოდაა ცალკეული ასაფრენ-დასაფრენი ზოლები, საერთო ჯამში, სამხედრო-საჰაერო ბაზების რაოდენობა 70-ს აღწევს.

რამდენად დაუჯერებელიც უნდა იყოს, ჩრდილოეთ კორეას მსოფლიოში შეიძლება ყველაზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავდეს, რომელთა საერთო რიცხვი 1600-ს აღწევს. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ კომუნისტი კორეელები შეიარაღებაში ტოვებენ სამუზეუმო ასობით МиГ-15-სა და МиГ-17-ს. ფხენიანის განკარგულებაშია შედარებით თანამედროვე 40-მდე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი, თუმცა საეჭვოა მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ სამხრეთ კორეის უახლოესი მოდიფიკაციის F-16 Blok52-ებს.



კომუნისტი კორეელების Су-25К-ებს ასეთი ამოსაცნობი ნიშნები ახატიათ





„არსენალმა“ მცირეოდენი ძებნის შემდეგ მათ Google Map-ის დახმარებით ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურ ნაწილში, ფხენიანიდან 80-იოდე კმ-ში, სუნჩხონის სამხედრო-საჰაერო ბაზაში მიაგნო. კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოსურათზე კარგად ჩანს აეროდრომზე, სხვადასხვა ადგილას გადამალული Су-25К-ები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭი

თინათინ ხუტურიძე


გმირულად დაღუპული გიორგი ანწუხელიძე

რიგში სულ რამდენიმე ადამიანი იდგა. შიგნით შესულები კარგა ხანს ყოვნდებოდნენ. იქიდან გამოსულებს ზოგს კმაყოფილი სახე ჰქონდა, ზოგის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი. ამასობაში მალე მოუწია რიგმა. ოთახში შესულს სისუფთავე მოხვდა თვალში. ექიმებს და ექთნებს, ყველას თეთრი, ტკიცინა ხალათები ეცვათ და დაღლილობისდა მიუხედავად, მაინც იღიმებოდნენ. ოთახი დაბალი ტიხრებით ოთხგან იყო გადატიხრული.

— სიმაღლე?

— 196 სანტიმეტრი.

— წონა?

— 66 კილო.

— რა არის, ბიჭო, დამწყვდეული ხომ არა ჰყავდი? — უკბილოდ გაიხუმრა ექიმის თანაშემწე ექთანმა, რომელიც წონიდა და თან მის მონაცემებს იწერდა.

ბიჭს მაინც გაეღიმა, ექთანს თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო. ისე კი, თითქოს რაღაც ჩასწყდა. ყველა პროცედურა გაიარა. ბოლოს, შევსებული თეთრი ფურცლები ლამაზმა ექთანმა გოგონამ აკინძა და მთავარ ექიმს მიაწოდა. მთავარმა ექიმმა ყურადღებით გადაიკითხა ყველა ფურცელი, ბიჭს კიდევ ერთხელ ახედ-დახედა. „მაღალია, მაგრამ ძალიან გამხდარი, ისე ჯანმრთელია, რა გინდა", — გაიფიქრა თავისთვის. მერე ბეჭედი დაარტყა, — მშვიდობით მოგეაროსო, — ღიმილით უთხრა და აკინძული ფურცლები მიაწოდა. სულ რაღაც ნახევარი ან იქნებ ერთი საათით შესულ ბიჭსა და ექიმ-ექთნებს შორის რაღაც ნათესაური თუ სულიერი ძაფები გაიბა. ბიჭმა დიდი მადლობა გადაუხადა, მთავარ ექიმს ხელიც კი ჩამოართვა და გამოვიდა...

მერე დაიწყო გაუთავებელი წვრთნები. ხან აღმოსავლეთში იყო, ხან დასავლეთში. არა, კი არ უჭირდა, პირიქით, უკვე ძვალსა და რბილში გაუჯდა ვარჯიში. მეგობრები გაიჩინა. საქართველოს ისტორიის წიგნები გამოაგზავნინა სახლიდან და როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, კითხულობდა. ისტორია სკოლაში შეუყვარდა. თენგიზ მასწავლებელი ისე ემოციურად უხსნიდა გაკვეთილებს, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიას, რომ შინ მისული ბიჭი მაშინვე ჩაუჯდებოდა და სწავლობდა. ოცმეთაურს მოსწონდა მისი აქტიურობა. აქებდა ხოლმე სხვების თანდასწრებით. ბიჭს გულში უხაროდა კიდეც, მაგრამ ამხანაგების ერიდებოდა, თითქოს დამნაშავედ გრძნობდა თავს მათ წინაშე, მარტო მას რომ შეაქებდა უფროსი. ცოტა მოსუქდა — კვება კარგი იყო და საწუწუნო ამ მხრივაც არაფერი ჰქონდა. მაგრამ 4-5 თვე რომ გავიდა, მიხვდა, რომ არ უნდა წამოსულიყო. სუფთა ჰაერი და მთები მოენატრა. დენთის სუნით გაიჟღინთა მთლიანად. პირშიც დენთის გემოს გრძნობდა. ვერაფრით მოიცილა ეს შეგრძნება. საწვრთნელად გასულს, სულ ერთი და იგივე პეიზაჟი ხვდებოდა, – გაცრეცილი ტრამალი და გორაკები, წაქცეული აქლემების კუზებს რომ ჰგავდნენ. მუდმივად ზუზუნებდა ნიავი, რომელსაც გატუსული ბალახის სუნი მოჰქონდა.

ბიჭი მიხვდა, რომ შეცდა. აღარ უნდოდა ჯარისკაცობა. აღარც ოცმეთაურის თუ ამხანაგების შექებაზე გაჰკრავდა სიამოვნების ელვა გულში. სახეზეც ეტყობოდა მოწყენილობა. ოჯახის წევრებსაც იშვიათად ხედავდა. სუფთა ჰაერი და მთები სულ თვალწინ ედგა — ცხენებისა და თონის პურის სუნი. მამა დიდი ხანია ცუდად იყო – ცალი თირკმლით და მუდმივი შრომით გამოფიტული. დედას, ორ დას და მოხუც მამიდას ვინ მიხედავდა. სკოლიდან დაბრუნებულს, ხშირად მხოლოდ პური და მწვანილი დახვდერია. ხანდახან მეზობელი გაგზავნიდა ძროხის ჯერში თავის ნაცვლად და ფულს აძლევდა. ბიჭი გახარებული ბრუნდებოდა – დედასთან გარბოდა ბოსტანში. ქალი გულში იკრავდა, კოცნიდა, კოცნიდა და თან ტიროდა, – შენი, შენი გამხდარი ხელების იმედზელა ვართ. გენაცვალე... გენაცვლე — ტირილისგან აუდჩაუდიოდა მკერდი. ბიჭი დაირცხვენდა, — კარგი რაა, დედი, კარგი რაა, ამასლა ეტყოდა და გაეცინებოდა გულუბრყვილოდ. სკოლა არც დაუმთავრებია, ისე ადგა და წავიდა ცხვარში. ქარში, წვიმაში, მზეში თუ თოვლში ნაბადში გახვეული ფარის ძაღლებთან ერთად ცხვარს აძოვებდა. შემგლისფრებულზე ბინისკენ მიჰყავდა ცხვარი. ბინაში მისული პურს აცხობდა, ხან ხინკალს აკეთებდა, ხან ყველს ჩაფშვნიდა ტაფაში ერბოსთან ერთად, ხან მჟავე რძეს სვამდა. ყველი და ერბო ამოჰყავდა. დაღლილს რამდენჯერ დასძინებია სახელდახელოდ შეკრულ სკამზე, მაგრამ დილით ისე წამოხტებოდა, თითქოს სამი ღამე გადაბმულად სძინებოდეს. თუ ვინმე შემცვლელი ამოუვიდოდა, პირიქითა ხეობის სოფლებში ჩავიდოდა ხანდახან – შინაურებსა და ნათესავ-მეგობრებს მოინახულებდა და მეორე დღესვე უკან ბრუნდებოდა. თუ ათენგენობა იყო, ორ-სამ დღეს დარჩებოდა — ავიდოდა სალოცავში თანასოფლელებთან ერთად და ქეიფობდა.

დრო ფიქრებში გაჰყავდა. ამოვიდოდა ბარიდან შემცვლელი. სურსათ-სანოვაგეს ამოუტანდა და ამაოდ სთხოვდა დასვენებასა და ბარში ჩასვლას. ბიჭი მასთან ერთად მიერეკებოდა მაინც ფარას. თან მიჰქონდა რომის ისტორიის წიგნები. მთის ფერდობზე გაშლიდა ნაბადს და კითხულობდა. მისი შემცვლელი თმა-წვერგაბურძგნილი კაცი კი, კომბალზე დაყრდნობილი, ეჭვით შეჰყურებდა ბიჭს და სინანულით გადააქნევდა ხოლმე თავს.

...წვრთნები გრძელდებოდა. პოლიგონიდან პოლიგონზე, ნაწილიდან ნაწილში, ტრამალიდან ტრამალზე, გორიდან გორზე გადადიოდნენ, ისროდნენ, ხოხავდნენ, ცოცავდნენ, დარბოდნენ.. უკვე კითხვისთვისაც აღარ რჩებოდა დრო. მხოლოდ ძილი და ვარჯიში. ბიჭისთვის უკვე აუტანელი გახდა ასეთი ყოფა. ერთ ღამესაც კუჭის არეში ძლიერმა ტკივილმა გამოაღვიძა.

დილით, სანამ მოქწყობოდნენ, ნაწილის ექიმმა დაკვირვებით გასინჯა. გარეგნული დათვალიერებით არაფერიაო, – უთხრა და ოცმეთაურს სთხოვა, გასაშუქებლად ჰოსპიტალში გაეგზავნათ. ოცმეთაურმა მანქანა გამოუყო. წესით, არ ეკუთვნოდა, მაგრამ მეთაურმა შინაურულად მოუთათუნა მხარზე ხელი და მანქანის გაღებული კარისკენ უბიძგა. გამოჯანმრთელება უსურვა და — შენნაირები განა ბევრი გვყავსო, — თან მოაყოლა. ჰოსპიტალში ბევრი ხალხი დახვდა. საღამოს ძლივს ეღირსა შესვლა. გადაიღო და კიდევ ნახევარი საათი სურათს ელოდა. ნაწილში დაბრუნებულმა მაშინვე მთავარ ექიმს შეუტანა სურათი. კუჭზე წყლული გაქვსო — ექიმმა. მაგრამ ნუ გეშინია, წამლებს გამოგიწერ, ცოტა ხანი შვებულებასაც მოგართმევ, დაისვენებ და კვნჭვით იქნებიო, – თვალის ჩაკვრით დაამედა. ბიჭს გაუხარდა. ცოტა ხანი მაინც მოსწყდებოდა ამ მოსაწყენ პეიზაჟებს. სურათი და ექიმის დანიშნულება ოცმეთაურს შეუტანა კაბინეტში. მაღალმა, ხმელ-ხმელმა და მკაცრი გარეგნობის ორმოცდაათიოდე წლის კაცმა წაიკითხა თუ არა დანიშნულება, მაშინვე ბრძანებისა და მიწერილობის ნებართვა გასცა.

დილით ნივთები ჩაალაგა, პირი სუფთად გაიპარსა და მეგობრებს დაემშვიდობა. გარეთ ისევ ის მანქანა ელოდა, რომლითაც წინადღეს ჰოსპიტალში გაგზავნეს...

ნოემბრის ბოლო კვირა იყო. მთებში ვერ ავიდოდა – თოვლს ჩაეკეტა გზები. ცხვარი შირაქის საძოვრებზე გაერეკათ. ერთი კვირით მაინც ჩავალო, – გაიფიქრა ბიჭმა. დედა ჭყვეწებოდა, – ჩვენთან იყავი, გავძლეთ შენი ყურებითო. აკი ძალიან ენატრებოდა შინაურები ბიჭს, განსაკუთრებით დედა, მაგრამ ამის ცხადად გამოხატვის რცხვენოდა. თან ცხვარ-მეცხვარეებიც უნდოდა ენახა. დენთის სუნის შეგრძნება ძლივს მოიცილა და უხაროდა. ხელფასიც მისცეს წამოსვლისას და სურსათ-სანოვაგით დატვირთული მივიდა სახლში.

ცხვრის ბინაში გაუხარდათ ბიჭის გამოჩენა. ბატკანი დაკლეს, ჩაქაფული გააკეთეს. იქეიფეს იმ ღამით. ბიჭს ჯარის ამბებს მოაყოლეს. არაო, არაო, ისევ მანდა სჯობიაო, წუწუნებდნენ ჯაფისგან და წვიმა-თოვლში გარეთ წანწალისგან შებეზრებული მწყემსები, – საჭმელი მაინცა გხვდებათ გაკეთებული და საწოლი მაინცა გაქვთ სუფთა და მშრალიო. მგელი მაინც არ დაგეცემათ და ფარას მოწყვეტილი ცხვრის ნოტო მაინც არა გყავთ საძებარიო. ცოლ-შვილს თვეობით, ხანაც მთელი წელი ვერა ვხედავთ, ბაღლები ველარ გვცნობენ, ასე თმა-წვერგაბურძგნილებს რო დაგვინახავენ, შეშინებულები გვემალებიან და უკან ისე მოვდივართ, ვერც კი ვეფერებითო. ერთი ამ ცხვარ-მეცხვარის მომგონიცაო, – იგინებოდნენ უკვე შეზარხოშებული მეცხვარეები და დაძარღვულ, ძლიერ ხელებს, ქარისგან გამოშრალ-გაწითლებულ სახეზე წამოზრდილ წვერზე ხშირად აისვ-ჩაისვამდნენ...

მთელ ამ ცხვრის ბინაში მარტო ბიჭი იყო კმაყოფილი. ჯერ ერთი, დენთის სუნი მოიშორა, მეორეც, მეცხვარეების თავშესაქცევ თავგადასავლებს ისმენდა. ცხვარს აძოვებდა, საჭმელს აკეთებდა, ქეიფობდა. უკვე ჩალისფერი დაჰკრავდა არემარეს. ცაზე ტყვიისფერი ღრუბელი ისე საგულდაგულოდ გაწოლილიყო, თითქოს მთელი ცხოვრება ასე იყო და მზე საერთოდ არ ამოდიოდა. ნიავიც ქროდა, მაგრამ შეტრუსული ბალახის სუნი არ მოჰქონდა. ფარის ძაღლები შემოიჩვია – ხორცის წვენს უსხამდა გეჯებში, შაქარყინულის ნატეხებს უყრიდა. სულ კუდში დასდევდნენ...

მობილური ტელეფონის ზარის ხმამ გამოაღვიძა. ოთახში თბილოდა. დანის ხშირ-ხშირი კაკუნი ისმოდა სამზარეულოდან. ნამგზავრს გაუხდელს ჩასძინებოდა. ნომრისთვის არც დაუხედავს, ნახევრად მძინარემ უპასუხა.

— მერაბი ვარ. სადა ხარ, ბიჭო?

— სად ვიქნები, – მთქნარებით უპასუხა.

— ჰოდა, მისმინე. ვიკრიბებით რაა ბიჭები. ხო იცი, ჩვენი ოცმეთაური რა ჯიგარია. გარიკა კარაპეტიანის დაბადების დღეა და ორი დღე გვაჩუქა.

— ვააა, — უცებ გამოფხიზლდა, – აღარც მახსოვდა.

— ჰოდა, იცოდე. რესტორანს ვნახავთ და კავშირზე იყავი. დაგირეკავ.

— კაი. მაგარია. მოვდივარ. შენს ზარს ველოდები, — უკვე კარგად შეფხიზლებულმა უპასუხა.

მოენატრა ბიჭს მეგობრები. აღარც ახსოვდა გარიკას დაბადების დღე. მაშინ დიმა ჯაილოვიც იქნება. გარიკა და დიმა განსაკუთრებით უყვარდა. მერაბიც უყვარდა, დათოც, ფანცულაც, მის ნაწილში თითქმის ყველანი საიმედო ვაჟკაცი ბიჭები იყვნენ, მაგრამ დიმა და გარიკა რატომღაც ამორჩეულები ჰყავდა. თავიდანვე ამ ორს დაუმეგობრდა. ერთი სომეხი და მეორე აზერბაიჯანელი, მაგრამ სულით და გულით ქართველები, სამშობლოზე შეყვარებული ბიჭები იყვნენ. სხვა თუ არაფერი, ქართველებზე უკეთესად იცოდნენ საქართველოს ისტორია. შეიძლება ამის გამო უფრო მოსწონდა ისინი. თანაც კარგად ახსოვდა თენგიზ მასწავლებლის შეგონებები, ომის დროს მხოლოდ საკუთარი თავის და ერთგული მეგობრის იმედი უნდა გქონდესო. და სწორედ გარიკა და დიმა ესახებოდა ასეთად.

თენგიზ მასწავლებელს გაკვეთილზე ხშირად მოუყოლია ბავშვებისთვის აფხაზეთის ომის ამბები, სადაც მისი ბიძაშვილი გია უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გიას თანამებრძოლები კი, ვინც გადარჩნენ, დღემდე დუმდნენ. ყვებოდა თენგიზ მასწავლებელი, როგორ წაართვა საქართველოს ულამაზესი კუთხე აფხაზეთი, [illegible]-თმორწმუნე, დიდმა [illegible] მერე როგორ ძარცვავდნენ სვანეთისკენ მიმავალ ქართველ დევნილებს ქართველივე მაროდიორები; როგორ იყინებოდნენ უღელტეხილზე მოხუცები, ბავშვები და ავადმყოფები და ბიჭს გული ეთუთქებოდა. სამაჩაბლოს ომის ამბებიც იცოდა თავისი მეზობლის ბიძაშვილისგან მონაყოლი. ერთთავად იმაზე ფიქრობდა, როდის იქნება ჩემი სამშობლო ისევ ერთიანიო...

გარიკას დაბადების დღე თითქოს დღესასწაულად გადაიქცა ბიჭისთვის. იზეიმეს და იმ დღიდან სამი თვის მერე იქ გაცნობილ გოგონაზე იქორწინა. ერთი წლის მერე კი მამა გახდა და ცხოვრებამ სულ სხვანაირი ელფერი შეიძინა. თითქოს ხელახლა დაიბადა, ახალი, ფერადი სამყარო გადაიშალა მის თვალწინ თავისი თოთო ბავშვის თვალების სახით..

შვილთან ჩახვეულს ეძინა. ცოლმა ფრთხილად შეაღვიძა და ტელეფონი მიაწოდა. ნაწილში იხმობდნენ სასწრაფოდ. შვილს დახედა, პატარა ხელებზე ხელი გადაუსვა. მშვიდად, უდარდელად ფშვინავდა პატარა. გაღებული კარიდან ჩანდა, როგორ ფუსფუსებდა ფეხმძიმე ცოლი სამზარეულოში. დიდხანს უყურებდა. ძალზე შორეულ არსებად ეჩვენა – მზით განათებული მინდვრის უგრძესი ბილიკის ბოლოში წერტილივით მოძრავ არსებად... მერე სასწრაფოდ ჩაიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეჩქარებოდა, წვერი მაინც გაიპარსა, სარკეში უყურებდა თავის თავს. თითქოს ვიღაც უცხო, სრულიად სხვა ადამიანი შეჰყურებდა შიშჩამდგარი, დიდი თვალებით.

ოცმეთაურის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი, მხოლოდ მახვილი თვალისთვის ძლივს შესამჩნევად გაჰფითრებოდა ტუჩის კუთხეები. ბრძანება გასცა და ხშირ ტყეს შეერივნენ. მდინარის გაღმა სოფელში, აქა-იქ ხანძრის ალი ჩანდა. შიგადაშიგ ავტომატის კაკანი ისმოდა. დაბომბვა დროებით შეჩერებულიყო და თუ კარგად მიაყურადებდი, კალიების ჭრიჭინსაც შეიგრძნობდი სიცხის ბუღში. ამისთვის კი ვის ეცალა. რამდენიმე მეტრში ფაშვგამოგლეჯილი ძროხა ეგდო, იქვე პატრონი, თოკი ისევ შერჩენოდა ხელში. ვაშლის ბაღებს გადაიარეს, — ტოტებდალეწილი, მსხმოიარე ვაშლის ბაღები. ბიჭს სულმა წასძლია და ერთი ჩაკბიჩა.

ბიჭს, მოულოდნელად ბავშვის ტირილის ხმა შემოესმა. მარცხნივ, ორასიოდე მეტრის მოშორებით დამშრალი, აჭაობებული არხი იყო. იმის იქით სახელდახელოდ გათხრილი სანგრები ჩანდა. ხმა თითქოს იქიდან ისმოდა. ნაწილს ჩამოვრჩებიო, – გაიფიქრა, მაგრამ ტირილის ხმა კიდევ განმეორდა და არხისკენ გასწია. აშმორებული ბალახის და დადუმებული ბაყაყების გარდა არაფერი დახვდა. სანგრებიდანაც

ჩამიჩუმი არ ისმოდა. შვილი გაახსენდა. ფეხმძიმე ცოლი. გოგონას ელოდებოდნენ. სულ ოცნებობდა გოგონაზე — ნაწნავებს დავუწნავ, მხრებზე შევისვამ ხან ერთს, ხან მეორეს, მერე მესამეს და მეოთხესაცო, ოცნებობდა. მაგრამ ახლა თითქმის ღალატის ტოლფასი იყო ეს ფიქრები, მხოლოდ ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა.

ერთხელ კიდევ შეავლო მზერა გადათხრილ სანგრებს, სიცხისგან ფერდაკარგულ, გაცრეცილ ცას და უკანვე გამობრუნდა. თავისი ნაწილის ბიჭებს ვეღარსად მოჰკრა თვალი და გზა ალალბედზე განაგრძო. ათიოდე წუთის მერე აფეთქების მძლავრმა ტალღამ შორს გაისროლა. გონზე მოსულს ვიღაც უცხოები მიათრევდნენ. რამდენჯერმე თოფის კონდახიც ჩაარტყეს სახეში გამოსაფხიზლებლად. წელს ზემოთ გაეშიშვლებინათ და ბეჭებზე ქვებზე თრევისგან აქა-იქ მოსდიოდა სისხლი. ხელები ზურგს უკან ჰქონდა გაკრული. შვიდი-რვა კაცი შემოხვეოდა. იცინოდნენ, კონდახებს ურტყამდნენ და უშვერად ლანძღავდნენ. აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ყველას სახეს აკვირდებოდა. ერთს, ყველაზე სახეშეშლილს და გვარიანად გამობრუჟულს, ცალ ხელში არყის ნახევრად დაცლილი ბოთლი ეჭირა, მეორეში „კალაშნიკოვის" ავტომატი და რაღაცას მღეროდა. ორს, შავწვერას, ერთნაირი შავი ქუდები ეხურათ ზედ თეთრი, ლურჯი და წითელი ფერების კომბინაციის დროშის ემბლემით. არწივის ნისკარტებს მიუგავდათ ნესტოებდაბერილი ცხვირები. ყველაზე დიდი ჟინითა და გამეტებით ხაკისფერკეპიანი გამოირჩეოდა, რომელიც ბიჭს დაუნდობლად ურტყამდა. დიდი კაკლის ხის ქვეშ მიათრიეს. მხრებში თავჩარგულმა თვალი მოჰკრა, მეორე ხის ქვეშ სისხლით მოსვრილი ფანცულა და გარიკა ერთმანეთზე თოკებით მიებათ და აფურთხებდნენ. ბიჭმა ძალ-ღონე მოიკრიბა და წამოხტა. მაშინვე მძიმე, სქელლანჩიანი ჩექმები ჩასცხეს.

რუსულად და ბიჭისთვის გაუგებარ ენაზე უყვიროდნენ. თითქოს წამიერად კარგავდა გონს და ისევ ახელდა თვალებს. რამდენჯერმე დაუძახეს გარიკამ და ფანცულამ. ალბათ, გასამხნევებლად. ბიჭსაც უნდოდა იგივე ექნა, მაგრამ დააპირა თუ არა, თავგადაპარსულმა ახმახმა სიცილით მიარტყა თოფის ლულა ტუჩებზე და რუსულად უთხრა:

— მიდი, მიდი, ეამბორე რუსეთის მიწას! ეს ჩვენია, გაიგე? ეამბორე და მადლობაც გადაგვიხადე, რომ ამ მიწაზე გდიხარ! დავაი, დავაი, ეამბორე, ძაღლო! ბიჭს ჩამტვრეული კბილებითა და სისხლით ავსო პირი. გადმოფურთხებასაც ვერ ახერხებდა. მორიგეობით ურტყამდნენ წიხლებსა და კონდახებს. მერე ცხვირნისკარტა, შავქუდიანმა გაზინტლული ჟილეტის შიდა ჯიბიდან თეთრი ნაჭერი ამოაძვრინა და ბიჭს წინ, მიწაზე გაუშალა. — დავაი! დავაი! მიაფურთხე! მიაფურთხე, შე მძორო! დახიე! გათელე და გასუნსულდები შენი ვითომ ამაყი და გულადი ძმებისკენ! ბიჭს სისხლი აწვებოდა თვალებში. მის წინ გაფენილ დაჭმუჭნილ და დასვრილ ქართულ დროშაზე გამოსახულ წითელ ჯვრებს თვალს არ აცილებდა და ძალ-ღონეს იკრებდა, რომ ამ მგლების ხროვას არ დამორჩილებოდა. ნეტავ სად იყვნენ დიმა, მერაბი, დათო, ოცმეთაური.. გადაურჩნენ აფეთქებას თუ ისინიც ტყვედ ჰყავდათ? თავისი სახელი შემოესმა ისევ. ფანცულას ხმას მიამსგავსა. მერე ავტომატის მოკლე ჯერი გაისმა და სიჩუმე ჩამოვარდა.


ქართველი იუნკრების ამბავს რომ ჰყვებოდა, თუნგიზი მასწავლებელი აღელდა...

ბიჭს თვალებიდან ლამის სიმწრის სისხლმა გადმოხეთქა. უნდოდა წამომხტარიყო და მეგობრებისკენ გაქცეულიყო, მაგრამ სხეული ტყვიასავით დამძიმებოდა. წამოიწია, მაგრამ მაშინვე გონი დაკარგა. სიმღერის ხმამ თითქოს შეაფხიზლა. ალბათ, ის არყით მთვრალი მღერისო, გაიფიქრა, მაგრამ რაღაც სხვა, ტკბილი მელოდია იყო. აი, მთებში რომ მღერიან, ისეთი. ნისლში ჩაძირულმა მთების მწვერვალებს მოჰკრა თვალი. დედის გამომცხვარი ნამცხვრის სურნელი ტრიალებდა ჰაერში. სადღაც ზემოდან უყურებდა მთის ფერდობზე შეფენილ სოფელს. ხელიხელ გადახვეული მთვრალი კაცები მიბარბაცებდნენ, თავზე ყვავილების გვირგვინები ედგათ. გარმონს უკრავდა ერთი და დანარჩენები არეულად მღეროდნენ უტკბეს სიმღერებს. ერთ-ერთი სახლის ეზოში ხარიხაზე გამობმული ჭედილა ბღაოდა. ეზოში ნაბდები, უნაგირები, ჭრელ-ჭრელი ხალიჩები, წინდები და სალუდე ქვაბები გაეშალათ. ქალები ხინკალს ხარშავდნენ. ოხშივარში გახვეულიყო სოფელი. ბიჭს უნდოდა ახლოს მისულიყო, გამოლაპარაკებოდა, მოსიყვარულებოდა ამ ხალხს, მაგრამ თითქოს კლდეზე მიჯაჭვულიყო. ბოლოს სიმღერის ხმაც მიწყდა და ბიჭი მხოლოდ ცას, ვარსკვლავებსა და ყველაზე დიდ ვარსკვლავზე წამოდებულ ღრუბელს ხედავდა. წამიერად გონს მოსულმა იმ ახმახის მოცინარი სახე, რამდენიმე ოქროს კბილი და ქუდის კეპზე სისხლის წვეთები დალანდა. ისევ სადღაც მიათრევდნენ. უნდოდა დაეძახა თავისი ბიჭების სახელები, მაგრამ ენა გასიებოდა და მხოლოდ გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა.

ზაფხულის ხანგრძლივი ხვატის შემდეგ, რაც ასე უცხო იყო სოხუმისთვის, ძლივს მოვიდა შხაპუნა წვიმა. შიშხინებდა დასიცხული მიწა და მტვრის ოდნავ მოტკბო, სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა ჰაერში. გახარებული ტურისტები გუნდ-გუნდად სეირნობდნენ ქუჩებში. ყველა კუთხიდან სასიამოვნო შეძახილები და კისკისი ისმოდა. ბიჭს თხელი, ცისფერი კუბოკრული პერანგი და თეთრი შორტები ეცვა. მხარზე თხელი პულოვერი დაუდევრად გადაეფინა და ღიმილით მიაბიჯებდა მთავარ ქუჩაზე. გამვლელები ხელის აწევით ესალმებოდნენ. ზოგი, უფრო ხანში შესული კაცები და ქალები მიდიოდნენ და ხელს ართმევდნენ. რამდენიმე თამამმა, გამომწვევად ჩაცმულმა გოგონამ გადაკოცნა კიდეც. ეზოებში ნარდისა და დომინოს თამაში გაეჩაღებინათ. ერთგან პატარა სუფრაც ჰქონდათ გაშლილი. ბიჭის დანახვაზე წამოდგნენ, თავაზიანად მიიპატიჟეს. ბიჭმა იუარა, მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო. ქუჩის კუთხეში, წყლის დასალევად დახრილს, გვარიანად შემელოტებულმა მენაყინემ ნაყინით სავსე პარკი მიაჩეჩა ხელში. ბიჭი გაოცებული უარს ეუბნებოდა, მაგრამ კაცმა ისე დაანამუსა, გამოართვა. ბავშვების გუნდი დაინახა ბაღში. დაუძახა და მათ მისცა.

მთავარი ქუჩიდან კვიპაროსების ხე-

ფნისკენ გადაუხვია. მის მოპირდაპირედ პატარა, სამიოდე წლის გოგონა მოდიოდა. ყვითელი, თეთრწინწკლებიანი სარაფანი ეცვა. ირგვლივ არავინ ჩანდა. ბიჭს გაუკვირდა, ასეთი პატარა ბავშვი რატომ იყო მარტო ქუჩაში. გოგონა მიუახლოვდა. ბიჭმა სახელი ჰკითხა.

— ანა, ანა მქვია, — უპასუხა ჟღერადი ხმით პატარამ და თვალებით თავის მაჯაზე ანიშნა, — დედას გამოვექცი, ღობეზე გადმოვძვერი და მაჯა გავიკაწრე, — სულ ოდნავ გაჰკაწვროდა და სისხლის უწვრილესი ზოლი ეტყობოდა. ბიჭი დაიხარა, უნდოდა ნატკენზე მოჰფერებოდა, მაგრამ გოგონამ წამიერად გაუსწორა ცისფერი თვალები, შებრუნდა და უკანმოუხედავად გაიქცა. ბიჭმა მიმოიხედა. მხოლოდ ახლალა ეუცხოვა ეს ქალაქი, ხალხი. ვერ მიმხვდარიყო, ასეთი ალფრთოვანებით რატომ ხვდებოდნენ. თანაც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ადრეც იყო აქ ნამყოფი, თითქოს მშობლიური იყო ეს ქუჩები, ეს ხალხი, ასე გულწრფელად და სიყვარულით რომ ეგებებოდნენ. მაგრამ ეს პატარა გოგონა კი ყველაზე ახლობლად, თავის სისხლად და ხორცად მიაჩნდა ბიჭს. უნდოდა დასწეოდა, ჩაჰხუტებოდა. გოგონას ძებნაში კვიპაროსების ხეივნიდან აღმართს აუყვა, უკან მოიტოვა წვიმისგან გახალისებული ქალაქი და ნელ-ნელა თვალს მიეფარა...

გაკვეთილზე სრული დასწრება იყო. მხოლოდ ერთი — გაგოიძე აკლდა. ბიძა გარდაეცვალაო, კლასის ხელმძღვანელმა სამასწავლებლოშივე უთხრა. თითქმის ყოველთვის კარგი დასწრება იყო ისტორიის გაკვეთილზე. მხოლოდ გაზაფხულზე, როცა უკვე თბილი ამინდი დადგებოდა, სულ გარეთ მიუწევდათ ბავშვებს გული. დღეს კი, თებერვლის ამ ჟინჟლიან დღეს, ვის ეხალისებოდა ტალახში სეირნობა და თბილ კლასში ჯდომა არჩიეს. თანაც თენგიზ მასწავლებელი ისე საინტერესოდ საუბრობდა მოსწავლეებისთვის უინტერესო თემებზეც კი, რომ ზარმაცებიცა და წარჩინებულნიც — ყველანი ყურადღებით უსმენდნენ.

— დღეს 25 თებერვალია, საქართველოს ოკუპაციის დღე. ეს ყველა თქვენგანმა კარგად უნდა იცოდეს და მე მოვითხოვ, თითოეულმა ვრცლად და შინაარსიანად შეისწავლოს ის მოვლენები, რომელიც 1921 წლის თებერვალში ჩვენს სამშობლოში განვითარდა!

ქართველი იუნკრების ამბავს რომ ჰყვებოდა, თენგიზ მასწავლებელი აღელდა და ეს მოსწავლეებმაც შეამჩნიეს. მასწავლებელი ფანჯარასთან მივიდა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, განაგრძო:

— ჩვენ გმირი იუნკრები უახლოეს ისტორიულ წარსულშიც გვყავს. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რომელიც საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხეებია და რომელიც რუსული არმიის მიერ დღესაც ოკუპირებულია, ბევრი ქართველი დაიღუპა გმირულად. მათ გვარებს საქართველოს ისტორიის წიგნებში ვერ ამოიკითხავთ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა თქვენი თანასოფლელი, ჩემი ყოფილი ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე, გმირი თუში — გიორგი ანწუხელიძე. იგი ტყვედ ჩავარდა. ხერხემალში გადატეხეს და წამებით მოკლეს. აიძულებდნენ, ფეხით გაეთელა ჩვენი სამშობლოს დროშა, — თქვა მასწავლებელმა და თითქოს ხმა ჩაუწყდა. იდგა და ფანჯრიდან გაჰყურებდა, როგორ აწვიმდა სკოლის ეზოს გადაღმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალს და ცელოფანის პარკებითა და სიგარეტის ნამწვებით სავსე პატარა ბაღს. ბაღის შუაში, „დიდი საბჭოთა“ ბელადის — სტალინის ძეგლი იდგა. თითქოს მასაც, თებერვლის ამ უჟმური წვიმით გაბეზრებულს, ნაღველი ჩასდგომოდა თვალებში და ულვაშსა და მხრებზე ხულიგნებისგან მისხმული ვარდისფერი საღებავი უფრო მკვეთრად აჩნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზული:** 5. ისრაელის წარმოების ტანკი; 6. ქვეყანა აფრიკაში; 7. კარჩაკეტილი საზოგადოება; 8. სამხედრო ხროვა; 9. ყიასარაკეტო ტექნიკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. იგივეა, რაც პოლკი; 14. ტაილანდის სადესანტო ხომალდების ტიპი; 15. აშშ-ის სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი არსენალის სახელწოდება; 16. აშშ-ის რადიოელექტრული სადაზვერვო თანამგზავრი; 18. ქართული თეთრი ღვინო; 20. რუსული თვითმპყრობელობა მეფის რუსეთში; 21. ჰოლანდიის ფეხბურთის გუნდი; 22. ეგვიპტის პრეზიდენტი; 23. სამხედრო ფერი; 26. იტალიური სახმელეთო მართვადი რაკეტა; 27. რომელიმე წყლის აუზში არსებული სამხედრო ხომალდების ერთობლიობა; 28. პირველი საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც შეიქმნა გერმანიაში II მსოფლიო ომის დროს; 29. ხალხმრავალი დღესასწაული; 30. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო;

**შვეული:** 1. NATO-ს გენერალური მდივანი. 2. თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრეგატების ტიპი; 3. ოფიცრის უმაღლესი ტიტული; 4. ბრაზილიური ბორბლებიანი ჯავშანმანქანა; 11. ამერიკული პისტოლეტი; 12. მხედრის დასაჯდომი ცხენზე; 13. ძველებური ინგლისური კაჟიანი თოფი; 16. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 17. ბრიტანული საბრძოლო შვეულმფრენი; 19. ჰუნების ბელადი; 20. საპყრობილე; 21. ცხენოსანი ჯარი; 25. „მიცუბისის“ მოდელი; 27. სამხედრო ხომალდების დიდი შენაერთის სარდალი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი:**

თარაზული: 1. სპარტა. 6. აფრიკა; 8. აბრაგი; 9. აუტი; 10. ილიადა; 11. ალასანია; 13. სტინგერი; 14. აჩა; 15. ელი; 16. კაპიტულაცია; 22. რუნომე; 24. ტეკილა; 25. ლაფეტი; 26. ლაზიკა; 27. ცირიკი. 28. პირატი.

შვეული: 1. სარატოგა; 2. ტუნგუსკა; 3. კარაბინი; 4. კირიკაო; 5. კაპელანი; 7. არმადა; 12. ალამედა; 13. სტალინი; 17. არსენალი; 18. ინფინიტი; 19. ლეოპარდი; 20. ნორვეგია; 21. პერშინგი; 23. ცახალი.

661/16
ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნგრული „ფოცხვერი“ მოძრავი ლულით

## მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა, რომლის სროლის ავტომატიკა ქვემეხიდანაა აღებული

სროლისას უკუცემის მომენტის შესამცირებლად იარაღის კონსტრუქტორები რას აღარ იგონებენ — კონდახზე რბილ ბუფერებს აყენებენ, ლულის თავში კომპენსატორებს ამონტაჟებენ და ა.შ.

**ჩვენი დოსიე:** უნგრული მსხვილკალიბრიანი თვითდამტენი სნაიპერული შაშხანა Lynx GM-6 11,5 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე საბრძოლო მდგომარეობაში 1126 მმ-ია, ხოლო გადატანის დროს, როდესაც ლულა ბოლომდე უკან იწევა, მხოლოდ 928 მმ; ლულის სიგრძე 730 მმ-ს შეადგენს. მჭიდში .50BMG (12,7X99 მმ) კალიბრის 5 ვაზნა ჩადის. საჭიროების შემთხვევაში ლულის, საკეტისა და მჭიდის შეცვლის შემდეგ უნგრულ „ფოცხვერს“ საბჭოთა სტანდარტის 12,7X108 მმ კალიბრის ვაზნების გამოყენებაც შეუძლია.





Lynx GM-6 საბრძოლო მდგომარეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსხვილკალიბრიანი შაშხანის გასროლისას ცეცხლის დიდი ალი გამოიტყორცნება

უნგრული საიარაღო ფირმა SERO-ს ინჟინრები კი უფრო შორს წავიდნენ და თავიანთი მსხვილკალიბრიანი „ფოცხვერი“ — Lynx GM-6 დიდ მანძილზე გადაადგილებადი ლულის მექანიზმით აღჭურვეს.

დაახლოებით ასეთივე სქემაა გამოყენებული საარტილერიო ქვემეხებსა და ჰაუბიცებშიც, როდესაც გასროლის შემდეგ ხდება ლულის უკან, მთელ სიგრძეზე წაწევა, რაც ნაწილობრივ აკომპენსირებს უკუცემის უზარმაზარ ძალას.

უნგრელმა კონსტრუქტორებმა მიზნად დაისახეს, რომ მათი მსხვილკალიბრიანი „ფოცხვერის“ გასროლა ფეხზე მდგომ სნაიპერსაც შესძლებოდა ყოველგვარი სადგამის გარეშე.

გასაგებია, რომ ასეთ დროს შორ მანძილზე მიზანში ზუსტად მორტყმა ძნელად მისაღწევი იქნება, თუმცა უნგრელმა მეიარაღეებმა, სავარაუდოდ, ქალაქის ქუჩებში საბრძოლველად შექმნეს 12,7 მმ კალიბრიანი Lynx GM-6, როდესაც ბრძოლა რამდენიმე ასეული მეტრის დისტანციაზე მიმდინარეობს.

გასროლის შემდეგ ბოლომდე უკან გადაადგილებადი ლულა, რა თქმა უნდა, შთანთქავს გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალის დიდ ნაწილს, თუმცა კონსტრუქტორებს მაინც დასჭირდათ „ფოცხვერის“ ლულის თავში მასიური ლულის მუხრუჭის დაყენება.

უნგრული „ფოცხვერის“ კიდევ ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ ის „ბულ-პაპის“ სქემითაა შექმნილი, თუმცა ამით დღეს ვეღარავის გააკვირვებ. „ბულ-პაპის“ სქემა (როდესაც მჭიდი სასხლეტის უკანაა განთავსებული) კონსტრუქტორებს საშუალებას აძლევს, შეამცირონ ცეცხლსასროლი იარაღის საერთო სიგრძე, მაგრამ „ფოცხვერის“ შემთხვევაში უნგრელი კონსტრუქტორები კიდევ უფრო წინ წავიდნენ.

შაშხანა უკანა მდგომარეობაში გადაყვანილი ლულით



უნგრული „ფოცხვერის“ ლულის კოლოფი ალუმინისგანაა დამზადებული, ხოლო ხუთვაზნიანი მჭიდი კი გამძლე პლასტმასისგან. ოპტიკური სამიზნეებისა და ღამის ხედვის მოწყობილობების დაყენება შეიძლება „პიკატინის“ მიმმართველებზე, რომლებიც „ფოცხვერის“ ლულის გარსაცმზეა დამონტაჟებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მსხვილკალიბრიანი შაშხანა ხელით სასროლადაცაა განკუთვნილი, მას მაინც აქვს რეგულირებადი დასაკეცი ფეხები მიწაზე დასაფიქსირებლად

არასაბრძოლო სიტუაციაში, მსროლელი „ფოცხვერის“ ლულას ბოლომდე უკან სწევს და აფიქსირებს, რის შემდეგაც ამ მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანის საერთო სიგრძე 198 მმ-ით იკლებს და მხოლოდ 928 მმ ხდება. შედარებისთვის: „კალაშნიკოვის“ 5,45 მმ კალიბრის AK-74 ტიპის ავტომატის სიგრძე 940 მმ-ია. ამჟამად უნგრეთის სამხედრო კონტინგენტი Lynx GM-6-ს ავღანეთში, ISAF-ის მისიაში იყენებს, თუმცა უცნობია, კმაყოფილი არიან თუ არა მისით სნაიპერები. ძალზე საეჭვოა, რომ უნგრული „ფოცხვერი“ შორ მანძილზე სროლისას სიზუსტით გაუტოლდეს სხვა მსხვილკალიბრიან სნაიპერულებს (მაგალითად, შვეიცარიულ OM50 Nemesis ან ამერიკულ McMillan TAC-50-ს), მაგრამ ქალაქის პირობებში შედარებით ახლო მანძილზე ბრძოლისას, ის თავის სიტყვას მაინც იტყვის.

***ირაკლი ალადაშვილი***



არსენალი
LYNX GM-6
ISSN 1987 - 5061
9 771987 506007